ანდრეა
ბისაშვილი

ფეხვეშეთის ქარიგლო

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1963

7 A 8. 5(C. 41)
796. 33 (47. 922) (092 პაიჭაძე)
ბ 861

წინათქმა

ეს არის გასაოცარი სახელი... ყველა — ვისაც უყვარს ფეხბურთი, ვისაც ერთხელ მაინც უხილავს მწვანედ მოქარგულ ხალიჩაზე შერკინებული ფეხბურთელები და ვისაც თავის სიცოცხლეში არც კი გაუხედავს სტადიონის კოშკურებისაკენ, ყველა — იქნება ის „ციებცხელებიანი“ გულშემატკივარი თუ ფეხბურთისადმი ნეიტრალურად განწყობილი პიროვნება, სასოებით წარმოთქვამს ამ სახელს, რომელიც ქართველი კაცის მარადიული სიჭაბუკის, გაუცვეთავი გონებამახვილობის და ყოჩაღი ბიჭობის უკვდავი სიმბოლო გახდა. ეს არის გასაოცარი სახელი... იგი სხვადასხვაგვარად ყღერს... ვინ როგორ იტყვის... ხან ჰგავს — ქუხილს უღრუბლო, მოწმენდილ ცაზე, ხანაც — ალაზნის ჭალებში ანაზდად მოვარდნილ ავდარს. ეს არის გასაოცარი სახელი... იგი ხშირად თოფის გასროლასავით ისმის:

ბორის პაიჭაძე!

ონვიჟედის მოჩვენება

.... ვზივარ ახლა ამ სიტყვების ავტორი, მივჯდომივარ ჩემს საწერ მაგიდას და უაზროდ დავცქერი ბატიფეხურ სტრიქონებს, დაუწერელ ქაღალდზე აქა-იქ რომ ამოსულან, ქოსა კაცის წვერივით... ვერ შემხვდა საქმე ადვილთაგანი: ძნელი ყოფილა სათქმელად ლეგენდა-კაცის ამბავი... გასაჭირში ვარ: არ ვიცი, როგორ დავწერო, საიდან დავიწყო... დღე ღამემ ჩააქრო, ღამე დღემ წაშალა, — ფიქრი ფიქრმა მომტაცა, სიტყვა სიტყვამ წამართვა... ამბავს ვერ მივეც სათავე, კალამს ვერ მოვდე ლაგამი... გული გამიტყდა, ერთი პირობა ხელიც ჩავიქნიე და სიტყვებთან ჭიდილში ძლეულმა, საწერ-კალამი დავყარე... „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან“... მეც გავეცალე და ეწყო ერთ ხანს ჩემს მაგიდაზე—ყანგმოდებული კალამი, ამომშრალი სამელნე, დაუწერელი ქაღალდი და... თავმოუბმელი ამბავი...

ვგრძნობდი, — სადღაც, „აღებული მასალა“ მღალატობდა და კალამს არ მანებებდა ეჟვნიანი სიტყვებისა და ფრთიანი სტრიქონების გასაჭენებლად... მაგრამ, რაღას ვიზამდი! — დაუწერელი წიგნი ასასივით მომჩერებოდა და მეც, როგორც ძალმიძდა, ისე დავიწყე. უნუგეშოდ მივუჯექ მაგიდას, წყალწყალა სტრიქონების უნიათო ჯირითი გავმართე და ცეცხლივით ამბავი პაიჭაძისა „ანკეტის ენით“ ჩავაქრე. „სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სამგზის ორდენოსანი ბორის პაიჭაძე აღიზარდა და დავაჟკაცდა ქალაქ ფოთში“... — საცოდავად წრიპინებს ჩემი კალმისწვერი და სტრიქონი „ახმობს“ სტრიქონებს...

უეცრად... ჰო, საოცრებავ!... ცხადია თუ სიზმარი: ხელიდან გამვარდა კალამი და თვალდათვალ გაჰქრნენ ნაცოდვილარი სტრიქონები... ერთ ხანს ისევ თოვლივით თეთრი, უტყვია ქაღალდი. შემდეგ, სტრიქონების ნაცვლად, სხდებიან: ჯერ ტყიანი მთები და ნაირფერი მინდვრები, მერე მწვანე გორაკები და ჩაის ბუჩქით მოქარგული კორდები, მერე წამოჩიტული ოდები და პირდაბანილი ეზოები, მერე გაქცეული ორღობეები და კრიმანჭულივით დახვეული ბილიკები, მერე ხასანბეგურასავით მოვარდნილი მდინარეები და სიმონა დოლიძესავით ამაყი კაცები, მერე იავნანასავით მშვენიერი ქალები და მთელი სოფელი. ეს ხომ, გურიაა! მწვანეში ჩაფლული, მთებზე ასული, მთებიდან მთებზე გადასროლილი, ცის ლაჟვარდში დაკიდული, მთებიდან ველებზე დაცემული, ველებიდან ზღვაში შეცურებული მზეთუნახავი გურია! ჰო, უხილავი მხატვრის მადლიანმა ფუნჯმა ხელისგულზე გადამიშალა ტყიან მთის ფერდობზე წაქცეული პატარა გურული სოფელი ონჭიქედი... ონჭიქედი— ხან ჩახჩახა და ანთებული, ხან ჩამქრალი და მობუდული, ხან ოქროს სხივებში მობანავე, ხან თეთრ ზეწარში გახვეული... მზიანი და ნისლიანი ონჭიქედი... დიდხანს შევცქერი საოცარ სურათს, თვალს ველარ ვწყვეტ ბუნების ჯადოქრობას: რა ფერებია, რა სიმყუდროე, რა გადასახედი! თავი ზღაპარში მგონია... და უცებ, ბუნების ჭვრეტით გართულს, ფიქრების ბურანში წასულს,—მესმის, — სოფლიდან ხმას მაწევს ვილაც:

— ყმაწვილო კაცო და პაიჭაძის ამბის მთხრობელო, ოთახში რო ჩაკეტილხარ, ცხვირს გარეთ არ ჰყოფ და სიტყვებს ნაყავ, რის მაქნისია შენი ნაბუქი!

ამ სიტყვებს, ერთი ლაზათიანი ალიყური მერჩივნა: ავირიე,

დავიბენი, წავხდი, გავშრი. ჩემი თავი მეკე მესირცხვილა და სახე სააღდგომო კვერცხივით შემელება. მეწყინა, მაგრამ რას ვიზამდი: ცივი წყალი დავლიე და სმენად ვიქეცი. ხმა სოფლიდან, ახლა, მთელი ძალით ბუბუნებდა:

— მანდ უქმად ჯდომას ის გიჯობდეს ჩვენთან მოხვიდე, ჩვენთან იყო, ყურად იღო ჩვენი ნათქვამი, გახდე ჩვენი ხსოვნის ნაცვალი, რომ მერე ყოველ შენ სიტყვას ჰქონდეს ფასი და სიმართლის მარცვალი!

გულმა მითხრა: იდუმალი ხმა კეთილს მირჩევდა. ღარ დავაყოვნე, მზერა უმალ იდუმალ ხმას დავადევნე და თვალი სოფლის ბოლოს დავადგი. სახილავი ვიხილე, მისახვედრს მივხვდი და ზღვაში ჩაყვინთული ცხრათვალა გურიის ქედებს ჯერ ისევ ოქროსფრად ღებავდა, რომ ონჭიქედის ზემოუბანში გავჩნდი.

ხავსმოდებულ ნასახლართან, ხის ვეება მორებზე სამი ყაბალახიანი ბერიკაცი იჯდა. ბერიკაცები დინჯად მარცვლავდნენ სიტყვების კრიალოსანს, შუა სჯა-ბაასში იყვნენ. ჩემი სიახლოვე რომ იგრძნეს, ერთმანეთს შორის ანგელოზი ჩამოატარეს და ერთხანს უსიტყვოდ ისხდნენ. მერე თითქოს კაცი კი არა, მთა დაეყუდა ჩემს წინ — წამოდგა ერთი სამთაგანი, კეხიანი ცხვირი რომ ჰქონდა, ტყესავით ხშირი წარბები და თვალებში არწივის მზერა ედგა, — მომიახლოვდა, თავით ფეხამდე გამზომა, ისე როგორც საჭიდაოდ გამოსული ფალავანი სინჯავს უცხო მეტოქეს, ურისავით ხელი მხარზე დამადო და ნაცნობი ხმით ურიდად შემრისხა:

— დიაკვანივით რო გააბი, ის ჩვენი ოქრო ბიჭი ფოთელებს აჩუქე, ამდენი ტყვილი, ვინ გასწავლა, ძამია?!

მერე იმ ორმა ბერიკაცმაც აიმაღლა ხმა:

— პაიჭაძეების ფოთელობა, სად თქმულა, შვილო, ჯერ ჩვენთვის უნდა გეკითხა და მერე დაგეწყო შენი ამბავი!

ერთბაშად მომეშვა გულზე, რადგან მივხვდი, რა წუხილიც შესდგომოდათ ონჭიქედელ ბერიკაცებს. ჩემი წიგნის გმირისგანაც გამიგია: აქ, ერკეთის თემის სოფელ ონჭიქედში, 1915 წლის თოვლიანი თებერვლის ერთ გადარეულ, ქარბუქიან დღეს — სოლომონ პაიჭაძეს და ოლღა ტუღუშს ვაჟიშვილი შეეძინათ... ბიჭს ბორია დაარქვეს... ბორიას, აქვე, ონჭიქედში გაუტარებია თავისი უზრუნველი ბავშვობა... ოჯახის ფოთში გადასახლების შემდეგაც არ დაუვიწყია ონჭიქედი, აქ ატარებდა თურმე საზაფხულო არდადეგებს... ონჭიქედში — თავის სამშობლო სოფელში... ეს არის და ეს... ასე რომ, ონჭიქედის გარშემო „აღებული მასალა" იმდენად ძუნწი გამოდგა, წიგნის დაწყება ისევ ფოთის ამბებიდან გადავწყვიტე. ახლა კი, სრულიად მოულოდნელად, ხელსაყრელი შემთხვევა მეძლეოდა, ჩემი გმირის სიყრმეს უფრო ვრცლად გავცნობოდი და „მეპოვნა" შესაფერი თხრობის სათავე.

ერთხანს ისევ წარბშეკრულნი შემცქეროდნენ ბერიკაცები. მერე შუბლი გაიხსნეს, გამიღიმეს, რისხვა ალერსით შემიცვალეს და მითხრა ერთმა სამთაგანმა: ახლა ჩვენ ვივლით, შენ უკან გამოგვყევიო. იარეს, ბებერი მგლებივით გადაიარეს სოფელი, მომატარეს ონჭიქედი — ზემოუბანი და ქვემოუბანი, გუბაზოულის პირი და სუფსა-ხევა, ყველა-წმინდა და სარკოია. გავიცანი იქაურები: პაიჭაძეები და გოგოლაძეები, მინდაძეები და ცინცაძეები, ჩხაიძეები და დოლიძეები. სიტყვას არავინ დამეზარა: მოხუცებმა ადრინდელი გაიხსენეს, ბორიას

თანატოლებმა კი უფრო გვიანდელი მოიგონეს, ზოგმა რა მიამბო, ზოგმა რა. საგზაო ბლოკნოტები სამგზის ამივსეს ენაწყლიანმა გურულებმა. ისეთები გავიგე — ბევრიც ქექოს ჟურნალ-გაზეთები, კაცი ვერსად წააწყდება.

სამი დღის შემდეგ, როცა ონჭიქედის ჩამქრალ ცაზე პირველი ვარსკვლავები სხდებოდნენ,—დავემშვიდობე ჩემს გულღია მასპინძლებს, ავიკარ საწერ-კალამი და შთაბეჭდილებებით დამძიმებული გამოვეშურე თბილისისაკენ.

...ავტობუსი ჯიქურ შებრუნდა მოსახვევში და უკანასკნელად მომესალმა ქედზე შემჯდარი, ტყიან ფერდობზე წაქცეული ონჭიქედი... ხან ჩახჩახა და ანთებული, ხან ჩამქრალი და მობუდული, ხან ოქროს სხივებში მობანავე, ხან თეთრ ზეწარში გახვეული... მზიანი და ნისლიანი ონჭიქედი...

მოდით, ჩვენც ონჭიქედიდან დავიწყოთ...

ONჭIქEDURI SURATEBI

ფეხბურთი ხურდება ტრიალ მინდორზე და ყიჟინა მიჰყვება მდინარის ნაპირებს: ბორია!.. ბორია!.. ბორია!..

დაჰქრის ბორია, მინდორს მისთელავს, ჯერ ერთს ატყუებს, მერე მეორეს, მერე მესამეს, მერე სამს ერთად, ბურთს არ ანებებს თანატოლებს და არის ერთი: ჰაი, ბურთი და ჰაი, ბორია!

ათი წლის თარსი ბიჭია ბორია, ფეხმალი, ილათიანი, ატაცნილი, დაუდეგარი... ამაოდ დასდევს, ამაოდ იცვეთს ფეხისგულებს ეს ამოდენა სოფლის ბიჭობა, ქარი მინდორში ვის უჭერია!.. ხმელია ბორია, გამხდარი, ტანმორჩილი, მაგრამ კაჟივით მაგარი, მშვილდივით მოზიდული, ჩახმახივით შემარ-

თული. ბრინჯაოსფრად შეღებილი ტანი აქვს ბორიას, ელვიანი თვალები და ზღვასთან შეზრდილი ბიჭის შორი მზერა.

ფეხბურთი ხურდება ტრიალ მინდორზე და ყიჟინა მიჰყვება მდინარის ნაპირებს: ბორია!... ბორია!... ბორია!...

ასე მეორდება ყოველდღე, ყოველი ზაფხულის ყოველ დღე ცისმარეს: ნიავიანი დილიდან ალმურიან შუადღემდე, ნარნარი საღამოდან დაბინდებამდე. მხოლოდ შუადღისას, როცა ბდღვრიალა მზე ორთავა ქედზე წამოჯდება, ცეცხლად დაიღვრება, ბალახს ყვითლად დაფერავს, გაახმობს, ოხშივარს აადენს, გახურებულ მიწას ბუღს გაადენს, გარშემო ჭრიჭინებს აამღერებს, — ყუჩდება და ისვენებს — ნაბრძოლი და ნაომარი. ნათელი და ნაბურთალი სარკოიას მინდორი.

* * *

როცა, სარკოიას ბინდი მოერევა და ონჭიქედის ორღობეებში ბნელი ჩაწვება, — სოფლის ბიჭობა ბურთს დაეხსნება, მდინარის პირას ილაჯგაწყვეტილი დაეყრება, ცოტას სულს მოითქვამს, ტანს გაიგრილებს, მუხლს დაასვენებს და მერე სიმღერით, შაირით, ერთი ჰაიჰუით ბრუნდება შინისაკენ...

ბორია შუა გზაშივე გვერდს შეუქცევს ამხანაგებს, შეუმჩნევლად გამოეყოფა მობურთავეებს, მთელი დღის ნარბენი სიქაგაცლილი ბიჭი ჩუმად შეუყვება ბნელ ორღობეებს, სახლის შორიახლო გაჩერდება, ფრთხილად დაზვერავს ნაცნობ ეზო-კარს და გულის ფანცქალით მიაყურებს თავისიანებს... თუ მამას ვერსად მოლანდავს, მისი რისხვა ხმა არ შეესმება — გულზე მოეშვება, რიდი მოეხსნება, ღობეს კივილით გადაევლება და ეზოში სიმღერით შეფრინდება. დედა გაუწყრება, პაპა დატუქსავს, ბებია შეიცხადებს, ფისო დაიკნავლებს, თო-

ლია ერთ-ორს დაიყეფებს, ქათმები აკრიახდებიან და ყველაფერი ამით გათავდება. მაგრამ, თუ... ღძერთი გაწყრება და... მამა შინ დახვდება... იმის მჭექარე ხმას გაიგონებს... წახდება და ზეზეურად გათავდება... თვალებში შიში ჩაუდგება, წელში ოთხად მოიხრება, სახლუკან ღობეზე გადაძვრება, ეზოზე ლანდივით გაივლის, ოთახში ქურდივით შეიპარება და წიგნებით სავსე კარადას მიუჯდება დედიკოს უცოდველი შვილივით.

ოო, ძაან მკაცრი მამა ჰყავს ბორიას! სოლომონ პაიჭაძე — ორმოცდაათ წელს მიღწეული, სახელიანი ვაჟკაცია ონჭიქედში. ზვიადი, ფიცხი და ურიდი. მტერ-მოყვარე და ავ-კარგიანი. მეოჯახე და სტუმრის მოყვარული. აკარაკი კაცის დამწუნე, კაცური კაცის გამტანი, ტყუილი ღრეჯვის მოძულე, ერთთავად შუბლშეკრული და ძვირად ღიმილიანი. ერთი გულქართლი, მაგრამ უჯაათი და ახირებული კაცი... ყოჩაღი ბიჭის სახელი ჰქონია გავარდნილი ახალგაზრდობაში და იმისი ბადალი მობურთავე არა ყოფილა სარკოიაზე. ახლა ცოტა მოტეხილია სოლომონი. ჩაუქრა ის შუქიანი თვალები, რომლებითაც ყმაწვილ ქალებს ნუსხავდა თავის ჯეელ ბიჭობაში, სახე დაეღარა, თმაც დაეთრთვილა აქა-იქ, მაგრამ მაინც სოლომონ პაიჭაძეა, ისევ ყოჩაღად არი და სამსახურიდან შინ რომ ბრუნდება, ისევ ძველებურად თავაწეული, ყელმოღერებული, ჯარისკაცივით წელში გამართული ამოივლის ხოლმე ზემოუბნის ყალყზე შემდგარ აღმართზე... ეს ერთი ხანია, ფოთის ნავსადგურში მუშაობს ბორიას მამა. შინ გვიან ბრუნდება, კარგა დაღამებულზე: დაქანცული, მოშივებული, აღრენილი, გუნებაწამხდარი. და ამ გაჯავრებულ გულზე, თუ თავის ერთა-ვაჟს თვალს შეასწრებს ნაბურთალს: არ შეარჩენს, ერთს საშინლად დაიგ-

რგვინებს, დაიქუხებს, მერე დაიკაპიწებს მორგვივით მკლავებს და შავ დღეს დააყენებს... იცის ბორიამ, იცის მამის ამბავი და ფრთხილად იქცევა. ისიც იცის „მამა გვიან მოვა“ და დაბინდებამდე ეძლევა თამაშს, ვერ ელევა ბურთაობას.

მაგრამ, ერთ შარიან ორშაბათ დღეს, კოკა მაინც წყალზე გატყდა. დილით მარცხენა ფეხზე ადგა ბორია, მთელი დღე ნავსიანად იარა, არაფერმა გაუმართლა და უქმურად დაუღამდა. ჯერ კოჭი წააგო კოსტაიას ტყუპებთან, მერე სარკოიაზე დამარცხდა ქვემოუბნელებთან, მერე ფეხმა კრუნჩხვა უყო მდინარეში, მერე ჩხუბი მოუვიდა ტუღუშების ორღობეში, მერე როგორც იყო, შინ დაბრუნდა და... მამა დაუხვდა სახლში... გულზე შემოენთო გაძვალტყავებული ბიჭის მხილველ სოლომონს. იფეთქა მამამ, სულ ცეცხლი ყარა თვალთაგან და ხელი დარია ვაჟიშვილს. ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი... კიდევ ითამაშებ ბურთს?! შე მამა... ჭერმა მაღლა აიწია და კედლებს შეუდგათ კანკალი... ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი... მაპატიე, აღარ ვიზამ, მამა!.. ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი... ვაიმე, დედავ, მიშველეთ!.. მერე აბობოქრდა, ქომაგად დადგა მთელი ოჯახი. ცალკე დედა გაავდა, ცალკე პაპა ამბოხდა, ცალკე ბებია გაწიწმატდა და დალილავებული ბიჭი ძლივს გამოგლიჯეს რისხვაატანილ მამას... ერთ ხანს უნუგეშოდ ზლუქუნებდა გატყეპილი ბიჭი, მერე დედამ მიუალერსა, პაპამ გაულიმა, ბებიამ დაუყვავა, ფისომ დაუკრუტუნა, თოლიამ კუდი დაუკაკუნა და... უარესად ამოუჯდა გული ბორიას. მერე ისევ მამამ დასჭყივლა და თავისი დანთებული ცეცხლი თვითონვე გაანელა. გაიტრუნა, გაინაბა, გაილურსა ბორია, უსიტყვოდ მიუჯდა წიგნებიან კარადას. „რა უსამართლონი არიან ეს მამე-

ბი. თვითონ ყირაზე გადადიან ახალგაზრდობაში, ჩვენ კი ბურთის თამაშსაც არ გვანებებენ... გუშინ მიშიკო გაიტყიპა... იმის წინ კიდევ ლევარსია გაზნიქა მამამ...“ — ფიქრობდა ბორია და ცრემლიანი თვალებით მიშტერებოდა საყვარელი წიგნების ნაცნობ საგვერდულებს... ცოტა რომ დამშვიდდა, დაშოშმინდა, სლოკინი დაუცხრა, გული იგულა საგულეში — ხელი მიჰყო წიგნებს, აირჩია საკითხავი. წამოწვა მერე განიერ პაპისეულ ტახტზე, ჭრაქი აანთო, წიგნი გადაშალა, ფიქრი დაატრიალა, ოცნებები გაშალა, მეზღვაურის ტანსაცმელი ჩაიცვა, ხელში თოფი აიღო, მკერდზე დურბინდი დაიკიდა, გვერდზე დამბაჩა მოიგდო, აფრებიანი ხომალდის გემბანზე დადგა და თავის „15 წლის კაპიტანს“ შუაღამემდე დაჰყვებოდა შორეულ ზღვებსა და ოკეანეებზე, უკაცურ კუნძულებსა და გაუვალ ტყეებში, უცხო ქვეყნებსა და სახელმწიფოებში. ხან თეთრკანიანებთან იყო, ხან შავკანიანებთან, ხან წითელკანიანებთან, ხან ყვითელკანიანებთან, ხან ღვთისნიერ ხალხში იყო, ხან კაციჭამიებთან. ხან სად იყო, ხან სად!

რა კარგია ზღვა! გემი, თავგადასავლიანი, ხიფათიანი, ფათერაკიანი მოგზაურობა. რა კარგია ცხოვრება გემზე: გადალახავ ზღვებსა და ოკეანეებს, შემოივლი ქვეყანას! დიდი რომ გაიზრდება, აუცილებლად მეზღვაური გახდება!... ფეხბურთი? ფეხბურთს რომ ვეღარ ითამაშებს? ჰო, მართლა, ფეხბურთი, სულ დაავიწყდა!.. არა, კი არ დაავიწყდა. ფეხბურთს, აბა, რა დაავიწყებს, სარკოიაზე ბურთის გაგდებას რა სჯობია, მაგრამ... ზღვა, მაინც სულ სხვაა, არაფერია იმისი ფასი!.. არა, დიდი რომ გაიზრდება, აუცილებლად მეზღვაური გახდება!..

შუაღამემდე ბოლავდა ჭრაქი: ხან ავაზაკ ნეგოროს ებრძო-

და, ხან ნიანგების ლაშქარს იგერიებდა, ხან კაციჭამიებს უმკლავდებოდა, ხანაც გასაჭირში ჩავარდნილი, კეთილ ზანგ დევკაცს ჰერკულესს მოუხმობდა დასახმარებლად. შუაღამემდე ბოლავდა ჭრაქი, შუაღამემდე მიჰყვებოდა საყვარელი წიგნის სტრიქონებს: მერე როცა კაციჭამიებმა დაატყვევეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, თავის „15 წლის კაპიტანთან“ ერთად ჯურღმულში ჩააგდეს, ამოდენა განსაცდელს ველარ გაუძლო, დაიღალა, დაიქანცა და ძილმა მოჰპარა თვალები... სიზმარში ნახა: სარკოიაზე იჯდა მდინარის პირას და სოფლის ბიჭობას დაწვრილებით მოუთხრობდა ზღვებისა და ოკეანეების, უკაცური კუნძულებისა და გაუვალი ტყეების, უცხო ქვეყნებისა და სახელმწიფოების, ნიანგებისა და ვეშაპების, ბოროტი ნეგროსა და კეთილი ჰერკულესის, კაციჭამიებისა და თავისი უმამაცესი „15 წლის კაპიტანის“ გრძელ ამბავს... ონჭიქედელი ბიჭები პირდაღებულები ისხდნენ, გაგონილს ჰკვირობდნენ და ერთხმად იძახოდნენ: ეს რა ბიჭი ყოფილა, პაიჭაძეების ბორიაო!... ბორიას თავი მოსწონდა, ეამაყებოდა და ლამის ონჭიქედის ორთავა ქედზე აფრენილიყო სიხარულით. ჰაი, რომ ბიჭია, და მერე ეგეთი? — ჯერ დიდი გაიზარდოს: მეზღვაური გახდება, გემზე დაიდებს ბინას, ზღვებსა და ოკეანეებს გადალახავს, შემოივლის ქვეყანას!

* * *

სოლომონ პაიჭაძე თავის ნათქვამა კაცია: იტყვის და აღარ დაიშლის, შეაგდებს ქვას და თავს შეუშვერს... ჰოდა, ერთხელ თქვა და არ გადათქვა სოლომონმა: ატყდა, აიშალა, აღარ დადგა, სოფელი აითვალწუნა, ქალაქი დაიჩემა და ფოთს გადასვლა აიჩემა. წინ აღუდგა ოჯახობა — სიტყვა შეუბრუნა, ნააზრევი

არ შეუქო, არჩევანი დაუწუნა. სოფელს ვერ შელეოდნენ, — ვერც დედა, ვერც პაპა, ვერც ბებია, ვერც ბორია. არაო და არაო. აირია ოჯახი. ცალკე დედა აწუწუნდა, ცალკე პაპა ადუდღუნდა, ცალკე ბებია აკრუსუნდა, ცალკე ბორია ახტა-დახტა. სოფელი ქალაქზე არ გაიცვლებაო, — უარობდა ოჯახი... მაინც არ გატყდა სოლომონი: სიტყვა პირზე დაიჭირა, ნააზრევზე მაგრა დადგა, შეუვალ ჰყო არჩევანი. ჯერ დედა აიყოლია, მერე ბებია დაიყოლია, მერე პაპა ატეხა, მერე ბორიას მოაკეტინა, ბოლოს მთელი ოჯახი დაითანხმა და შერეკილი მარტის ერთ ფხუკიან დღეს გამგზავრების თადარიგი დაიჭირა...

ალიონს დაასწრო პაიჭაძეების ოჯახმა, დღე აყრაში გალია და უკვე მოსაღამოვებული იყო, როცა ბარგი-ბარხანით დატვირთული ურმები ბარბაცით, კოჭლობით, ერთი ოხვრა-კვნესით და ვაივაგლახით გაუდგნენ ქვა-ღორღიან შარაგზას... სინანულით გააცილეს პაიჭაძეები ონჭიქედელებმა. ქვეყნისა შეიყარა გამცილებელი. გზადაგზა კიდევ იმრავლეს, სოფლის ბოლომდე იარეს, შარაგზის გასაყართან შედგნენ, — გზაში ბედი უსურვეს, მომავალი უდღეგრძელეს, ოჯახი დაულოცეს, უკანასკნელი მშვიდობა უთხრეს სოლომონ პაიჭაძეს... ისევ დაიძრნენ ურმები და განშორებით გულამომჯდარმა სოფლის ბიჭობამ კიდევ ერთხელ შესძრა იქაურობა: ჰაი, ბორია და ჰაი, ბორია! ქალაქელი რო გახდებოდე. არ დაგვივიწყებდე სოფლელებს, ზაფხულობით მაინც ჩამოხვიდოდე ონჭიქედში!.. თვალებში ნისლი ჩაუდგა ბორიას, გული დაემდურა. უნდოდა მშვიდობისა ეთქვა რამე, მაგრამ ენა გაუხდა ლოდივით, სიტყვა რამ ვერ დასძრა და მხოლოდ სევდიანი მზერა აკვარა გზაჯვარედინზე შეყრილ ბიჭებს. აბა, რა დაავიწყებს მაგათ თავს, ონჭიქედს, სარკოიას... ნახვამდის, ბიჭებო!..

წინ ორუღელა ურემი მიჭრიალებს, უკან ცალუღელა მიიზლაზნება: ბუკისციხე, დაბლაციხე, ერკეთი და ბეოლიეთი... წინ ორუღელა ურემი მიგორავს, უკან ცალუღელა მიცოდვილობს: ნაბეღლავი, ვაზიანი, სამება და ზენობანი... ცალუღელა ურემზე ოჯახობა დამსხდარა. ორუღელაზე ქვეყნის ხაბაკი აწყვია, ზედ ბორია დასკუპებულა და ვეება სახრეს რიგრიგობით უნაცვლებს დორბლმორეულ ხარებს: გულიანი, მოედანი. ქვიანი და ნიგვზიანი... ჩაიარეს სოფლები... უკან დარჩა გურია... საცაა ფოთი გამოჩნდება.

* * *

პაიჭაძეების ფოთში გადასახლების იმ დაუვიწყარი დღიდან—ძვირი სტუმარი, უცხო ხილი გახდა ონჭიქედელი ბიჭებისათვის ბორია. ახალ მთვარესავით გამოჩნდებოდა ხოლმე ონჭიქედში... მხოლოდ ზაფხულობით თუ ჩამოხედავდა მამულ-პაპეულს, მშობლიურ სოფელს გაქალაქელებული ბიჭი...

და როცა ონჭიქედში: მარტი გაგიუდება, აპრილი თეთრად გაიშლება, მაისი აჩახჩახდება, ზაფხული გახურდება, ორღობეებში პაპანაქება ჩამოდგება, სარკოიას მინდორს ბუღი აუდგება, სოფელს ალმური მოედება, პატარა მდინარეს სიცხე შეაწუხებს, გაანახევრებს, დააშრობს, მკერდზე დაწყობილ ქვა-ღორღს მაღლა ამოუყრის და გაძვალტყავებულ კაცს დაამგვანებს, — მოუთმენლობა აიტანს ონჭიქედელ ონავარებს: როდის ჩამოვა ბორია?.. დაეყრებიან ნაბურთალნი სარკოიაზე და არიან ერთ მარჩიელობაში: როდის ჩამოვა ბორია?.. სამხრობისას გავლენ სოფლის ბოლოს, რას არ ითამაშებენ, გულს ამოიგდებენ, ქანცს გაიგდებენ, მერე ბალახზე გაგორდებიან.

დახვეულ შარაგზას ესვრიან მზერას და გააბამენ გაუთავებელ მარჩიელობას: როდის ჩამოვა ბორია?..

ჰმ, ბორია! რა ბიჭი წაუვიდათ, რა ბიჭი! უიმისოდ არც ბურთაობასა აქვს მადლი, არც რიკ-ტაფელას, არც ლახტაობას, არც კოჭაობას, არც ფირალობას, და არც რას! ნეტავ, როდის ჩამოვა ბორია? უკვე შუაზაფხულია და რაღას უცდის! თუმცა, ვინ იცის, ესენი აქ ელოდებიან დიდის ამბით, იმან კი იქნებ წლეულს სხვაგან მოიზაფხულოს, ონჭიქედისაკენ არც მოიხედოს. რატო რა, ყველაფერია მოსალოდნელი... მაგრამ... არა... ბორია ვერ უღალატებს ონჭიქედს, წლეულსაც აქ გაატარებს არდადეგებს... და თუ ასეა, სად არის ამდენ ხანს, ის კაი კაცი, რას იწვება იმ დასაწვავ ქალაქში!.. არა, ახლა, ალბათ, დიდხანს აღარ ალოდინებთ, მალე ჩამოვა და თან ნამდვილ „ქალაქურ“ ბურთსაც ჩამოიტანს... ეჰ, ძნელი ყოფილა ბურთიანი ბიჭის ლოდინი!.. უბურთოდ რომ ჩამოვიდეს?.. უბურთოდ?.. ბიჭოს, მაგას ვინა ჩივის, ან ეგ რა სათქმელია: ჩამოვიდეს, ოღონდ ჩამოვიდეს და ბურთები აქაურიც ეყოფათ!

— თქვენ ეგ ლოდი დამარტყით, თუ ბორიამ ხვალ ონჭიქედში არ ამოყოს თავი, — თქვა ერთხელ ჭორფლიანმა ჯანუკიამ, რომელსაც ძალიან უყვარდა „რამეების გამოცნობა“.

ონჭიქედელი „მისანი“ მხოლოდ ორ დღეში მოტყუვდა. სამი დღის შემდეგ, ივლისის ერთ მოგუდულ საღამოს, ონჭიქედელ გოგო-ბიჭებში თოფივით გავარდა:

— ბორია ჩამოვიდა!..

ქარი შეუდგათ სოფლის ბიჭებს: აიშალნენ, აიყარნენ, ორლობეები აახმიანეს, ოდები შეაწუხეს, ზემოუბნის აღვართი გატეხეს ყიჟინით და პაიჭაძეების ეზო-კარს მიადგნენ ძახილით:

— ბორია!.. ბორია!.. ბორია!...

ოთხკედელშუა რა დააყენებდა ამის გამგონე ბორიას. წამოხტა იმათ თავს მონატრული ბიჭი, წამოფრინდა, აივანზე გამოფრინდა, ბიჭებს გაუმარჯოსო — შესძახა და მაღლა შემართა ბურთიანი მარჯვენა... მოინუსხა ასის მზერა, ცქერად იქცა ასი თვალი: ახალთახალი ბურთი იყო, ფეხდაუკარები, ნამდვილი, „ქალაქური". ერთ ხანს დუმილი იწვა ეზოში. ეს ამოდენა სოფლის ბიჭობა განაბული მ'ისჩერებოდა ვეება ტყავის ბურთს, შორი ხილვით ტკბებოდა იმ'ისი უცხო მშვენიერებით. იფ, რა ბურთია? აი, ამით კი მართლა ღირს სარკოიაზე განავარდება!... მერე თითქოს გონს მოეგნენ, გამოერკვნენ, გამოფხიზლდნენ, ისევ აინთნენ, ისევ აღიგზნენ, თამაშის დაუოკებელმა ჟინმ; მოუარათ და... აღტაცებით დაიგრიალა ეზომ. ეს გრიალი ჯერ მაბლობელმა ოდებმა გაიმეორეს, მერე ორღობეებმა მოიტაცეს, ეზო-ეზო მოატარეს და მთელს ზემოუბანში დაცალეს:

— ბორია პაიჭაძეს გაუმარჯოს!

* * *

და ისევ: ფეხბურთი ხურდება სარკოიაზე და ყიჟინა მიჰყვება მდინარის ნაპირებს: ბორია!.. ბორია!.. ბორია!..

ახლა თორმეტ-ცამეტი წლისაა ბორია, ფეხმალი, ილათიანი, ატაცნილი, დაუდეგარი. ამაოდ დასდევს, ამაოდ იცვეთს ფეხისგულებს ეს ამოდენა სოფლის ბიჭობა! გაგიგონია? ქარი მინდორში ვის უჭერია!

ერთი პირობა — ბურთი გაჭირდა იმ ტიალ ფოთში და „დიდი ეზოს“ პატარა ბიჭობა კარგა ხანს ქესატად იყო. კაცს სანთლით რომ ეძებნა, მთელი ქალაქი გადაექექა, გადაებრუნებინა, — წამლად ვერ იშოვნიდა ბურთს — ვერც ტყავისას, ვერც რეზინისას.

ჩამოსხდებოდნენ ყორეზე საღამოობით „დიდი ეზოს“ პატარა ბიჭები: იმნაძე კაკოია, ბერძენიშვილი ვალოდია, გაგუა გრიშაია, ჯორბენაძე გვაჩაია, პაიჭაძე ბორია,—ჩამოსხდებოდნენ გუნებააშლილნი, ყურებჩამოყრილნი, ფეხზე ქავილი ასტეხოდათ და ცხვირზე ძმარი სდიოდათ. მაშ, არადა დალხინებულები იქნებოდნენ. აბა, რა ჰქონდათ გასახარი! თამაში გწყუროდეს და ბურთი ვერსად მოხელო, მოდი და გული ნუ მოგივა! — ბოლმა ახრჩობდათ „ორგოლობანას“ გადაყოლილ ბიჭებს... ჰო, მართლა... „ჭინჭის“ ბურთი?.. არა, აბა, ეგ როგორ შეიძლება! შარშან, კიდევ გამოდგებოდა, ახლა კი... ბავშვები ხომ არ არიან, ამოდენა ბიჭები „ჭინჭის“ ბურთს ხომ არ დაუწყებენ დევნას... რას იფიქრებს ხალხი, რას იტყვის ქვეყანა!... ისხდნენ დაღამებამდე „დიდი ეზოს“ პატარა ბიჭები, მოშივებული თვალებით შესცქეროდნენ გამვლელ-გამომვლელს: კაცნი ვართ, ეგების მოხდეს სასწაული, გამოჩნდეს ვინმე ღვთისნიერი და გვიწილადოს ბურთიო. ისხდნენ ყორეზე გულხელდაკრეფილნი და ბედნიერი შემთხვევის მოლოდინში, უჯიათი მოთმინებით ლევდნენ შემოდგომის უდღეურ საღამოებს.

მაგრამ, გაჭირვება მიჩვენე და მუხლს გიჩვენებო, ხომ გაგიგონიათ?—იმათაც ისე მოუვიდათ, იმათაც აევსოთ ლოდინის თასი და მოთმინების ფიალა. ერთ დღეს, თამაშის ეშხმა რომ სძლიათ, — თავი ველარ შეიკავეს და „ჭინჭის“ ბურთი კი არა, გვაჩაია ჯორბენაძემ ნამუს-სირცხვილი სხვას მიაბარა და უკისრებელი იკისრა: წავიდეთ, ღორებზე ვინადიროთ, იქნებ ბუშტი მაინც მოვხელოთო სადმე... რაო? ღორებიო?! ფეხბურთი და ღორები?! ტყავის ბურთი და ღორის ბუშტი?! ეს რა დაახეთქა ამ გვაჩაია გადარეულმა! — კაკოიამ პირი დააღო, ვალოდიამ თვალები დააჭყიტა, გრიშაიამ ყურები დაიბერტყა, ბორია სიცილად ატყდა. გაიკვირვეს, გაიოცეს, იუცხოვეს გვაჩის თქმული: ნეტავ, რას აფრენს, ეს ბიჭი, ამ უბურთობაში ხომ არ გაგიჟდაო?!

მაგრამ, მუდამ ფიქრიანი, აზრიანი გვაჩაია — ახლაც თავის ჭკუაზე იჯდა და არც აპირებდა გაგიჟებას. ის კი არა, წელანდელი ნამუს-სირცხვილისა არ იყოს, გაგიჟებასაც სხვას გადაულოცავდა, თუ საქმე — საქმეზე მიდგებოდა. ასე რომ, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ბიჭებო! მართალია, ძალიან ძნელია, მაგრამ ისე არ წაახდენს უბურთობა გვაჩაიას — ჭკუას გადავიდეს და ანგარიში აერიოს. არც ისეთი შეუშტვინე ყოფილა ოდესმე გვაჩაია, — რაც ენაზე მოადგება, დასცხოს და დააბუქოს. არა, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, გვაჩაია ისევ ის გვაჩაიაა. აი, ახლაც, ათი იფიქრა, ათი იაზრა და ერთი თქვა, მერე გაგანდოთ თავისი გულისნადები. დაუჯერეთ, კვერი დაუკარით გვაჩაიას! ადექით, უკან გაჰყევით, ქუჩა-ქუჩა იარეთ და საიდანაც ღორის ჭყივილი შეგესმებათ, თქვენც იქით დაადეთ თავი. ცდა ბედის მონახევრეაო, რა იცით, იქნებ მართლაც იშოვნოთ სადმე ბუშტი

და ამ უბურთობაში ერთ ხანს როგორმე იოლას გახვიდეთ. დაუჯერეთ გვაჩაიას!

ბიჭებმაც აიღეს და დაუჯერეს, საქმეს მოჰკიდეს ხელი. ადგნენ, ქუჩა-ქუჩა იარეს, ეზო-ეზო მოიარეს და საიდანაც გაიგონებდნენ დანის პირზე დადებულ ღორის ჭყივილს, იქით მოჰკურცხლავდნენ ქარზე უმალესად... მერე ერთ მოღობილ ეზოში ბედმა გაუღიმათ. ბლაღოჩინივით ჩასუქებულმა ძიამ, ჩაწითლებული თვალები რომ ჰქონდა, მოზვერივით კისერი და ბავშვივით კეთილი ღიმილი, — ჯერ ისევ თბილი, სისხლიანი ღორის ბუშტი გადმოუგდო მთელი დღის ნარბენ ბიჭებს და იმათ მადლში ჩადგა. რაც იმათ მაშინ გაიხარეს! — ისე გაიხაროს იმ კეთილი „ბლაღოჩინის“ ოჯახმა. წამოიღეს ღორის ბუშტი სიმღერით და სიცილით. წინ გვაჩაია მოუძღოდათ, გაბერილი და გაბღენძილი გვაჩაია, მოუძღოდათ კვეხნით, ბრექვით, თავის ქებით: შემომხედეთ, დამინახეთ, რა ვარ, ბიჭი, გვაჩაიაო!

ჯერ ზღვას მიაშურეს: სისხლიანი ბუშტი აქაფებულ ტალღებზე შეაგდეს, კარგა ლამაზად აბანავეს, ლაპლაპი დააწყებინეს და კროცი კაკალივით გახადეს. მერე თავიანთ ეზოში დაბრუნდნენ, თავიანთ მობურთავეებს მოუხმეს, მეზობელი ეზოს ბიჭებიც შეყარეს, იმათთან ბრძოლა ისურვეს, ის ღორის ბუშტი წინ გაიგდეს, „ორი გოლი“ გააჩაღეს და ოჯახებს სამხრობის სიმშვიდე დაურღვიეს: მიდი, გვაჩაია!.. ჩქარა, კაკოია!... ე, ბიჭო, ვალოდია!.. მოცელე, გრიშაია!.. დაარტყი, ბორია!.. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ღორის ბუშტი, იყო ერთი მიდი—შვიდი.

... იმ ბურთის ქესატობაში — მუხლი გაიძღეს, ფეხისგულე-

ბი დაიცხრეს, სისხლი აიმღერეს „დიდი ეზოს“ პატარა ბიჭებმა: იმნაძე კაკოიამ, ბერძენიშვილმა ვალოდიამ, გაგუა გრიშაიამ, ჯორბენაძე გვაჩაიამ, პაიჭაძე ბორიამ.

* * *

და იმ ბურთის უნახაობაში, იმ ღორის ბუშტაობაში „დიდ ეზოში“ მაინც მოხდა სასწაული. უცოლშვილოდ დაბერებულ კალისტე ლანჩავას, მეორე სართულზე რომ ცხოვრობდა, ერთი უენო, ბეჩავი კაცი, — თბილისიდან საყვარელი ძმისწული ეწვია და თან ბურთი ჩამოიტანა. ძმისწულიო?! — დატრიალდა კალისტე და დაყრუებულ ოთახებს ხმა აღირსა. ბურთიო?! — აწრიალდა „დიდი ეზო“ და მოსვენება დაკარგა. ცალკე მარტოხელა ბიძამ გაიხარა, ცალკე იმ უშოვნელს დახარბებულმა ბიჭებმა.

ამირანი ერქვა, — ბიჭად კი არაფერი იყო, ერთი „ხოზო“ და დონდლო.. მაგრამ, ბურთი... ბურთი... ტყუილია... არა, ძმაო, ძაან ბურთი ჰქონდა... იმისი ფასი არაფერი ენახათ „დიდი ეზოს“ ბიჭებს. ბურთი იყო, მაგრამ რა ბურთი! კაცი იმის დამნახავი, მობურთავეც რომ არ ყოფილიყო, მეტი-მეტი ნდომისგან ენას დაიკვნეტავდა, — ტყავისა იყო, ნამდვილი, „ქალაქური“, ახალთახალი, ფეხდაუკარები, ლამის თვითონ ათამაშებულიყო, სულ ნაპერწკლებსა ჰყრიდა და კარგა მოწეული ჭახჭახა საზამთროსავით წითლად ღუოდა. თუმცა, რა გინდა, — დიდი ჟმოთი ვიღაცა ჩანდა ბურთის პატრონი. ეზოში ჩამოსვლას თაკილობდა, იქაურ ბიჭებში გარევას უკადრისობდა, და. აქაო და თბილისელი ვარო, აქაო და წითელი ბურთი მაქვსო,

თავი ერთი ვინმე მოხელე-ნაჩალნიკივით ეჭირა. იჯდა ერთთავად აივანზე — მოჟამული, დაძმარული, ხელში თავის კოხტა ბურთს ათამაშებდა გამომწვევად და ეზოში გამოფენილ ბიჭებს ისეთი მავნე თვალებით გადმოსცქეროდა, თითქოს ამბობდა: ბიჭიც მე ვარ, ფეხბურთელიც, ამირანიც მე მქვიაო... ვერაფერი შვილი ამირანი ის იყო, იმისმა თავის გახეთქვამ. ამირან — ტარიელისა რა მოგახსენოთ და, უფრო კი იმ ავ ძაღლსა ჰგავდა, თვითონ რომ არა ხეთქავს და არც სხვას აჭმევს.

რა იცით, იქნებ ჩვენი გაფუჭება არ უნდაო, — თქვა გვაჩაიამ. რაც უნდა იყოს, მაინც თბილისელია, კარგი თამაში ეცოდინებაო, — კვერი დაუკრა ვალოდიამ. ალბათ, ისეთი მხეცი მოთამაშეა, ყველას აგვამატავებს, ხალხში თავს მოგვჭრის. შეგვარცხვენს და გაგვაწითლებს თავის ბურთივითაო, — იშიშა კაკოიამ. ხუმრობა-ხუმრობაში, ბიჭებს, ერთი პირობა, რიდიც შეუდგათ, ჩუმი შიშიც ბურთის პატრონისა. მაგრამ იფეთქა ბორიამ, სიმართლე თქვა და სამართალი დაამყარა: თავი ძლივს დააქვს, ტანი და ფეხები, მაგ თოხლო-ბიჭის რა მცოდნიაო!.. ჩამოვიდეს, გვეთამაშოს, ეგ ლობიო, შავი ტანი და თეთრი ტანი აბანოში გამოჩნდებაო, — გაწიწმატდა გრიშაია. მერე ყველა გაგულისდა: უჰ, მაგისიო და უჰ, ეგ ასეთ-ისეთიო! მკერდზე მჯიღს იცემდნენ, ჩუმად დუდღუნებდნენ, მაგრამ „ბურთის ხათრით“ ხმამაღალს ვერას უბედავდნენ კალისტე ლანჩავას აივანზე მუხრანბატონივით წამომჯდარ ქალაქელ ბიჭს, — სულ არ დავაფრთხოთო!

ერთხელ, ამ წითელმა ბურთმა თავისი რომ დამართათ, — თვალი მოსჭრათ, მზე დაუბნელათ, გონება წარსტაცათ, — ვერარ მოითმინეს, გაბედეს და ქვემოდან ზემოთ სიტყვა შეაწიეს:

ჩამოდი, გვეთამაშე, შენც გაიხარე, ჩვენც გაგვახარეო!.. „პირველი სიტყვა იმათა თქვესო“, — გაიბერა კალისტე ლანჩავას ძმისწული. ერთ ხანს აგრე იჯდა გაბადრული, განაზული. მერე ის ბუქურაულის ძაღლივით დასტამბო თავი გვერდზე გადახარა, მამალი ინდაურივით ღაბაბი სამად დაკეცა, ეზოს ირიბად გადმოხედა, ყვითელი კბილები გადმოყარა და ბიჭებს სამადლოდ გადმოუგდო: თამაში თუ იცითო!... გაგიჟდნენ ბიჭები. ვაჰმე ჩვენო, — მკერდებზე ბაგუნი აიტეხეს, ეზოდან უსიტყვოდ გაიკრიფნენ და ყორეზე ჩამოსხდნენ დახოცილები...

ოღონდ, თქვენ ნუ დამიღონდებითო, — გვაჩაიამ და საქმე უმალ „დაპლანა“. ყველაფერს ის აჯობებს, მაგ უცხო ჩიტს საკენკი დავუყაროთო, — გაანდო ძმაბიჭებს. რა საკენკიო?.. რაო და... აბა, ეგ როგორ იქნება, უარესად დაგვცინებს, უფრო მეტად აგვიგდებსო... თქვენ გულით ითამაშეთ და მერე ნახეთ იმის მუხლის კანკალიო... არა და არაო!... დამიჯერეთ, მე არ ვიყო გვაჩაიაო!..

დაუჯერეს და მეორე დღეს იმ უცხო ჩიტს საკენკი დაუყარეს: გამოიტანეს ის ოხერი გაჭირვების ღორის ბუშტი, გააგორეს და გამოაგორეს, გაახურეს და ცეცხლი წაუკიდეს, გააბუერეს და „ორგოლობანა“ გააჩაღეს. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ღორის ბუშტი, იყო ერთი მიდი-შვიდი... უყურა, უყურა თოხლო-ბიჭმა და იმასაც შეუდგა ბურთის გვრემა — კოჭის ქავილი, მუხლის კანკალი. მაშ როგორ! — თოხლო იყო თუ ლობიო, მაინც ბიჭი ერქვა, ბურთი ჰქონდა კლაპიტონისა და ამირანს ეტყოდნენ სახელად. გაგორდა აივნიდან, ჩამოგორდა კიბეებზე და შემოგორდა ეზოში: აი, ჩემი წითელი ბურთი, მეც მათამაშეთო. ბიჭებმა ჯერ თვალს არ

დაუჯერეს, მერე გვაჩაიას ჭკუა ირწმუნეს, სიხარულით ცას ეწივნენ, მთვარეს მისწვდნენ და ვარსკვლავებს დაუწყეს თამაში. თუმცა, თავი დაიჭირეს, ნირი არ იცვალეს, არაფერი შეიმჩნიეს და ცივი უარი უთხრეს: ახლა გვიან არი, შუა თამაშში ვართ, ვერ მიგიღებთო. დაიწვა, დაიფუფქა თოხლო-ბიჭი—ამ გაუთლელებმა ქალაქელ ბიჭს, ეს რა სიტყვა მაკადრესო!.. როგორ თუ არ მიმიღებთ, განა ჩემი წითელი ბურთი, მაგ თქვენ ღორის ბუშტს არ ჯობიაო?!... ჯობდა და მერე ეგრე? მაგრამ, ბიჭები გვაჩაიას „პლანზე" ისხდნენ და ერთ ხანს კიდევ გაინაზნენ: ამ ღორის ბუშტს ნუ დასცინი, უცხო ხილიაო, ჩვენებური არ გეგონოს, ზაგრანიჩნიაო!.. ვაო?! — პირი დააღო თოხლო-ბიჭმა. მაშ, რა გეგონაო!.. მათამაშეთ, რაო!.. არ მოხერხდებაო!. დაიღრიჯა თოხლო-ბიჭი, ღაპაბი დაქაჩა, ყანყრატო დაიგლიჯა მუდარით, თითო ცრემლი გადმოაგდო, მაგრამ, გაკერპდნენ, გაჯიუტდნენ ბიჭები... მაგ გვაჩაიამ: რას მიჰქარავთ, მუდრეგებო, მეტი არ მოგვიციდესო, ეგ ბურთი არ წაიღოს, სულ არ გაგვექცესო!.. დაუჯერეს გვაჩაიას, და ნებას ჩამოვიდა ბორია: ყაბულსა ვართ, გათამაშებთ, მაგ შენ წითელ ბურთითაო!

ის ღორის ბუშტი დამალეს, მეზობელი ეზო გამოიწვიეს, იწილადობილეს, საქმე გაინაწილეს, თოხლო-ბიჭი გოლიპერად გაიმეტეს, გვაჩაია ბეკად დანიშნეს, ვალოდიას შუა დაცვა მიანდეს, გრიშაიას ხავბეკობა მისცეს, კაკოიას გარემარბობა უთხრეს, ბორია ცენტრად დააყენეს, კაპიტნად აირჩიეს, წითელი ბურთი გაიგდეს, ეზოს ყიჟინა დასცეს, სახლები ააკანკალეს, მეზობლებს გული გაუწვრილეს, ის ბურთი ლამის შეეჯამეს და ნამდვილი ფეხბურთი გააჩაღეს ნამდვილ ბურთს

მოწყურებულმა ბიჭებმა. მერე თანდათან იმძლავრეს, მეტოქეს კარზე დაასხდნენ, „ცალგოლობანა“ გამართეს, თავის გოლკიპერს ბურთი არ გაუჭაჭანეს, საქმე წაართვეს და მოთმინება დაულიეს.

შუა თამაშში, ბურთი რომ გატკბა, დაღლა გაქრა, გაქცევა გაადვილდა, — აუჯანყდათ თოხლო-ბიჭი, აღარ დადგა გოლკიპერად: გოლკიპერობა თქვენო, ცენტრობა მეო, კაპიტნობაც მეო, ყველაფერი მეო. საცემი იყო, მაგრამ, რას იზამდნენ, — „ბურთის ხათრით“ დამორჩილდნენ და წინ მიუშვეს სათამაშოდ. ერთი უნიათო ვიღაცა გამოდგა. უქმად ირბინა, დათვივით იძუნძულა და დაწყვიტა ბიჭები სიცილით... კალისტე ლანჩავას ძმისწულმა იხტიბარი არ გაიტეხა: ბურთის ტარება არ ვიცი, მარა დარტყმა მაქვს მაგარიო!.. „ბურთის ხათრით“ არც ამაზე დაზარდნენ. წამოვიდა ბორია, სამი ერთად მოატყუა, მეკარესაც „აჭამა“ და ცარიელი კარის გასწვრივ გაუგორა ბურთი თოხლო-ბიჭს — ჰა, შეაგდე, გაიხარე, ოღონდ, შენ არ გაგვიწყრეო. მოტრიალდა თოხლო-ბიჭი, ახლა გაჩვენებთ თბილისურ „შუტსაო“, მოიქნია მარჯვენა ფეხი, ააცდინა, თავი ველარ შეიკავა, ტანი ველარ დაიმაგრა, ყირამალა გადაიქცა და ამოდენა მოზვერს მიწაზე მოსძვრა ბრაგვანი... დააყარეს სიცილი. წამოდგა რის ვაი-ვაგლახით. დაბეგვილი და წელმოწყვეტილი, შერცხვენილი და დაღრეჯილი: ეს ამბავი თქვენ მომიწყვეთ, თქვენ გაქვთ ბრალი ამაშიო, ჩემი ბურთი დამიბრუნეთ, აღარ მინდა თამაშიო!.. ბურთს ხელი დაავლო, სლუკუნით გაგორდა ეზოდან და ოხვრა-კვნესით აგორდა კიბეებზე.

ვაი, ჩვენს თავსაო! — იტკიცეს შუბლში ბიჭებმა, მაგრამ

რაღა დროსი იყო სინანული, წამხდარ საქმეს რაღა ეშველებოდა!.. და დარჩნენ ისევ ფეხმოცარულნი, ხელცარიელნი, ხახამშრალნი — იმ თავისი ღორის ბუშტის ანაბარა.

* * *

იმ „გაუხარელ" და „ჩვეულებრივ" დღეებში, როცა საბურთავი არა ჰქონდათ მოსახელი ან სხვა რამე სათარსავი, — ზღვა იყო იმათი იმედი, ნუგეში, უღალატო მეგობარი.

მზე რომ გახუნდება — ელვარება დაელევა, სხივები გაეცრიცება და ეს ამოდენა ცეცხლადქმნილი საოცრება დედამიწას დაემალება... გახურებულ ქვიშას სამხრობის პირველი გრილი რომ დასუნთქავს და წყლის მრუდე სარკეს ნელი ზღვაური გადავარცხნის... — ზღვაში შეცვივდებიან, თავს მისცემენ აქაფებულ ტალღებს, ჯერ უბურთობით დამდუღრებულ გულებს გაიგრილებენ, მერე ყოჩაღ ბიჭობას გაიხსენებენ და ერთმანეთს ილათს გაუსინჯავენ ცურაობაში, ყვინთაობაში, ნიჩბოსნობაში, აღერებას შემდგარი „დიდი ეზოს" ბიჭები: იმნაძე კაკოია, ბერძენიშვილი ვალოდია, გაგუა გრიშაია, ჯორბენაძე გვაჩაია, პაიჭაძე ბორია... კაკოიას გრიშაია აჯობებს გაგუა, გრიშაიას ვალოდია გატეხავს ბერძენიშვილი, ვალოდიას გვაჩაია სძლევს ჯორბენაძე, გვაჩაიას ბორია დაჯაბნის პაიჭაძე და ყველას ბორია დაჯაბნის პაიჭაძე. ყვინთაობაშიც, ნიჩბის მოქნევაშიც. იხვივით დაცურავს ბორია...

მერე ყველაზე ძნელს იზამენ: ვინც ტალღებს სწორს დაუდებს, სივრცეს არ შეუდრკება, ზღვაში დაიკარგება და პატარა წერტილად გამოჩნდება ნაპირიდან, საბოლოო გამარჯვებაც

იმისი იქნება. ამაშიც პირველობას ბორია დაიჩემებს პაიჭაძე. იხვივით დაცურავს ბორია.

ყრიან ნაპირზე ტიტლიკანა ბიჭები და პირდაღებულები გასცქერიან შორს, ლურჯ უსაზღვროებაში პაწაწინა წერტილად ქცეულ უშიშარ მეგობარს. მაშ, ცოდვა არ იქნება ეგ ბიჭი მეზღვაური არ გახდეს, ბურთის დევნაში დალიოს დღენი და ხმელეთმა შეჭამოს?! არა, ბორია ზღვისათვის არის გაჩენილი და იმისი სიჭაბუკე — ახალგაზრდობაც ზღვას ეკუთვნის, ზღვამ უნდა შეიწიროს. ალბათ, აგრეც იქნება: დაამთავრებს გაისად საშუალოს და საზღვაო სასწავლებელს მიაშურებს. მერე რა ვუყოთ, რომ გზები გაეყრებათ: ბურთსაც დაივიწყებს. ღორის ბუშტსაც და იმათ თავსაც. სამაგიეროდ, კაცად ივლის ამ ქვეყანაზე...

სხედან ქვიშაზე ტიტლიკანა ბიჭები და განცვიფრებულები გასცქერიან პატარა წერტილს, რომელიც თანდათან მსხვილდება, დიდდება, უახლოვდება ნაპირს.

* * *

კარგა რომ მომწიფდნენ, მზერა აემღვრათ, იერი ესხვაფერათ, ხმა გაუტყდათ, საწვერულვაშოზე პირველი ღინღლი აეშალათ, ბავშვური შემოელიათ და სიჭაბუკური მოერიათ — იკადრა დიდმა ფეხბურთმა, მოწყალება გაიღო, იმათ პატარა ქალაქშიაც შემოიხედა. იმ ხანებში, ფოთის მშვენიერ სტადიონზე თითქმის ყოველდღე იდგა ხოლმე გაგიჟებისა და თავდავიწყების ბედნიერი, დაუვიწყარი, სანეტარო წუთები. სწორედ ეგ იყო უბურთობით „გალახული“ „დიდი ეზოს“ ბიჭების ხსნა.

სხვათა თამაშობით იცხრობდნენ გულის სიღრმეში ატეხილ ტკივილს... მაგრამ, ეს ოხერი, ფასიანი იყო ყველა დასწრება, და საწყალ ბიჭებს სადა ჰქონდათ იმდენი შეძლება, ყოველდღე ერბინათ სტადიონზე.

თამაშები კი, მართლა საინტერესო იყო, — დაძაბული, შეუპოვარი, დაუნდობელი. ხშირად ერთი დავიდარაბით, გაწევ-გამოწევით, კეტების ტრიალით მთავრდებოდა. ხან ვის დაამტვრევდნენ თავ-პირს, ხან ვის დაუზელავდნენ გვერდებს, ხან მოთამაშეები ზარალდებოდნენ, ხან მსაჯები იწირებოდნენ მსხვერპლად, ხანაც მაცქერალნი დაერეოდნენ ხოლმე ერთმანეთს...

ფოთის გუნდების მეტოქეები — ან ადგილობრივ ნავსადგურში მდგარი უცხოეთის გემების მეზღვაურები იყვნენ, ან მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ნოვოროსიისკისა და დონბასის ფეხბურთელები. ასე რომ, ძაან თამაშები იყო! — მოსკოველების მრისხანე იერიშები და ფრანგების აჟურული თამაში, ლენინგრადელების გამოუცნობი კომბინაციები და ინგლისელების ურიდი შეტევები, თბილისელების ტემპიანი გარღვევები და თურქების გონებამახვილური ფინტები. რას არ ნახავდა კაცის თვალი!... და ფოთის მშვენიერ სტადიონზე თითქმის ყოველდღე იდგა ხოლმე გაგიჟებისა და თავდავიწყების ბედნიერი, დაუვიწყარი, სანეტარო წუთები... ჰოდა, რაღა თქმა უნდა, იქ არ წასვლა, იმ თამაშებზე ვერ დასწრება — ყველა მიწიერი და ზეციერი სატანჯველის ტოლი იყო „დიდი ეზოს“ ბიჭებისათვის. არა და, რა ქვას იხლიდნენ, ამოდენა ფული სად ეშოვნათ: ან იმნაძე კაკოიას, ან ბერძენიშვილ ვალოდიას, ან გაგუა გრიშაიას, ან ჯორბენაძე გვაჩაიას, ან პაიჭაძე

ბორიას. არც ერთი იყო მორგანის შვილი, არც მეორე — როკ-ფელერის მემკვიდრე. რა ოხრობიდან „დაეჩითათ“, ქალალდიდან ხომ არ გამოსჭრიდნენ და!.. გამოსავალი ერთი-ღა რჩებოდათ: უბილეთოდ შეძრომა. ამას კი მოფიქრება უნდოდა, ჭკუის „დანჯღრევა“, საქმის „გაიმასქნება“, „დაპლანვა“ და, რაც მთავარია, „შანციანობა“. თუმცა რა, იქ არა ჰყავდათ „შანცის ერთი“ გვაჩაია? — დაჯდებოდა, იფიქრებდა და რასმეს „გააიმასქნებდა“. მეტი რა საქმე ჰქონდა, არ ვიცი!..

... ერთ კვირა დღეს ქალაქი ფეხზე დადგა, შორიახლო სოფლები აიყარა და სტადიონის ჭიშკარს ქვეყნის ხალხი მიაწყდა. სად იყო ან ბილეთი, ან ადგილი, ვისა სცხელოდა წვრილფეხობისათვის! ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: ფოთი მოსკოვს ეთამაშებოდა!

მთელი ღამის უძინარ ბიჭებს, დილიდანვე წაუხდათ გუნება, დაეკარგათ მოსვენება. რა გვეშველება, რა ვიღონოთ, რა მანქანებით შევაღწიოთ სტადიონზე? — უტრიალებდათ ალმოდებულ გონებაში და ერთ ადგილზე ვერ ჩაემუხლათ. ბედგამწყრალებივით დალაჯუნობდნენ და ცოდვილებივით წარამარა შესცქეროდნენ საათებს.

დათქმული დროც მოვიდა: შუადღე რომ გადავიდა, მზე ზღვისაკენ დაიწვერა და კარზე მომდგარმა ფეხბურთმა ქალაქს სუნთქვა შეუგუბა, — სადღაც სტადიონის შორიახლო, რიონის პირას შეიყარნენ გასაჭირში ჩავარდნილი ბიჭები. სიკვდილმისჯილებივით ისხდნენ ერთ ხანს, დანა პირს არ უხსნიდათ. მერე თანდათან დაეტყოთ სიცოცხლის ნიშანწყალი, თავები მაღლა აიღეს, ფერდაკარგულებმა გვაჩაიას დაადგეს უძინარი თვალე-

ბი: აბა, ბიჭო, გვაჩიაო, შანცი ნუ დაგვიწყნიაო, სტადიონზე მოგვაყუჩე, უნდა გვიხსნა აწიაო!..

წამოდგა გვაჩაია, ჯერ სტადიონს გახედა, არემარე დაზვერა, მერე შუბლზე თითი მიიდო, ბრძნული გამომეტყველება მიიღო, იფიქრა, იფიქრა და... ვერაფერი ბოიფიქრა...

დროს მოთმინება ელეოდა... საცაა თამაში დაიწყებოდა. ბიჭები ღელავდნენ: ფიქრი კი არა, ახლა, მოქმედება იყო საჭირო. სწრაფი საზრიანობა, გაბედული მოქმედება. მაგრამ მოქმედება თავკაცს მოითხოვდა, და აი, ისიც, გამოჩნდა: პაიჭაძე ბორია...

თითქოს ვიღაცის დაყურებასა შიშობსო, ჩუმად გაანდო ბიჭებს ათჯერ გაზომილი და ერთხელ მოჭრილი. ხელაღებული იყო გეგმა, რისკიანი ბიჭის ნააზრი, მაგრამ მარტივი და დღესავით ნათელი: ჯიქურ მისვლა სტადიონზე, ან როგორც იქაურები იტყოდნენ — „ნაურა“ შევარდნა — არ გამოდგებოდა, რადგან ერთადერთ შესასვლელს ფხიზლად დარაჯობდა „უბილეთოების“ დაუნდობელი მტერი — ჩოხაახალოხიანი მრისხანე მილიციელი, ულვაშა ალე გაბისონია. სამაგიეროდ, სტადიონს ერთმხრივ რიონი ჩამოუდიოდა, და ბორიას გეგმის „ამოსავალი წერტილიც“ სწორედ ამაში მდგომარეობდა.

— თუ გულდაგულ გავყვებით დინებას, რიონი ათიოდე წუთის შემდეგ სტადიონზე შეგვიყვანს, — დაამთავრა ბორიამ და მისი სიტყვები აღფრთოვანების ძახილმა დაფარა.

არ დააყოვნეს, ტანსაცმელი გაიძრეს, თავზე შემოიხვიეს, რიონში ჩაცვივდნენ და მწყობრი მხარულით გაჰყვნენ დინებას. სტადიონს რომ გაუსწორდნენ, დინებას თავი დააღწიეს, ფაცხაფუცხით ამოცვივდნენ ნაპირზე და თაგვებივით შეძვრ-

ნენ მაყურებლებში. ალე გაბისონია კი ამ დროს ულვაშებს იპრეხავდა, ღილ-კილოს ისწორებდა, ადლიან სატევარს აწვალებდა და თავაწეული ბოლთაობდა სტადიონის შესასვლელში — ჩიტი რომ ჩიტია, ისიც ვერ შემოფრინდებაო.

ფრთები გაშალეს ბიჭებმა და გული იფონეს — მართალია დამარცხდნენ ფოთელები, მაინც ვაჟკაცურად გაუტოლეს მხარი მოსკოველ დიდოსტატებს.

.:. კარგა მოსალამოვებული იყო, როცა ხილულითა და განცდილით დაქანცულნი, შთაბეჭდილებებით დამძიმებულნი ბრუნდებოდნენ შინისაკენ.

— ჩვენებს არ უნდა წაეგოთ, — თქვა კაკოიამ.

— ჩვენებს არ გაუმართლათ, — თქვა ვალოდიამ.

— „სუდიამ“ დაგვჩაგრა, — თქვა გრიშაიამ.

— ის „პენალტი“ რომ მოეცა, ის „აფსაიტი“... — დაიწყო გვაჩაიამ.

— არა, — გააწყვეტინა ბორიამ, — დღეს ნამდვილად გვაჯობეს, მაგრამ მოვა დრო და ჩვენ ვაჯობებთ!

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

„დიდმა ფეხბურთმა“ ამ პატარა ქალაქშიაც გააკეთა თავისი საქმე და მის უწყინარ მკვიდრთ ჯერ გამოუცნობი, უცხო რამ ცოფი შეჰყარა.

მთელი ქალაქი ავად გახდა. მთელი ფოთი ყირაზე დადგა. ჯერ პატარებმა შეუშტვინეს, მერე დიდებმა გააფრინეს. ჯერ გაჩნდა ბურთები, მერე დაიბადა გუნდები. მერე ეზო-ეზოს, ქუჩა-ქუჩას, უბანი-უბანს, ცოლიანი-უცოლოს, წვერიანი-

უწვეროს, ულვაშა-ქოსას დაეტაკა და... გაგიჟდა, გადაირია ქალაქი. მყუდრო ზღვისპირა ქალაქი შფოთმა შესძრა და კარ-თებამ აშალა. ფეხბურთმა გამოიდარა ფოთში. უბურთობის ავდარი წარსულს უსახელოდ ჩაბარდა და კოლხეთის ბერი ქალაქი ფეხბურთის დიდმა ამინდმაც გამოაღვიძა... დღენი იდგნენ სიჩუქის. ახლა ბურთიც მრავლად იყო და მოედანიც მობურთალნიც დაუთვლელნი. ჰოდა, ვისაც თავი შესწევდა, მუხლი ერჩოდა, გული ედგა, ბურთი შეეძლო, შნო ჰქონდა და ბიჭობა რამისა — არ ეთქმოდა სამდურავი.

და იმდენ მჯობნის მჯობნ მობურთავეებში, „დიდი ეზოს" უკვე დიდმა ბიჭებმა თვალი არ შეიკრთეს, თავ-პატიჟი არ დაიწყეს, სიტყვას პირი მოხსნეს და მთელს ქალაქს ურიდად უთხრეს ის თავიანთი დიდი ხნის სათქმელი — მუხლიც გვმუხ-ლობს, გულიც გვგულობს, ძალიც შეგვწევს ქადილისაო! გა-მოდით, ტოლნი ვინცა ხართ და სწორი დაგვიდეთო!..

ერთი კი არა, კალისტე ლანჩავას „ლობიო" ძმისწული (კიდევ ახსოვდათ!) ჯიბრით — ათი ბურთი იყიდეს, „ზებრა" მაისურები დაირტყეს, შავი ტრუსები ჩაიცვეს, „იმპორტნი" კეტები მოირგეს (ბუცებს დაექცა მომგონი — ფეხს ამტვრევ-დათ, ის ოხერი), გუნდი შეჰკრეს, „ქარიშხალი" დაარქვეს, მინდორ-ველად გაიჭრნენ, თანატოლებს დაერივნენ და ვინც იმათი გაფუჭება ინება, სულ ბდღვინი ადინეს...

ოო, ძაან ბურთი კი იცოდნენ, იმ კაი დედმამიშვილებმა! ვალდია რომ ერთი ბოლოდან დაუნიავებდა — ბურთი მინდვ-რის მეორე ბოლოში მოიღებდა ხათქანს. გრიშაია რომ დაიძ-რებოდა — ყველაფერი თან მოჰქონდა. გვაჩაია რომ ბურთს აკენწლავდა — უნდა დამდგარიყავი და გეცქირნა. კაკოია რომ

ფინტებს დაახვევდა — ერთი რამეთა ღირდა. ბორია რომ ბურთს ჩაიგდებდა — წართმევა აღარ გინდოდა? გადიოდა და გამოდიოდა, გაჰქონდა და გამოჰქონდა, იმის ნახვას არაფერი სჯობდა.

მალე მთელს ქალაქში ფალავანთა ფალავნობა დაიჩემეს. ფოთში ხმა დადიოდა: „ქარიშხალი“ დიდებსაც წაახდენსო. ფოთში იმასაც ამბობდნენ: „ვალოდია ბერძენიშვილი ბეკიაო პირველი“, „გრიშა გაგუა ხავბეკიაო ნამდვილი“, „გვაჩი ჯორბენაძე ინცაიტიაო უჯობნი“, „კაკო იმნაძე გარემარბიაო მოუხელი“, „ბორია პაიჭაძეო“... და იმის ხსენებაზე — თვალებს მინაბავდნენ, თითის წვერებს დაიკოცნიდნენ, ტუჩებს ააწრუპუნებდნენ: იფ, იფ, იფო! და ნწუ, ნწუ, ნწუო!

საგრძოლო ნათლობა

როცა 1929 წლის გაზაფხულის ერთ ყალმით დახატულ დღეს, ბორიამ „ხუთიანებით“ და „ოთხიანებით“ დამშვენებული სიმწიფის ატესტატი მოარბენინა სახლში, არც მამას — სოლომონ პაიჭაძეს, არც დედას — ოლღა ტუღუშს, არ უმარჩიელიათ, არ უწილადობილიათ და თვალდახუჭულებს თითი თითისათვის არ დაუტაკებიათ, სხვა ონავრების მშობლებივით: „ღმერთო, გვირჩიე, ჩვენი გიჟი ბიჭი, რომელ უმაღლესში მივაბაროთო“!..

არა, იმათ საამისო არაფერი უჭირდათ. ამ მხრივ სოლომონი და ოლღა ბედნიერი მშობლები იყვნენ: წიგნიც ისევე იოლად ეძლეოდა ბორიას, როგორც მინდვრიანზე ბურთის ჭენება და ცხოვრების დიდი გზაც კარგა ხანია ჰქონდა შეთვალიერებუ-

ლი. ზღვა იყო—ბავშვის ლამაზი ოცნება, ზღვა იყო — ჭაბუკის ურყევი არჩევანი. ზღვა, და მხოლოდ ზღვა... მამამაც შეუქო არჩევანი: ჩემი ბიჭი დიდკაცობას უმიზნებს, გემის კაპიტანი გახდებაო. დედამაც მოუწონა მომავალი: ჩემი შვილი ქვეყანაზე თვალს გაახელს, მოგზაური იქნებაო. ჩვენი სიხარული და ბედნიერება ტკბილად დაგვაბერებსო, — უხაროდათ მშობლებს...

და როცა, 1 სექტემბერს, მზიან დილით, ბორიამ ფოთის საზღვაო ტექნიკუმის კარი შეაღო, მომავალ მეზღვაურებს გვერდში ამოუჯდა და ზღვის საიდუმლოების პირველი ანაბანა მოისმინა, — სოლომონ პაიჭაძემ დედამიწა ქალამნად მოირგო, ცა ქუდად დაიხურა და ერთი კარგი პურ-მარილიც გაუშალა თავის მეგობრებს: მოდით, დამლოცეთ, სიხარულს მეზიარეთ. ჩემი გიჟი ბიჭი ცხოვრების გზაზე დავაყენეო.

* * *

ნიკოლოზ ნოსოვის, ალექსანდრე კოტლიარევსკის, პავლე ბოგოლიუბოვის, ვლადიმერ პადაპრიგორას საინტერესო ლექციებმა, დაძაბულმა საზამთრო და საგაზაფხულო სესიებმა, შეუმჩნევლად დალიეს ის ორი წელიწადი.

კი არ ისმენდა, ნთქავდა ლექციებს ბორია... ნიკოლოზ ნოსოვი „ზღვის კანონებს“ უხსნიდათ, ალექსანდრე კოტლიარევსკი „ქვაბების“ შესახებ უკითხავდათ, პავლე ბოგოლიუბოვი „საერთო დისციპლინას“ აცნობდათ, ვლადიმერ პადაპრიგორა „შიდა წვის ძრავებს“ ასწავლიდათ. ლექტორების ყოველ

ნათხრობს, ყოველ სიტყვას, ხარბად ეწაფებოდა ცოდნას მოწყურებული ჭაბუკი...

პირველ წელს ცოტა არ იყოს ეძნელა ბორიას, — არც თუ ისე ადვილი გამოდგა საზღვაო ხელოვნების დაუფლება. მეორე წელსაც მოიკოჭლებდა აქა-იქ. მაგრამ შრომამ, მონდომებამ, ნიჭმა და ენერგიამ, წიგნებთან ჭიდილში გატეხილმა ღამეებმა, მაინც გაიტანეს ლელო: მესამე სასწავლო წლის ბოლოს, ბორიამ ბრწყინვალედ დაიჭირა საკურსო გამოცდები... ტექნიკუმის ხელმძღვანელთა განკარგულებით, გემთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა ნიკოლოზ ნოსოვმა სწავლაში წარჩინებულთა სია შეადგინა. სიაში სულ 13 ჭაბუკი იყო მოხსენებული. ისინი პრაქტიკული ცოდნის მისაღებად ფოთის საწარმოებში იგზავნებოდნენ. მათ შორის იყო: მესამე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ბორის სოლომონის-ძე პაიჭაძე.

* * *

ბედმა გაუღიმა ბორიას და იღბალმა გაუცინა: ისეთ კოლექტივში მოხვდა, იმნაირ ხალხში ჩავარდა, — კაცი რომ ინატრებს. კარგი სპეციალისტებიც მრავლად იყვნენ, გულღია საამხანაგო ბიჭებიც და, რაც მთავარია, ბურთაობის მოტრფიალენიც ყოველ ფეხის გადადგმაზე. ეს ვეებერთელა საწარმო, როგორც იტყვიან, — ფეხბურთის ტრფიალს აეტანა. მისი, თითქმის ყოველი მუშა-მოსამსახურე, — ფეხბურთს იყო გადაყოლილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავისუფალ დროს: დაიწყებოდა შესვენება თუ დამთავრდებოდა სამუშაო,

მთელი კოლექტივი ფოთისა და თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის, საბჭოთა და უცხოელი, და ვინ გინდა და ვინ არ გინდა ფეხბურთელის არამკითხე მსაჯული ხდებოდა. იყო ერთი ყაყანი, ჯაჯღანი, დავა-კამათი. ხან ეს იყო ჭკვიანი, ხან ის იყო სულელი, ხან ერთი იყო მართალი, ხან მეორე იყო მტყუანი. ესი კაცი ერთად ლაპარაკობდა, ერთად კიოდა და ერთად ყვიროდა, ერთად ამტკიცებდა და ერთად უარყოფდა, ერთად სჭრიდა და ერთად ჰკერავდა. ქარხანაში ყველა — მთლად უფროსიდან დაწყებული მთლად უმცროსით დამთავრებული, ფეხბურთით იყო დაავადებული. ავად იყო საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე — ვანიჩკა ალანიაც.

ვანიჩკა ალანია იმ დროისათვის უკვე სრულიად საქართველოს მასშტაბის ავადმყოფი გახლდათ და იმისი დაუჯერებელი ამბები მოდურ ანეგდოტებად დადიოდა ამერ-იმერ, თბილისსა და ქუთაისში. ფოთში ხომ იცნობდნენ და იცნობდნენ. მთელი ფოთი და ვანიჩკა ალანია. ქალაქის სტადიონზე თამაშის დროს, თუ ბურთი მასპინძელთა ბადეში აფართხალდებოდა და ვინმეს გული გაეპარებოდა, თუ სტუმრების კარში გოლი გავიდოდა და ვინმე დაჭრილი დათვივით აბღავლდებოდა, თუ მსაჯი საქმეს გააჭირებდა და იმის საცემად მოედანზე ვინმე თავზეხელაღებული გავარდებოდა, — იტყოდნენ ხოლმე ფოთელები: „ეგაც რა ვანიჩკა ალანია გამიხდაო“... თქვენ, ვანიჩკა ალანიას ოთახი უნდა გენახათ ქარხანაში და იმ კაცის ასავალ-დასავალს მაშინვე გაიგებდით. საქარხნო კომიტეტის ოთახი — სტადიონის დირექტორის კაბინეტს ან „გულშემატკივართა კლუბს“ უფრო ჰგავდა, ვიდრე მუშა-მოსამსახურეთა უშუალო ხელმძღვანელის ადგილსამყოფელს. კედლებზე სხვადასხვა საფეხ-

ბურთო პირველობათა გათამაშების აღმნუსხველი ცხრილები ეკიდა ერთთავად. რას არ ნახავდა, აქ, კაცის თვალი: საკავშირო, რესპუბლიკის, რაიონის, ქალაქისა და უბნების, ქუჩების, ეზოების პირველობის ცხრილებსაც კი. მათ შორის მჯდომი ვანიჩკა ალანია ლამის თვითონაც ზეპირ საფეხბურთო ცხრილად გადაქცეულიყო და კისერზე თავის ნაცვლად ბურთი გამობმოდა. ეს კაცი ფეხბურთით სუნთქავდა, ფეხბურთით აზროვნებდა, ფეხბურთით საზრდოობდა, ფეხბურთით ცხოვრობდა ამ ფეხბურთით სავსე ქვეყანაზე.

ვანიჩკა ალანიას მძიმე ავადმყოფობას, ჩანს, უქმად არ ჩაევლო და რიცხვმრავალ გულშემატკივრებს გარდა საწარმოს კარგა მაგარი გუნდიცა ჰყავდა. მუშები ხუმრობით „პარახოდი, ვანიჩკა და ალანიას“ ეტყოდნენ სახელად, რადგან ამ გუნდის დამაარსებელი, „მფარველი ანგელოზი“, — ფეხბურთისათვის თავდადებული, ფეხბურთისათვის თავგანწირული ვანიჩკა ალანია იყო.

... ერთ დღეს, დილაადრიან, საქარხნო კომიტეტის ოთახში ტელეფონმა დაიწკრიალა, სათქმელი თქვა და თავმჯდომარე ააწრიალა. ვანიჩკა ალანიამ უმალ ფერი იცვალა, თავი მაღლა ასწია, თვალებში მუგუზლები ჩაიყარა, ოთახი იპატარავა. გარეთ გამოვარდა, ხელები გაშალა, ხმა აიმაღლა, ყოველი საამქრო სათითაოდ შემოირბინა და ქარხანა ფეხზე დააყენა... მეორე დღეს, ქარხნის ეზოში ერთი უშველებელი აფიშა გაჩნდა — მუშებს ფეხბურთი აუწყა, ფოთის „დინამოსა“ და „პარახოდი, ვანიჩკა და ალანიას“ ორთაბრძოლა საქვეყნოდ გამოაცხადა და დიდ-პატარას სტადიონისაკენ მოუწოდა... მესამე დღეს, დაიწყო თუ არა შაბაშობა, მთელი ქარხანა აიყარა,

ჯარად დაეწყო, საკუთარი გუნდის გასამხნევებლად სტადიონი-საკენ სიმღერით დაიძრა და ჭადრებს შეფარებულ ტრიბუნებ-ზე გუგუნით გაიშალა.

ბორიაც, რაღა თქმა უნდა, აქ იყო. უჩვეულოდ გამოიც-ქირებოდა. უქეიფობა ეტყობოდა ნირზე და იერზე. ჭაბუკს შუბლი შეეკრა, წარბები შეეყარა, თვალებში ნაღველი ჩაედ-ვარა, მინდორზე ჰქონდა მზერა, მაგრამ ფიქრით სხვაგან იყო. „კაცი კაცად არა მთვლის... ჯერ ისევ ბავშვი ვგონივარ ქვეყა-ნას... მერე რა ვუყოთ, რომ ჩვიდმეტი წელი მხოლოდ ახლა შემისრულდა... ხამი ხომ არა ვარ და ბურთის უნახავი... ბურ-თი როგორმე მეც მითამაშია და დრო იყო ქალაქი ჩემზე ლაპა-რაკობდა... რა მოხდება, ერთხელ მაინც მცადონ, ეგების გამი-მართლოს და გამომივიდეს თამაშიო...“ არც ხალხის გაბმული ყიჟინა ეყურებოდა, ვერც მინდვრის შუაგულისაკენ დინჯი ნაბიჯით მიმავალ მსაჯებს ამჩნევდა. ფიქრში გართულმა ჭა-ბუკმა ვერც ის შენიშნა: ქარხნის გუნდი მინდორზე გამოსვლას რომ აგვიანებდა და გასახდელიდან რა დაფეთებული ამოვარ-და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ვანიჩკა ალანია...

...ამ დროს გასახდელში ერთი ამბავი იყო. „ვანიჩკა და ალა-ნიას“ გუნდის მარცხენა გარემარბმა კუკა მაქაცარიამ გუნდი დააღალატა — სადღაც ძმაკაცებს შეეყარა, ზედმეტი გადაჰკ-რა და თამაშზე არ გამოცხადდა. კურდღელი რომ გამოვარდა, ჩემს მეძებარს ძილი მაშინ მოუნდაო — სწორედ ისე იყო იმათი საქმე. ბიჭები თმებს იგლეჯდნენ, ვანიჩკა ალანია გადარეული დარბოდა... ბორია ვათამაშოთო, პაიჭაძე, — უცებ გამოსავალი იპოვა ვანიჩკამ, სახე გაებადრა და ისევ კაცს დაემგვანა... ბორიაო?! — ფეხბურთელებმა, გაიცინეს და ხელი

ჩაიქნიეს... მაგრამ, ვანიჩკა ალანიას საცინლად არ ჰქონდა საქმე. ფოთის „დინამო“ ისედაც ძლიერი იყო, და ახლა, ათი თერთმეტის წინააღმდეგ, აბა, რას გააწყობდა! ვანიჩკამ წამითაც აღარ დააყოვნა. ტრიბუნებზე კაცები აფრინა — სადაც გინდათ, როგორც გინდათ, ბორია იპოვნეთ და უმალ აქ მომგვარეთო!

იპოვნეს და მოუყვანეს. ჩააცვეს, შეკაზმეს და მოედანზე გაიყვანეს. ნაფიქრი რომ აუხდა, ნატვრა აუცხადდა თვალდათვალ, თავი სიზმრად ეგონა ბორიას. „ვანიჩკა ალანია გულთამხილავი კაცი ყოფილა, ჩემს გულში მჯდარაო“, — ფიქრობდა განცვიფრებული ჭაბუკი და მინდორზე რომ გადიოდა, მთელი ეს უეცარი ამბავი, ჯერაც არა სჯეროდა...

გასვლით კი გავიდა, მაგრამ, ნეტა ფეხი მოსტეხოდა და იმ მინდორზე არ გასულიყო. ხალხი ეხამუშა, მინდორი ედიდა, ტანსაცმელი ეჩოთირა, გეტრები ეუცხოვა, ბუცები ემძიმა, ტყვიასავით გაუხდა ფეხები, ტანი ვერ დასძრა, მუხლი ვერ გაშალა, ბურთმაც უმუხთლა და... უყუვლა იმოდენა ხალხმა, სტვენით აიკლო იქაურობა... ტაიმი ისე დამთავრდა, ბურთი ვერ მოსინჯა ბორიამ.

გასახდელში რომ ჩავიდნენ, ფეხბურთელებმა ნიშანი მიუგეს ვანიჩკა ალანიას — ესეც შენი აღმოჩენაო! ეს კი ველარ ვოითმინა ბორიამ. გულზე ცეცხლი შემოენთო თავმოყვარე ჭაბუკს: ეს ბუცები მომაშორეთ, ფეხშიშველა მათამაშეთ, მერე მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამო!.. გაიძრო ბუცები, გაიძრო გეტრები, მოირგო კეტები, დაბრუნდა მინდორზე, მუხლი გამართა, ძველებური გაიხსენა, უცხო ილეთები იკისრა, დინამოელი მცველები ოფლში აბანავა, მოედანი მიხაზ-მოხაზა და

ქვეყანა გააკვირვა. სამი გოლი „გააკეთა“ ბორიამ. ორი თვითონ გაიტანა, ერთიც ცენტრალურ თავდამსხმელს დევიკო ბეჭვაიას შეაგდებინა...

იხუვლეს ტრიბუნებმა, მთელი ქარხანა მინდორზე გადმოვიდა და ბორია პაიჭაძემ სულ ჰაერში იბურთავა.

— ბორია მე გავხსენი, პაიჭაძე მე აღმოვაჩინე! — ცივი ხმით გაჰკიოდა სადღაც ზღვა ხალხში მოტანებული ვანიჩკა ალანია და გრძელ, გამხდარ ხელებს ისე ასავსავებდა, თითქოს იხრჩობა და შველას თხოულობსო...

... იმ დღიდან მოსვენება დაკარგა ვანიჩკა ალანიამ და ვიდრე ბორია პაიჭაძე ფოთის ნაკრებში არ ჩაარიცხვინა, თავისი დაემართა.

გამარჯობა თბილისო!

1932 წლის ზაფხულში, ფოთელ ფეხბურთელთა ვეტერანმა და თავკაცმა მიტრო ასათიანმა ძველები დაითხოვა, ახლები აიყვანა, ახალი ნაკრები შეკრა, დაცვა თვითონ იკისრა, ნახევარდაცვა ბუჭულია ქვარცხავას ჩააბარა, თავდასხმა შალია მიქელაძეს მიანდო, „ოქროს თადარიგში“ ბორია პაიჭაძე ჩააგდო, გუნდი ჩონგურივით ააწყო, „ნოტებზე“ აათამაშა და ბურთით მოიარა საქართველო...

მიტრო ასათიანის ყოჩაღმა ბიჭებმა ხალხი აალაპარაკეს და საქართველოს ფალავნობა სასწორზე შეაგდეს. იმერ-ფოთი, ამერ-თბილისი. ან ერთი, ან მეორე. ორივ ერთად არ მოხერხდება, გამარჯვების ბეწვის ხიდზე ორივ ერთად ვერ გაივლის. პაექრობა მშვიდობიანად ვერ დასრულდება, პაექრობას ბრძო-

ლამ უნდა დაუსვას წერტილი, უკანასკნელმა და გადამწყვეტ-მა ორთაბრძოლამ. ან ფოთი, ან თბილისი. აბა, ჰე და აბა, ჰო!... დაგზავნეს კაცები და აწილადობილეს. იღბალი არ გინდა?! — თბილისელებს ერგოთ არჩევანი. არც აცივა, არც აცხელა და არჩევანმა: მოედანი ჩვენიო, ბურთი თქვენიო. არ ესიამოვნათ ფოთელებს, მაგრამ, რას გააწყობდნენ. ადგნენ, აიბარგნენ და თბილისის გზას დაადგნენ.

* * *

თუ არჩევანმა მიტრო ასათიანს, ბუჭულია ქვარცხავას, შალია მიქელაძეს, დანარჩენ ფეხბურთელებს და იმათ გულშემატკივრებს — გული დასწყვიტა და გუნება გაუფუჭა, ბორია პირიქით — გაახალისა და უზომოდ გაახარა. და არა იმიტომ, გუნდის ბედი არ აწუხებდა, თანაგუნდელებისას არ იზიარებდა, ან ბიჭები ჰყავდა მწყრალად, არა, საქმე სხვა იყო. ჩვიდმეტი წლის ჭაბუკს თბილისი ჯერაც არ ენახა და საქართველოს დედაქალაქს მხოლოდ წაკითხულ — ყურმოკრულით იცნობდა. ბიჭი შემოვლას უპირებდა დედამიწას, ლიხს იქით კი არ გაეხედა. რაო? თბილისში არა ყოფილხარო?!—და გაწითლდებოდა ხოლმე ამოდენა ბიჭი. რა ექნა! — დედა ძლივს აუდიოდა ოჯახს და ძვირად გამოდიოდა სახლიდან, მამას ხომ არ ეცალა და არ ეცალა. სხვა, აბა, ვინ მოატარებდა, ვინ აჩვენებდა, ვინ აღირსებდა თბილის-ქალაქს.

...მატარებელი ძლივს მორჩა ზემო იმერეთს, მთების ჯარას კივილით თავი დააღწია და ქართლის ველზე ლაღად გაივაკა...

პატარა რომ წამოიზარდა, თბილისში გაპარვის სურვილი

შეუჩნდა. „რა დიდი ბედენაა, დავეპორწიალები თბილისის „სასტავს“ და ერთ დღეში ქალაქში ჩამახრიგინებსო“, — ფიქრობდა ბორია და გულის გასამაგრებლად, ნაცნობი ონავარი ბიჭების მაგალითებს იხსენებდა წარამარა. განა, ასე არ მოიქცნენ კოწიე ლაფაჩის ზურია, ვარინკა ხოშტარიას დათული და არდალიონ სიგუას ჩერჩილა? — დაადეს თავი და თბილისში იყვნენ მეორე დღეს. მერე კი, იცოცხლე, იმათ დღე დაადგათ! — ყოველ შაბათს ტყეპავდნენ. თუმცა, რა გინდა, თბილისობა კი შერჩათ და! არა, ერთ ცემად ღირს თბილისში გაპარვა. მართალია გცემენ, კარგა მაგრა დაგზელავენ, მარა სასიკვდილოდ ხომ არ გაგიმეტებენ, რაც უნდა იყოს, მაინც დედ-მამაა. ისე, რომ, აიტანს კაცი!... დიდი იყო ცდუნება, მაგრამ დედის ხათრი აკავებდა და, რაც მთავარია, მამის შიში უბორკავდა ხელ-ფეხს. ჩასვლით, როგორ არ ჩავიდოდა იმ თბილისში, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ უნდოდა? სად დაემალებოდა, რა გადაურჩებოდა მამის რისხვას.

...მატარებელი დრიხინდრიხინით გადადიოდა ქსანის ხიდზე...

ახლა კი, როცა აღმოსავლეთით გაჭენებული მატარებელი მის ოცნებასა და ნატვრას ფრთებს შეასხამს, საცაა, დღემდე უნახავ, მაგრამ საყვარელ ქალაქში შეაგრიალებს,—როგორ არ გაიხაროს, გული არ აევსოს სიხარულით.

...მარცხნივ — ხრიოკი, ნაცრისფერი გორაკები უკურბიან... მარჯვნივ—ვერცხლის სარტყელშემოვლებული შიშველი სწორი ტრიალებს... მიჰქრის მატარებელი...

დერეფანში მიტრო ასათიანი გამოვიდა, ნამძინარევი თვალები მოისრისა და ფანჯრასთან გარინდულ ჭაბუკს ესროლა მზერა.

...მარცხნივ — პატარა და მრავალსართულიანი შენობების დოლია... მარჯვნივ-ყანგისფერი ვაგონების გაუთავებელი რიგი... რახ-რახ, რახ-რახ... სახლები და ვაგონები, სახლები და ვაგონები... მიჰქრის მატარებელი....

— თბილისში შევდივართ, — მიტრო ასათიანმა ჭაბუკს მხარზე ხელი მოხვია და ფიქრი მოსტაცა.

ბორია გამოერკვა, ფანჯრის რაზა ჩამოსწია და ბრინჯაოსფრად გარუჯული სახე, უჩვეულოდ ანთებული თვალები მტკვრის ხეობიდან მონაბერ ნიავს შეაგება.

...მტკვრის ვეება ქვაბულში შედიოდა მატარებელი...

აი, თბილისი... თბილისი!.. რამოდენა ყოფილა, რა ლამაზი ყოფილა თბილისი!.. და უეცრად, დიდად მშობლიური განწყობილება დაეუფლა ბორიას. სწორედ ისეთი — ონჭიქედში ან ფოთში ჩასვლისას რომ ეწვეოდა ხოლმე. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ენახოს ოდესმე ეს ქალაქი, ყოფილიყოს ამ ქალაქში. თითქოს აქ დაბადებულიყოს, აქ აედგას ფეხი, აქვე გაზრდილიყოს.

...მატარებელმა ჯერ ჭენება შეაჩერა, მერე სვლას უკლო, ბორბლების მწყობრი, ნელი ნადურით ჩაუარა ბაქანს და მაღალი, შუშაბანდიანი შენობიდან წარწერამ გაიღიმა: „თბილისი“.

ჟრუანტელმა დაუარა, გული ამოუჯდა, ყელში უცხო ყივილი ჩაუდგა ბორიას. სწორედ ისე — აი, ონჭიქედში ან ფოთში ჩასვლისას რომ ემართებოდა ხოლმე.

მატარებელი გაჩერდა, მაგრამ ბორია ერთ ხანს კიდევ იდგა ღია ფანჯარასთან და თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ბაქანზე აფუსფუსებულ ზღვა ხალხს.

გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო!

* * *

მეორე დღეს — თამაშის დღე შეარჩიეს, მატჩის დასაწყისი დათქვეს, მსაჯი დანიშნეს, ასპარეზი აირჩიეს, თბილისისა და ფოთის ნაკრები გუნდების გადამწყვეტი ორთაბრძოლა „დინამოს“ ძველ სტადიონზე გადაწყვიტეს. მესამე დღეს — ქალაქში აფიშები გააკრეს, გაზეთები აახმაურეს, რადიო აალაპარაკეს, ხალხს ფეხბურთის საღერღელი აუშალეს და ბილეთების საფიქრალი გაუჩინეს. მეოთხე დღეს — მატჩის პროგრამები გამოუშვეს, თანამოქალაქეებს მოასპარეზენი გააცნეს და გულები გაუმაგრეს: დამშვიდდით, ნუ გეშინიათ, ჩვენს გუნდში ლევან აბაშიძე, მიშა ასლამაზოვი, კოლია სომოვი, კოლია ანიკინი, ვანია სომოვი ითამაშებენ და შავი დღე ელითო ფოთელებს. მეხუთე დღეს — მთაწმინდა და სოლოლაკი, ავლაბარი და ორთაჭალა, ვერა და ვაკე, ნაძალადევი და საბურთალო, ღრმაღელე და ავჭალა, „კიროჩნი“ და ჩუღურეთი, ბილეთიანი და უბილეთო, ყველა რიგიანი და გზააბნეული — ერთად აიყარა, პლეხანოვზე ჩამოლაგდა, „დინამოს“ მიაწყდა, შესასვლელი კარი ჩამოიღო და „ნაურა“ შევიდა სტადიონზე.

...პირველი ტაიმის ნახევარი საათი, „ოქროს თადარიგის“ სკამზე გაატარა ბორიამ... მაგრამ, როცა თბილისელებმა „შეჭამეს“ და ლამის „გამოხრეს“ ფოთელები, როცა ვანია სომოვმა „ამოკეტა“ შალია მიქელაძე და სტუმრების სახელიან ცენტრფორვარდს ბურთი არ აღირსა — მიტრო ასათიანს მოთმინება დაელია, შალია მიქელაძე დაითხოვა და ბორია პაიჭაძე მოიხმო მინდორზე... ფოთელებს მაინც არ ეშველათ. ვანია სომოვი არც ბორიას ჩამოუვარდა, ლანდივით აედევნა, ტკიპივით

აეკრა და ყველგან გზა უყელა. გამწარდა ბორია, ხან ჯიქურ მიეჭრა, ხან აქედან მოუარა, ხან იქიდან მოუარა, რა არ იღონა, რა არ ინლეთა და... ვერაფერი. ნაცად მეურვეს ალღო ვერ აუღო, თავი ვერ გაართვა... პირველ ტაიმში ორი „მშრალი“ ბურთი მიიღეს და გამაყრუებელ ღრიანცელში თავჩაღუნულებმა დატოვეს მოედანი.

პანაშვიდური განწყობილება იყო გასახდელში. ნამდვილი გლოვა იდგა. ჭირისუფლებივით ისხდნენ დაღლილი ბიჭები და უნუგეშოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. შალია მიქელაძე განზე გამდგარიყო შერისხულივით. ბუჭულია ქვარცხავა თავში იშენდა. მიტრო ასათიანი ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ბოლთას აეტანა. ბორია თვალს ვერ უსწორებდა, მზერას არიდებდა ამხანაგებს. ისეთი სახით იჯდა, თითქოს გუნდის მარცხი მხოლოდ მისი ბრალი ყოფილიყოს. მაგრამ, განა მარტო დამარცხება აგიჟებდა? სხვაც აღონებდა ბორიას. კარგად იცოდა — ძმები არიან მოგება და წაგება, ხან ერთი გაგიხსენებს, ხან მეორე მოგაკითხავს. არა, წაგებას ვინა ჩივის, თანაც ასეთ ძლიერ მეტოქესთან. არა, საქმე ის არის, — ერთი ვერ დაარტყა, ერთი ვერ გაიტაცა, უხეიროდ იბორიალა, უთავბოლოდ ითამაშა და საქვეყნოდ შერცხვა. კმარა, სირცხვილად ესეც ეყოფა! მორჩა, გათავდა, ფეხს აღარ გასდგამს მოედანზე!... შემთხვევა რომ იხელთა, შესჩივლა გუნდის თავს: ძია მიტრო, გამომცვალე, ვანია სომოვს სულ ერთია ვერსად გავექცევიო!.. „ძია მიტრომ“ დაამშვიდა, დაარიგა, თამაში გაურჩია, ვანია სომოვის სუსტი მხარეების „რაღაც — რაღაცეები“ უთხრა, და აბა შენ იციო!

ბორიას გულზე მოეშვა, სითამამე მოერია, და მოედანზე რომ გადიოდნენ, სჯეროდა — ვანია სომოვს თავის დღეში არ

გააცივებდა. აგრეც მოხდა — ბორიამ მეორე ტაიმში თავი მოიქაჩლა, ვანია სომოვს სიცოცხლე გაუმწარა და როცა მსაჯი წამზომს დასცქეროდა, ანგარიში „დაასველა“. ისეთი ბურთი გაიტანა, ტრიბუნები გოლის უნახავებივით აბღავლა.

1:2 — მართალია, დამარცხდნენ ფოთელები, იმათ ფალავნობაში ეჭვი არავის შეჰპარვია.

კვიცი გვარზე ხტისო

ფეხბურთს გადაყოლილ ხალხს მუდამ ალმაცერად უცქეროდა სოლომონ პაიჭაძე და ქუდი რომ შეეგდოთ, არ შევიდოდა სტადიონზე. დიდი ფეხბურთის დღეებში, როცა ქვეყანა სტადიონის გზას დაადგებოდა, ქალაქი დაცარიელდებოდა, ქუჩებში ძე-ხორციელის ჭაჭანება არ იყო, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი, — სოლომონი იმ თავის განიერ მხრებს ერთად შეჰყრიდა და იტყოდა ხოლმე გაკვირვებას ატანილი: მე და ჩემმა ღმერთმა, ამ ხალხისა ვერაფერი გამიგია, ნეტავი მაცოდინა, რა ნახეს იმ დასაქცევ სტადიონზეო!... ჯეელ ბიჭობაში შენც ხომ ბურთს დასდევდიო? — ეტყოდნენ. აბა, ეგ რა მოსატანია, მაშინ სხვა დრო იყოო, — იგერიებდა სოლომონი. თავისი ვაჟის ბურთაობისა, თბილისში იმისი მისვლა-მოსვლისა, ბევრი არაფერი იცოდა სოლომონმა, თორემ არ დაუდევდა ასაკ-წლოვანებას და ერთს ძველებურად შეახურებდა ბორიას.

ერთხელ, ჩხირი კედელსაო, და მაინც ესტუმრა სტადიონს სოლომონი. ამხანაგთან ერთად, სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა. სტადიონს რომ გაუსწორდა, ისეთი გრგვინვა მოისმა, თითქოს ცა და დედამიწა ერთმანეთს დაეჯახა და ქვეყნის აღსასრული

დადგაო. სოლომონი არ იყო მხდალი და ჯაბანი, ვერც ვინ დასწამებდა შიშიანობას, მაგრამ, ახლა, გული შეუქანდა, ავი ეზმანა. ხასიათი აეშალა, იმ დასაქცევში შესვლა მოუნდა და მშვიდობა უსურვა ამხანაგს: შევალ, ერთი მეც ვნახავ, რა ხდებაო...

შევიდა და მთელი ფოთი იქ დახვდა, შევიდა და თვალს არ დაუჯერა. ისეთი წივილ-კივილი იდგა, აღარ იყო ყურთასმენა. ადამიანები ერთმანეთზე ისხდნენ, ერთმანეთზე იდგნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ, ავზნიანებივით ცახცახებდნენ, ხმაწასულები ერთი და იმავე სიტყვებს გაჰკიოდნენ: „მიდი!... დაარტყი!... მიდი!... დაარტყი!... მიდი!... დაარტყიო!...“ „ეს რა ცოდვის განკითხვის დღე დაგვდგომიაო“, — გაიფიქრა სოლომონმა და შეეცოდა საწყალი ხალხი...

უცებ, „ბორიაო!.. ბორიაო!.. — ამოდენა ხალხმა და ტრიბუნებზე ისეთი ამბავი ატყდა, სოლომონი თავის დღეში არ დაივიწყებს. ადამიანები ეხვევოდნენ, კოცნიდნენ, ლამის ახრჩობდნენ ერთმანეთს, ხტუნავდნენ, ცეკვავდნენ, იცინოდნენ, ტიროდნენ, ბავშვებივით ღრიალებდნენ და თითქოს დარიგებულები არიანო, ყველანი — „პაიჭაძე... პაიჭაძეო.. “ გაჰკიოდნენ გაბმით.

ჯერ დაიბნა სოლომონი, ვერას მიხვდა, მგრე აზრზე მოვიდა, მინდორს გახედა, ერთ ხანს უთვალთვალა და.. თავისი ბიჭი დაინახა... გულმა გასცრა სოლომონს. „მე, სწავლობდი მეგონა, კაცი გახდებოდი მეგონა, შენ კი... უუ.... შე მამა...“ ჯავრით აივსო, ბოღმით აივსო, წყენით აივსო სოლომონი და... „ ... შე... მამა... მამა... მამა.. გენაცვალოს, შვილო!.. ხალხო... ეს რა ხდება მინდორზე... ჰოი, დიდება შენდა ღმერთო!..“

...ბორიამ მეოთხესაც აუარა გვერდი, მეხუთეც მოატყუა, მეკარეც წაახდინა და არის! არის!.. იგრიალა ხალხმა, გადაცვივდა მინდორზე, პაიჭაძეს ფეხით გავლა არ აკადრა და ხელში აყვანილი გამოიყვანა მინდვრიდან...

ჯავრი, ბოღმა, წყენა — სიხარულით, ბედნიერებით, სიამაყით შეეცვალა სოლომონ პაიჭაძეს. გზადაგზა მეგობრები, ამხანაგები, ნაცნობები და უცნობებიც აჩერებდნენ. კოცნიდნენ და ულოცავდნენ, აჩერებდნენ და აჩერებდნენ. აღარ ეყურებოდა ვინ კოცნიდა, ვინ ულოცავდა, ძლივს მიაღწია სახლამდე.

იმ საღამოს სოლომონმა დიდხანს ვერ მოისვენა: ოთახიდან ოთახში დადიოდა, ბოლთაობდა და „უყრე შენ, უყურე შენო“ გაიძახოდა. გაკვირვებული შესცქეროდა ოჯახობა — ნეტავ, ამ კაცს რა დაემართაო! სოლომონს კი ფიქრი არ ეხსნებოდა: „ტყუილად არ უთქვამს ხალხს, კვიცი გვარზე ხტისო... სისწრაფეში სულ მე დამმსგავსებია ეგ მამა... მამა ენაცვალოს მაგას...“

— შე კაცო, აღარ იტყვი, რა მოხდა?!

— ქალო, ოლღა, სად ისწავლა ამ ბაღანამ ამფერი თამაში, თუ იცი შენ?!

ცხოვრების საგზური

1933 წლის 28 ივლისს, ბორიამ უკანასკნელი გამოცდა დაჭირა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ დიპლომის ხაელერდოვანი ყდა გადაშალა და დაუფარავი სიამაყით წაიკითხა: „ბორის სოლომონის-ძე პაიჭაძე — საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მექანიკოსი“.

სოლომონმა თითო ცრემლი გადმოაგდო და ვაჟს შუბლში

აკოცა. ოლღამ სიხარულის ტირილით იტირა და შვილი გულში ჩაიკრა.

აგვისტოს პირველ რიცხვებში ტექნიკუმში დაიბარეს, პედსაბჭოს სხდომას დაასწრეს და შავი ზღვის სავაჭრო ფლოტის ტუაპსეს ბაზაში გაანაწილეს.

სექტემბრის ერთ ნაღვლიან საღამოს, ზღვა რომ ჯავრობდა, ქვენა ქარი უსტვენდა და სისხლიანი ღრუბლები დადიოდნენ ცაზე—დაემშვიდობა დედ-მამას. ოლღამ ჭაღარა თავი შვილს მკერდზე მიაყრდნო და ცრემლად დაიღვარა. სოლომონსაც, ბარე, ყელში ებჯინებოდა გული, მარა ვაჟკაცი იყო და რას იზამდა, რაის პაიჭაძე იქნებოდა, თუკი ცრემლს არ დამალავდა თავს არ დაიჭერდა, ცოლს არ დაუტატანებდა:

— რა გატირებს, ქალო, რას ნავსავ, აი ბიჭს, გადამთიეთში ვგზავნით თუ?! ტუაპსე აქანეა, ა, ორ ნაბიჯზე!

დაემშვიდობა ძმაკაცებს: აბა, თქვენ იცით, არ დამივიწყოთო, ბიჭებო!

— ვინც შენ დაგივიწყოს, დანამ გუუპოს გული, — ძლივს ამოღერღა კაკოიამ, წახდა ყაზახი და ცრემლი მოერია.

— გვტოვებ, ბიჭო?! — გაფუჭდა გრიშაიაც.

— ფეხბურთს რას უშობი, ფეხბურთს?! — ამოიკვნესა ვალოდიამ, გულიც თან ამოაყოლა და გატყეპილი ბავშვივით აზლუქუნდა.

— ნუ გახდები ახლა თლა „მარიაკი“, — ვითომ იხუმრა გვაჩაიამ, მაგრამ ცრემლით აევსო თვალები.

...ღამე წვებოდა ზღვაზე, როცა „ფლორამ“ დაიღმუვლა და ფოთი ნაპირზე დარჩა.

„ᲔᲕᲠᲘᲙᲘᲐ“

ტუაპსეში ჩასვლისთანავე შეათვალიერეს, ახედ-დახედეს, ფხა გაუსინჯეს, საქმე მოუწონეს, ნახელავი შეუქეს და გემ „ტენდრას“ მოტორისტად დანიშნეს. ბორიამ მუშაობა საათივით ააწყო და უფროს-უმცროსი თავის სასიკეთოდ განაწყო.

ახალი 1934 წელი, ახლებურად გაუთენდა ბორიას: კარგი თვალით შეხედეს, შრომა დაუფასეს, დააწინაურეს და გემ „მეტალისტზე“ მთავარ მოტორისტად გადაიყვანეს. „მეტალისტის“ კოლექტივს მშობლიური ოჯახივით შეეთვისა ბორია. ბორიაც შეითვისეს და შეიყვარეს. პაიჭაძის გარეშე ვერ წარმოედგინა „მეტალისტი“, გემის კაპიტანს ვლადისლავ ლუკიანოვს.

ერთხელ, ვლადისლავ ლუკიანოვმა ბიჭები გემბანზე შეყარა, საგანგებო მზადება ბრძანა და დიდის ამბით გამოაცხადა: ზეგ ტუაპსედან გავალთ, საქართველოს ნავსადგურებს ჩავუვლით, შემდეგ დასავლეთისაკენ ავიღებთ გეზს, სამშობლოს წყლებს დავტოვებთ და ინგლისისაკენ გავწევთო.

„მეტალისტი“ ზეიმით შეხვდა ამ ამბავს. სიხარულით თავი აღარ ახსოვდა ბორიას. ცხადდებოდა დიდი ხნის ოცნება, ხორციელდებოდა სანუკვარი მიზანი — იწყებოდა „დიდი მოგზაურობა“...

იმავე ღამეს ფოთს უდეპეშა და საყვარელი მშობლები თავისი ბედნიერების ზიარი გახადა.

* * *

დრომ თავისი გაიტანა: 1934 წლის გაზაფხულზე, ფოთის ნაკრებში თაობის ცვლა „დამრგვალდა“, უკანასკნელი

„მოჰიკანებიც“ წავიდ-წამოვიდნენ და საბურთაო სარბიელი მთლიანად ახალგაზრდებს დარჩათ. მიტრო ასათიანი აკაკი ელენტმა შეცვალა და გუნდი ითავა, დანარჩენი „ბებრების“ ნაცვლად კი — კაკო ყალიჩავა, ვანიჩკა კინწურეიშვილი, მიხო გვალია, დათიკო ხორავა, კოსტა გუნია, კაკო იმნაძე, ვალოდია ბერძენიშვილი, გრიშა გაგუა, გვაჩი ჯორბენაძე — ჩარიცხეს ნაკრებში. ბორიაღა აკლდათ პაიჭაძე, თორემ გუნდი კი არა, ნამდვილი „თაიგული“ იქნებოდა. მაგრამ, სადღა ჰყავდათ ბორია პაიჭაძე. ვინ იცის, სად იყო ახლა.

* * *

ახალგაზრდობამ იმედები გაამართლა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა, — გოლს გოლი მოჰყვა, გამარჯვება გამარჯვებამ შეცვალა, ქულა ქულას ემატა, და მხოლოდ თბილისელებთან ძლეული ფოთელები, ბათუმელებთან ერთად ცხრილს სათავეში მოექცნენ. პირველი ადგილი — თბილისელების ხვედრი გამოდგა. მეორე ადგილი—გაუთამაშებელი დარჩა. მისი ბედი— ფოთისა და ბათუმის ფეხბურთელთა შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. შეღავათიანად ჰქონდათ საქმე ბათუმელებს. მათ ფრეც აწყობდათ, ფოთელებს — მხოლოდ გამარჯვება. ხოლო გამარჯვებისათვის საჭირო იყო — „გაურღვეველი“ ჰაბიჭია გალდავას „გარღვევა“ და „აუღებელი“ ჭიჭიკო პერტაიას „აღება“. ხოლო ამისათვის საჭირო იყო — პაიჭაძე. „გაურღვეველი“ და „აუღებელი“ ბიჭების მუღამი, იმან იცოდა.

გადამწყვეტი ორთაბრძოლა კარზე იდგა. ვიდრე გვიან არ იყო — უნდა რამე ეფიქრათ, ეხლაფორთათ, ულონებელი ელონათ და დროებით, იმ ერთი თამაშისათვის მაინც ჩამოეყვანათ პაიჭაძე. ხმელეთზე უნდა დაბრუნდეს პაიჭაძე, უნდა ითამაშოს პაიჭაძემ, — გულსრულად გადაწყვიტა მთელმა კოლექტივმა. მაგრამ, რა გზით? — დასხდნენ და ითათბირეს. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. ასეო და ისეო. იყო ერთი ტვინის ჭყლეტვა, სიტყვების ნაყვა, „შანციანობა" კი არც ნამცეცი. იქაქანეს, იქაქანეს, მერე ეჰო — ხელი ჩაიქნიეს და გულდაწყვეტილები დაიშალნენ.

* * *

ერთხელ, გადამწყვეტი ორთაბრძოლისათვის მზადების იმ გაწამაწია დღეებში, — გვაჩი ჯორბენაძემ დისციპლინა დაივიწყა, დაჭურვა გააცდინა და მხოლოდ ვარჯიშის ბოლოს იკადრა მობრძანება. თუმცა, იმას რა მობრძანება ეთქმოდა: მოვარდა დაფეთებული და გულამოვარდნილი, ძლივს აბრუნებდა ენას, მიტკლის ფერი ედო სახეზე...

— სად მამაჩემთან იყავიო,—შეუტიეს.—დამაცადეთ, მათქმევინეთ, რა დროს ეგ არიო,—და გვაჩი ჯორბენაძემ ხელების ქნევით, საიდუმლო ხმით გაანდოთ... საშინელი ამბავი... არა გჯერათო?! — და გვაჩიმ მკერდზე დაიბაგუნა ხელები, — დღეს დილით, აქეთკენ რომ მოდიოდა, ბაზრის გზაზე ბორიას დედას შეხვდა, აქეთურ-იქითური გამოჰკითხა, ყველაფერი შეიტყო, ის დეპეშაც საკუთარი თვალით წაიკითხა... თავზარი დაეცათ ბიჭებს: ინგლისისაკენ მიდიოდა „მეტალისტი" და

თან მიჰყავდა პაიჭაძე... თავში ხელი შემოიკრეს — რა გვეშველებაო!...

გვაჩი ჯორბენაძე ერთ ხანს ჩუმად იჯდა, ფიქრიანი თვალებით უცქეროდა იმედდაკარგულ ამხანაგებს. მერე უცებ სხვანაირად აუთამაშდა წარბები, აქეთ-იქით გაექცა თვალები, შიგ პატარა ეშმაკები ჩაუჯდა, ოდნავ ირიბმა ღიმილმა შეუტეხა ტუჩები, მარცხენა შუბლზე მიიდო, მარჯვენა მაღლა ასწია, საჩვენებელი თითი შემართა და ევრიკიაო! — შესძახა „შანციანმა“ ბიჭმა...

ბიჭები წელში გასწორდნენ, გვაჩის მიაშტერდნენ, იმედის შუქმა გადაჰკრათ სახეზე და „ევრიკიას“ მოლოდინში, ლამის სული გაეპარათ. გვაჩი ჯორბენაძემ თავი დაიფასა, სახე მსახიობივით დაძაბა, თვალები მინაბა, ჯადოქარივით აღაპყრო, გულხელი დაიკრიფა, სასწაულმოქმედს დაემსგავსა და დინჯად დაიწყო თავისი „ევრიკია“.

დ ე პ ე შ ა

უკანასკნელი „გკოცნი“, უკანასკნელი „მალე ნახვამდის“, უკანასკნელი მშვიდობის სიტყვა, უკანასკნელი შეძახილები და გამომშვიდობება დამთავრდა. მაგრამ ბაქანზე კიდევ დიდხანს არ იშლება ახმაურებული ხალხი. კიდევ დიდხანს ირხევიან ხელები და ფრიალებენ ხელსახოცები. აღელვებული გაცილებლები თვალს არ სწყვეტენ ვეებერთელა ხომალდს, რომელიც თანდათან შორდება ნაპირს... „მეტალისტმა“ ერთ

ხანს წასაქცევად იტორტმანა, მერე იმძლავრა, მიყარ-მოყარა ტალღები, თავი მისცა უკიდეგანო სივრცეს, და თითქოს ზღვაში დაიძირა ტუაპსე... ლაღად ჩამოუარა საქართველოს და აქა-იქ სული მოითქვა — სოხუმი, ფოთი, და აი, ბათუმიც... უკანასკნელი საბჭოთა ნავსადგური შორეული ნაოსნობის გრძელ და ძნელ გზაზე... აქ „მეტალისტი" ღამეს გაათენებს, დაისვენებს, ძალას მოიკრებს, დილით ისევ „აშლის აფრებს" და ჯან-ღონით სავსე, ზღვათა უხილავ შარაგზებს გაკვალავს დასავლეთისაკენ.

გამგზავრების ძნელ მოლოდინში, ზლაზვნით დაილია შემოდგომის სავსე ღამე. გათენდა სანეტარო დილა, დამთავრდა უკანასკნელი სამზადისი, გაისმა გემის კაპიტნის სანუკვარი ბრძანება:

— აუშვით ღუზა! სრული, წინ!

„მეტალისტმა" ხელ-ფეხი გაიხსნა, თავისუფლად ამოისუნთქა და ამომავალი მზის სხივებზე მბზინავი ხომალდი ნება-ნება მიეშვა შუა ზღვისაკენ.

ბორია სამანქანო განყოფილების სამზირიდან გასცქეროდა დილის ბურუსში გახვეულ აჭარის ქედებს, რომლებიც ნელა ეშვებოდნენ ლურჯ სტიქიონში.

ნახვამდის, სამშობლო ქვეყანავ!

* * *

სხვა დროს, ალბათ, გავიდოდა გემბანზე, თვალს წყალს დაალევინებდა, საყვარელი სურათით — ზღვის უსაზღვროებით დატკბებოდა. ახლა, კი, საამისოდ სად ეცალა. ხუმრობა

საქმე ხომ არ იყო, ამოდენა ქარახინას მოვლა-პატრონობა. რაც გამგზავრების თადარიგი დაიჭირეს და გემი დაიძრა, სამანქანო განყოფილებიდან თავს ვერა ჰყოფდა. დილაბნელიდან მოყოლებული ერთთავად იმ ჭკვიან მანქანებს დასტრიალებდა, არ შორდებოდა გოლიათ ქვაბებს და პირდაღებულ ღუმელებს. თვალს არ აცილებდა თავის ხელქვეით მეზღვაურებს. ხელმძღვანელობდა, მეთვალყურეობდა ყოველ მათ მოქმედებას, ამოწმებდა ყოველ მათ ნასაქმარს...

საქმით გართულმა ბორიამ,—რიგით მექანიკოს იგორ გორამიკინს ვერც მოახლოება მოლანდა, ვერც მისი დაკინებული მზერა. მთავარი მოტორისტი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მკლავზე უცხო ხელის შეხება იგრძნო.

— რა მოხდა, იგორ, კაპიტანი ხომ არ მიხმობს?! — ისე შესძახა ბორიამ, თითქოს მანქანების გაბმული გუგუნის ჩახშობა უნდაო.

გორამიკინმა არაფერი უპასუხა და ხელით ანიშნა, გარეთ გამოჰყოლოდა... გემბანზე გავიდნენ. ბორიამ მხოლოდ ახლა შენიშნა, — უჩვეულო მღელვარებას შეეპყრო მუდამ მშვიდი რუსი ვაჟკაცი.

— რა მოხდა? — გაუმეორა ბორიამ და მექანიკოსის არეულ მზერას ჯიქურ გაუსწორა თვალი.

გორამიკინმა თავი დახარა და დაბნევით დამარცვლა:

— იქ... დეპეშაა... თქვენს სახელზე... კაიუტაში...

ავი უთხრა გულმა ბორიას. უზომოდ გრძელი ეჩვენა კაიუტამდე გასასვლელი დერეფანი. იმ რამდენიმე წამში ათასი იფიქრა და ერთი სიცოცხლე გაათავა.

„...მამაშენი უკანასკნელ დღეშია. დედაშენი ოლოა“.

მკლავებმა იწყეს კანკალი, მუხლებს შეუდგათ ძაბუნი, ნისლი ჩამოწვა თვალებში, იწივლეს გაბმით ყურებმა, აქანავდა ოთახი, ჭაღი ჩაქრა, დაბნელდა და ავის მთქმელი პატარა ქალალდი დაეცა იატაკზე.

* * *

„მეტალისტი" გულწრფელად ეზიარა ბორიას მწუხარებას... დუმილით გააცილეს გულდაწყვეტილმა მეზღვაურებმა...გულისტკივილით გამოეთხოვა თავის ყოჩაღ მოტორისტს გემის კაპიტანი... ბარე, ძაან არ უნდოდა, ეძნელებოდა მისი გაშვება, მაგრამ რას იზამდა... ვლადისლავ ლუკიანოვი ვაუკაცი კაცი იყო და კარგად იცოდა: ადამიანს ასეთ დღეში ხელის მომართვა წამალივით სჭირდებოდა... დაკოცნა, ერთი-ორი თბილი სიტყვაც უთხრა, მერე ჩასვა სათადარიგო ნავში და ნაპირისაკენ გაისტუმრა მგლოვიარე ჭაბუკი...

* * *

როცა ბათუმიდან წამოსულმა მატარებელმა ფოთს მიაკივლა, უკვე კარგა დაბინდებული იყო...

მშობლიურ უბანს რომ შეჰყვა, — მამა დაუდგა თვალწინ, მწუხარება გაუათკეცდა, დარდმა შეჭამა... გული ამოუჯდა, ცრემლი მოერია, თავშეუკავებლად აქვითინდა... ფეხათრევით გაჰყვა სახლისაკენ მიმავალ ქუჩას... ო, როგორ ეშძიმა ყოველი ნაბიჯი! აქ ხომ თვითეული კუთხე, თვითეული ადგილი, თვითეული სახლი მამას აგონებდა, უცოცხლებდა მის საყვარელ, დაუვიწყარ სახეს... აი, იმ პატარა ბაღში უყვარდა მამას ჯდომა და ნაცნობებთან მასლაათი... აი, იმ სასადილოში შეიყ-

ვანა ერთხელ მამამ, ტოლივით გვერდზე მოისვა, უკვე დიდი ხარო, — უთხრა და ღვინო დაალევინა... აი, იმ კუთხეში ნაბურთალს შეასწრო ერთხელ მამამ და ისეთი მკვახე ალიყური აჭამა, ქვეყანამ იმათ მოხედა...

სული შეეხუთა, თავბრუ დაესხა და ახლა უკვე, ბარბაცით განაგრძო გზა. გამვლელ-გამომვლელნი ჩერდებოდნენ და თანაგრძნობით აყოლებდნენ თვალს უბედურებაშეყრილ ჭაბუკს...

აი, ისიც, გამოჩნდა, მშობლიური სახლი... გულისძგერით მიუახლოვდა ქათქათაფარდებიან ფანჯრებს და ხელფეხშებორკილივით შედგა... აი, ახლა, საცაა გაიგონებს ჭირისუფლების სასოწარკვეთილ წივილ-კივილს, დედის შემზარავ მოთქმას, დაიკოს უნუგეშო ტირილს... მაგრამ, ეს რას ნიშნავს?.. გარშემო კაციშვილი არა ჩანს... სახლის კარი, იმის მაგივრად რომ ფარღალალა ეგდოს, საგულდაგულოდ არის დაკეტილი და... შიგნიდანაც არ ისმის ჩამიჩუმი... რა მოხდა?.. იქნებ სოფელში გადაასვენეს მამა... თუმცა არა, დეპეშა ხომ აქედან, ფოთიდან იყო გამოგზავნილი... ეს გაჩახჩახებული ფანჯრები რაღას ნიშნავს... ჩუ... ეს რა ემართება, ნუთუ გონი აერია და ჭკუაზე შეცდა... ჩუ... აი, კიდევ... ჯერ დედის სიცილი მოესმა, მერე მამაკაცის გაბმული ხველება... მხოლოდ მამამ იცოდა ასეთი ხველება, მხოლოდ მამამ იცოდა, მხოლოდ მამამ... ასე მხოლოდ მამა ახველებს... მხოლოდ მამა... არა, ნამდვილად ჭკუაზე შეცდა...

გაუბედავად დააკაკუნა კარზე. ერთ ხანს არავინ უპასუხა. მერე მოესმა ფეხისხმა... ფეხისხმა!.. მამის ფეხისხმა!.. ფეხისხმა უფრო ახლო განმეორდა, მამის ფეხისხმა, და... კართან

შეწყდა... მამის ფეხისხმა... ვაიმე, მამავ!.. ჩემო მამავ!.. ლამის ფეხებში ჩავარდეს გული...

კარი ჭრიალით გაიღო, და ბორია ულონოდ ჩაიკეცა ზღურბლზე.

— ქალო, ოლღა, ჩქარა, ბიჭი! — დაბნევით შესძახა სოლომონმა, უმალ დაიხარა და ბალღივით ხელში აიყვანა ამოდენა ვაჟკაცი.

— შვილო, შვილო, ვაი შენს დედას, შვილო! — ლამის მყუდროება დედის გაბმულმა კივილმა დაარღვია...

* * *

— შემოგვხედე, ბიჭო, გონს მოდი, გენაცვალე, ჩვენა ვართ. შვილო, დედაშენი, მამაშენი...

მამაშენიო?! — და მაშინ კი, დააჭყიტა თვალები ბორიამ, გიჟივით მიაშტერდა სოლომონს.

რაკი ერთი მობრუნდა, აღარაფერი უჭირდა, ბიჭს თანდათან დაეტყო სააქეთო პირი...

ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ. მერე სული რომ ბოითქვეს, სიტყვა ჩამოაგდეს, გაიკვირვეს და გაიოცეს. უი, თავი კი მომიკვდესო, რას ამბობ, შვილო, რომელი დეპეშაო? — შეიცხადა ოლღამ. სიკვდილს ჩემთან რა ხელი აქ, რაც შენ გზაზე დაგაყენე და კაცად გიგულე, ახლა რაღა მომკლავს, რაის სიკვდილი, ბიჭო, კაცი ორი დღე პურ-მარილში ვზივარო! — ჩაიგუგუნა სოლომონმა. ილაპარაკეს, ძილი დაიფრთხეს, სიტყვა დილამდე გააბეს, მაგრამ ამ „საქმეში“ ვისი ხელი ერია, ვერაფერი გაიგეს. ვერც გაიგებდნენ, მეორე დღეს, უთენია, ბიჭებს რომ არ მოეკითხათ ბორია. მოვიდნენ და საქ-

მუც „გასქდა“. მთელი გუნდი ოთახში შემოლაგდა, გვაჩი ჯორბენაძის გარდა. ათი თავი ხომ არ ება, აქ მოსულიყო!

ეს „შანცი“ თქვენი მოგონილი ყოფილა, ფუი, ამისთანა ამხანაგობასაო! — იფეთქა ბორიამ... ესე, ესეა ჩვენი საქმე, სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთო, — სცადეს თავის მართლება... ბიჭოს, მე რას მემართლებოდით, სასიკვდილოდ როგორ გამიმეტეთო! — დაუბრიალათ თვალები სოლომონმა... ღმერთო, ეს რა ახალგაზრდობა გვეზრდებაო, — გაშალა ხელები ოლღამ... არ დაიჯერებთ? გვაჩის „გაიმასქნებული“ იქნებაო! — ეჭვი აიღო ბორიამ... აბა, გვაჩი რა შუაშია, ყველამ ერთად „გავაიმასქნეთო“, — ხელი დააფარეს „ევრიკიას“ მომგონს... თქვენ რა თავმდებათ უდგებით, თვითონ სადა ბრძანდებაო?! — არ ცხრებოდა ბორია... შეუძლოდ არიო, — მაინც არ „გაყიდეს“ გვაჩი. რა ჭირი შეუდგაო?! — კიდევ დიდხანს იდუდღუნა ბორიამ, მერე მოლბა თანდათან, ბიჭებს შუბლი გაუხსნა, გაუღიმა, გაუცინა, იმათაც გაუღიმეს, გაუცინეს, შერიგდნენ და საქმისა თქვეს...

თამაში როდის არი დანიშნულიო, — იკითხა ბორიამ.. ბიჭებს სახე გაუბრწყინდათ: შე კაი კაცო, თავიდანვე ეგ გეთქვაო!

ზღვა თუ მწვანე მოედანი?

ბორია დაემორჩილა კოლექტივის სურვილს, რაც უპირველესი და დაურღვეველი კანონი იყო მისთვის შემდგომშიაც.

...ფოთისა და ბათუმის ფეხბურთელთა გადამწყვეტი ასპარეზობა გაიმართა თბილისში, ლენინის სახელობის სტადიონზე და დედაქალაქის ათასობით გულშემატკივარი ახალი

„ვარსკვლავების“ აღმოჩენის მოწამე გახდა. ბრწყინვალედ ითამაშეს ფოთელებმა: მეკარე დათიკო ხორავამ, ნახევარმცველებმა გრიშა გაგუამ და გვაჩი ჯორბენაძემ, შუამარბებმა კაკო ყალიჩავამ და ვალოდია ბერძენიშვილმა, ცენტრფორვარდმა — თბილისელთათვის უკვე ნაცნობმა ბორია პაიჭაძემ. მიუხედავად ამისა, როგორც ეს ხშირად ფეხბურთში ხდება— ბათუმელებმა შეაგდეს ერთი „ჩხინკი“ ბურთი და ტაიმიც თავის სასარგებლოდ დაასრულეს...

მეორე ტაიმში ფოთელთა ცენტრმა პაიჭაძემ მოედანზე „ცირკი“ გამართა, „გაურღვეველი“ ჰაბიჭია გალდავა ახალფეხადგმული ბავშვივით მიწაზე აფორთხა, „აუღებელი“ ჭიჭიკო პერტაია ჯამბაზივით უთავბოლოდ ახტუნავა, ორი „ცხრიანი“ გაიტანა და ბრძოლის ველზე სამართალი დაამყარა...

დაინგრა სტადიონი... ფეხზე მდგარი ხალხი ნახევარი საათის მანძილზე ძახილით მოითხოვდა პაიჭაძის თბილისში გადმოყვანას...

მეორე დღეს, თბილისის ერთ-ერთი გაზეთი წერდა: „ფოთის გუნდმა დამსახურებულად გაიმარჯვა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მის რიგებში არიან ძლიერი ფეხბურთელები: დ. ხორავა, კ. ყალიჩავა, გ. გაგუა, ვ. ჯორბენაძე, ვ. ბერძენიშვილი და სხვები. გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სწრაფი, ტექნიკური ცენტრალური თავდამსხმელი ბორის პაიჭაძე, რომელიც ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. იგი ჩვენი ქალაქის საუკეთესო გუნდებსაც კი დაამშვენებდა“.

* * *

თბილისში გამართულმა უკანასკნელმა თამაშმა, ცხოვრების ძნელად გასაკვლევ გზასაყართან მიიყვანა ბორია.

ძნელია, მაგრამ რას იზამ, უნდა აირჩიო — ან აქეთ, ან იქით, ორივ გზას ერთად ვერ გაჰყვები, „ორ ხატზე ერთად ლოცულობდე“, არ მოხერხდება. ერთ-ერთი უნდა გასწირო, დასთმო, მისცე დავიწყებას. არადა, ცალი ფეხი აქეთ გედგას, ცალი იქით,—ვის გაუგია, საქმეს ვერ უთავებ, კაცად ვერ ივარგებ, დაგცინებს ქვეყანა. ნულარ ყოყმანობ, ჰა, აირჩიე: ერთი გზა — საფეხბურთო მინდვრებისაკენ მიემართება, მეორე გზა — შორეული ზღვებისა და ოკეანეებისაკენ მიდის. აირჩიე: ან ზღვა, ან ხმელეთი, კმარა, გეყოფა ყოყმანი, გაბედე არჩევანი...

მშობლებმაც ურჩიეს არჩევანი. დედამ უთხრა: ღობე-ყორეს ნუ მოედები, შვილო, ან ერთი აირჩიე, ან მეორე, რა გაშინებს, რა გაღონებს, ერთიც შეგწევს და მეორეცო. მამამ უთხრა: ბიჭო, შენი სიცოცხლე გაორებული ხომ არ ივლი ამ ქვეყანაზე, ფიქრს ნუ აუტანიხარ, შენს არჩევანს სატევარივით ორი პირი აქვს, რომელსაც უჩვენებ ცხოვრებას, ის პირი გასჭრის, გადაწყვიტე ერთხელ და სამუდამოდ, შენც მოისვენე და ჩვენც მოგვასვენეო...

ძნელმა არჩევანმა მოსვენება დაუკარგა ბორიას. არ უწყოდა რა ეღონა, რადგან ზღვისაკენაც და საბურთაოსკენაც, ტოლად მიუწევდა გული.

... ერთ საღამოს, მშობლების გაუთავებელ რჩევა-დარიგებას რომ ვეღარ გაუძლო, გარეთ გამოვიდა, — წავალ, გავივლ-გამოვივლი, ტოლ-ამხანაგს შევეყრები, ამ ჩემ არჯალ ფიქრს გულს გადავაყოლებო. ჯერ ქუჩა-ქუჩა იხეტიალა უმიზნოდ, მერე ისევ თავის თავთან მოუნდა ყოფნა და რო-

ცა პატარა ქალაქმა შუაღამეში ჩაყვინთა, ზღვისაკენ გასწია კენტად.

გვიანი შემოდგომის ჩამქრალი ღამე იყო. ბნელით მოცული ზღვა ყრუდ გუგუნებდა, წყვდიადიან ნაპირზე სველი ქარი დათარეშობდა. წინ იყო—მხოლოდ უკუნი, უკან—დაძინებული ქალაქის სინათლეები ბჟუტავდნენ... ზღვა შარზე იდგა, საჩხუბრად აშლილიყო, ქვეყანას სამრად იწვევდა და უკაცურ ნაპირს ლანძღვა-გინებით იკლებდა.

დიდხანს იდგა ნაპირზე ბორია, გულისტკივილით გასცქეროდა თავის ძველ მეგობარს და იმ მარტო-ღამეში, ტალღების იმ გრგვინვა-ქუხილში, არჩევანის ძნელ ჯარას აბრუნებდა:

ზღვა თუ მწვანე მოედანი? ერთ-ერთი უნდა გაიწიროს!..

და, 19 წლის ჭაბუკმა ბორის პაიჭაძემ ბავშვობის ოცნებას, სიყრმის ტრფიალს, სიჭაბუკის სურვილს — შავ ზღვას,— დაუფარავად უთხრა საბოლოო არჩევანი:

ფეხბურთი, მწვანე მოედანი!

ჭაბუკმა ფიქრს თავი გაართვა და ისე ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ტვირთი მოხსნესო... დინჯი ნაბიჯით გაჰყვა ქალაქისაკენ მიმავალ ქვიშიან ბილიკს... უკან დარჩა უკაცური ნაპირი და ბობოქარი სტიქიონი...

თბილისში

ისიც იცოდა ბორიამ: მხოლოდ ბურთის თამაშით ვერ გაიტანდა ცხოვრების ჭირვეულ ლელოს.

— რაც უნდა კარგი მობურთავე და „ფიზკულტურნიკი“

გამოხვიდე, ცოდვა იქნები უხელობოდ, წუთისოფელი გაგტანჯავს, შვილო, — უჩიჩინებდნენ მშობლებიც.

ამიტომ, ახალ არჩევანთან ერთად, ბორიამ მტკიცედ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელებაც.

— აბა, შენ იცი, ჩვენო სიცოცხლევ და გამხარებელო, როგორც ჭკვიანად მოიქცევი, გვასახელებ, გაგვაბედნიერებ და ტკბილად დაგვაბერებ, — დალოცეს, დაკოცნეს ვაჟიშვილი და ხაბაკ-ხუბაკით, თბილისის გზას გაუყენეს სოლომონმა და ოლღამ.

1935 წლის ზაფხულის მიწურულს, ბორია თავის სიყრმის მეგობრებთან: ვალოდია ბერძენიშვილთან, გრიშა გაგუასთან, გვაჩი ჯორბენაძესთან ერთად, თბილისს ეწვია და ინდუსტრიალური ინსტიტუტის კარი შეაღო. ინსტიტუტის ფეხბურთის მოყვარული დირექცია ხელგაშლილი შეხვდა თავისი გუნდის ახალ შევსებას. ფოთელი „ვარსკვლავები" უგამოცდოდ მიიღეს და საერთო — ტექნიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხეს.

* * *

„ზიი", „ტსპო", „ლოკომოტივი", „დინამო" — ეს ოთხი სახელი ერთთავად პირზე ეკერათ, ოთხ „მტრულ" ბანაკად გათიშულ თბილისელ გულშემატკივრებს. გაზაფხულობით და შემოდგომობით, ქალაქში უძლიერესის სახელისათვის გამართულ ფიცხელ ტურნირებში — უმთავრესად ეს ოთხი გუნდი პაექრობდა. ხან ერთი ბანაკი ზეიმობდა, ხან მეორე. მინდვრებზე ფეხბურთელები იბრძოდნენ, ტრიბუნებზე გულშემატ-

კივრები ომობდნენ. ოთხი ერთმანეთის მჯობნი გუნდი, ოთხი „შეურიგებელი“ ბანაკი — ასეთი იყო თბილისის საფეხბურთო სამყარო, მაშინ, როცა ბორია პაიჭაძეს, ვალოდია ბერძენიშვილს, გრიშა გაგუას, გვაჩი ჯორბენაძეს ჩამოსვლა და „გათბილისელება“ არ აცალეს, და ეს „გუშინდელი“ ფოთელები, ეგრევე „გაუთლელად“ ინდუსტრიალური ინსტიტუტის „ზიის“ ნაკრებ გუნდში „მოაყუჩეს“.

„ზიი“, მაინც, თბილისელების ყველაზე საყვარელი გუნდი იყო. „ზიის“ ყველაზე მეტი ქომაგი ეგულებოდა ტრიბუნებზე. „ზიის“ ყველაზე ხმაურიანი და „ჭინჭყლი“ გულშემატკივრები ჰყავდა. „ზიი“ და ეს ამოდენა სტუდენტობა. „ზიი“ და მთელი თბილისის ახალგაზრდობა. როცა „ზიი“ იმარჯვებდა, სტადიონზე მტრედებს აფრენდნენ და გაგიჟების წუთები დგებოდა. „ზიის“ ფეხბურთელები: „ლასტოჩკა“ იური კასრაძე, „სვეჩკა“ მიშა მინაევი, „პარავოზა“ მიშა ბალოტინი, „დუხავიკა“ გერმან კირილოვი, „კრასავჩიკა“ ვალია კოძისი— ჰქუხდნენ მთელს ქალაქში.

მაგრამ, „სტადიონის ხალხი“ ახლა „სხვა რამის ინტერესში იყო ჩავარდნილი“. ფოთელი „ვარსკვლავების“ თბილისში გადმოსვლის ამბავი მალე მოედო ფეხბურთის მოყვარულებს და ისინი „ზიის“ ახალი შემადგენლობის ხილვის მოლოდინში იყვნენ. განსაკუთრებით ღელავდნენ „ზიის“ გულშემატკივრები, რომლებიც დღეს დღეზე ითვლიდნენ ქალაქის საშემოდგომო პირველობის დაწყებამდე, როცა მათი საყვარელი გუნდი უცხო „ვარსკვლავებით“ დაბშვენებული გამოვიდოდა მოედანზე...

და აი, დადგა ნანატრი დღე. 1 ოქტომბერს გაჩაღდა ტრა-

დიციული ტურნირი და „ზიი“ ნახევარდაცვა-თავდასხმის განახლებული ხაზებით მოევლინა მეტოქეებს. გრიშა გაგუას და გვაჩი ჯორბენაძეს — ნახევარდაცვა არგუნეს, ვალოდია ბერძენიშვილი — შუამარბად აირჩიეს, ბორია პაიჭაძეს — ცენტრფორვარდობა მიანდეს და 20 წლის ჭაბუკს თავდასხმის მეთაურობა აკისრეს.

„ზიიმ“ წაუბორძიკებლად გათელა მინდვრები, ფარ-ხმალი დააყრევინა მეტოქეებს და უძლიერესობა დაიჩემა ქალაქში. ფოთელმა „ვარსკვლავებმა“ ნდობა გააბართლეს, და მერე ეგრე? ბორიას ლამის ხელით ატარებდნენ, გრიშა, გვაჩი და ვალოდია კი — ლამაზი, ვაჟკაცური თამაშისათვის, სამუდამოდ შეიყვარა მომთხოვნმა და ჭირვეულმა თბილისელმა მაყურებელმა.

ოქროს წლები

1. მეორედ დაბადება

1936 წლის თებერვლის ერთ ქარბუქიან, გათოშილ დღეს, შორეული მოსკოვიდან მოსულმა უეცარმა ცნობამ გააღვიძა, ააფორიაქა, დედაბუდიანად აშალა „ზამთრის ძილს“ მიცემული თბილისელი გულშემატკივრები.

ჭორი იქნებაო, — ამბობდნენ ერთნი... „ნატური“ ამბავიაო, — იჯერებდნენ მეორენი...

რაკი ერთი გაიგეს, ენა ველარ მოასვენეს, ასი ტყუილი თქვეს, მერე ქალაქში გაავრცელეს, მერე თვითონვე დაიჯე-

რეს და იმ ცნობას ათასი კუდი გამოაბეს. მაგრამ, გავიდა რამდენიმე დღე, საგაზეთო კიოსკებთან გრძელი რიგები გაიჭიმა, „მუშა“ და „ვეჩორკა“ ხელიდან ხელში გადავიდა, ყველაფერი გამოირკვა და თბილისელმა ბიჭებმა სიხარულით ლამის დაჭამეს ერთმანეთი...

„მიმდინარე საკავშირო შეჯიბრებას ფეხბურთში, საფუძვლად დაედება არა ქალაქთა ნაკრები გუნდების შეხვედრები, როგორც ეს წლევანდლამდე ხდებოდა, არამედ სპორტულ საზოგადოებათა კოლექტივების ჩემპიონატი, რომელიც წრიული სისტემით გაიმართება. პირველობაში მონაწილე გუნდები, თავისი ოსტატობის დონის მიხედვით დაყოფილ იქნებიან „ა“, „ბ“, „ვ“, „გ“ ჯგუფებად“. დასასრულ, გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ ამ დიდი მასშტაბის ასპარეზობაში ქართული ფეხბურთი წარმოდგენილი იქნებოდა „ბ“ კლასის ერთი გუნდით...

რომელი იქნება ეს გუნდი? — გულშემატკივრებმა ახლა ამაზე ატეხეს დავა-კამათი და „ზამთრის ძილი“ საბოლოოდ დაიფრთხეს,—„ზიი“? „ტსპო“? „ლოკომოტივი“? „დინამო“?

„დინამო“ — დაასკვნეს საქართველოს ფეხბურთის მესვეურებმა და გულშემატკივართა წილადობილას წერტილი დაუსვეს.

მარტი პირველ დღეებს ითვლიდა, როცა „ზიის“, „ტსპოს“, „ლოკომოტივს“ „ნაღები მოხადეს“ და ვინც იყვნენ იმათში მჯობნთა-მჯობნი, მძლეთა-მძლენი, საქართველოს ამ უძველეს გუნდში გადაიყვანეს.

1925 წელს დაარსებული, 1928 წლიდან აღზევებული, 1934 წლიდან დაქვეითებული თბილისის „დინამო“ — წელში

ისევ გაიმართა და 1936 წლის იმ დაუვიწყარ გაზაფხულზე მეორედ დაიბადა.

2. „თერთმეტი უცნობი“

როცა გაზეთმა „კრასნი სპორტმა“ „ბ“ ჯგუფის გუნდების შეჯიბრების დაწყების წინ, გამოაცხადა მკითხველთა კონკურსი „ვინ გადავალ „ა“ ჯგუფში“, — თბილისის დინამოელებს, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ „თერთმეტ უცნობს“, მხოლოდ ორიოდე კაცმა შეაწია ხმა... „წინასწარმეტყველნი“ სასტიკად მოტყუვდნენ ანგარიშში. „თერთმეტმა უცნობმა“ სეზონის № 1 „სიურპრიზი“ მიართვა გულშემატკივრებს: დაუბარცხებლად იბრძოლეს, ყველას აჯობეს, 19 ბურთი გაიტანეს, 4 გოლი მიიღეს, ნაცადი ლენინგრადელები სადღაც უკან მოიტოვეს, ნაქებ მოსკოველებს 4 ქულით გაასწრეს, „ა“ ჯგუფში გადასვლის საოცნებო საგზური მოიპოვეს, და თბილისის „დინამომ“ ერთბაშად დაიქუხა მთელს კავშირში.

როცა გაზეთმა „კრასნი სპორტმა“, იმავე წლის ზაფხულში, საბჭოთა კავშირის თასისათვის ასპარეზობის დაწყების წინ, გამოაცხადა მკითხველთა კონკურსი „რომელი გუნდები გავლენო ფინალში“ — ჩვენი „დინამოს“ წარმატება „გაზაფხულის გაუგებრობად“ მიიჩნიეს, თბილისელები აინუნშიაც არ ჩააგდეს და ერთი ხმა რა იყო, იმათთვის ისიც არავინ გაიმეტა სამადლოდ... „წინასწარმეტყველნი“ მეორედ მოტყუვდნენ ანგარიშში.. „თერთმეტმა უცნობმა“ სეზონის № 2 „სიურპრიზი“ მიართვა გულშემატკივრებს: უსახელონი სახელიანებს შეუდრეკლად მიეტევნენ, ფინალური სარბიელისაკენ

მიმავალი მოლიპული გზა გაბედულად გაიკვალეს, „გამოვარდნის“ ულმობელ წესს გაუძლეს, მათთვის დაგებულ ფათერაკში სხვა გააბეს, ძნელად სავალ საცალფეხოზე გავიდნენ და მეოთხედ-ფინალის საბედისწერო გზაჯვარედინზე საშიშ მეტოქეს შეეყარნენ. თბილისის „დინამოს“ წინაშე მთელი თავისი მრისხანებით იდგა ბრძოლებში ნაწრთობი „სპარტაკი“... მოსკოვის „სპარტაკი“!...

„თბილისელებს წირვას გამოუყვანსო „სპარტაკი“, — იცინოდნენ გამარჯვებით განებივრებული მოსკოველი გულშემატკივრები და „სეირის“ მოლოდინში, მეტი-მეტი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდნენ...

«это будет не матч достойных, а просто напросто «избиение младенцев»,—დარწმუნებული იყო მთელი მოსკოვი.

და „წინასწარმეტყველნი“ მესამედ მოტყუვდნენ ანგარიშში.

3. „საუკუნო მატჩი“

ამ მატჩზე ბევრი თქმულა, ბევრი იწერება და, ალბათ, მომავალშიც, ბევრს იტყვიან. არც რაა გასაკვირი: ეს იყო დაუვიწყარი ორთაბრძოლა. უჯიათი შეუპოვრობით იბრძოლეს გამოცდილმა სპარტაკელებმა, ადვილად არ დათმეს თავი ახალბედა დინამოელებმაც: შერკინებაში ორი დღე დააღამეს, 180 წუთი დალიეს, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს ერთმანეთს... პირველ დღეს: ჯერ „სპარტაკს“ მიჰყავდა 3:1, მერე თბილისელებმა ივარგეს, გახდა 3:3 და ბინდმა გაჰყარა მოასპარეზენი. მეორე დღეს ყველაფერი განმეორდა, მხოლოდ: ჯერ ჩვენებს

მიჰყავდათ 3:1, მერე სპარტაკელებმა იღონეს, ისევ გახდა 3:3 და მსაჯის სასტვენმა „გააშველა მოჩხუბარნი". ორჯერ იყო 3:1, ორჯერ გახდა 3:3, ხან ერთი გავიდა წინ, ხან მეორე დაწინაურდა, არც ერთი გატყდა და არც მეორე. ეს იყო დაუვიწყარი ორთაბრძოლა.

და როცა, სათასო ასპარეზობის ულმობელმა ოლიმპიურმა კანონმა დამატებით 30 წუთი მოითხოვა, ნაბრძოლი ფეხბურთელნი კვლავ მოიხმო მინდორზე, — „თერთმეტმა უცნობმა" სარბიელზე სასწაული მოახდინა, ფრთები გამოისხა, მეტოქის კარს შეუტია, საჯარიმო მოედანს ბოლი ადინა, სპარტაკელთა კარის ბადე სამჯერ ზედიზედ შეარხია, 80 ათას მაყურებელს პირი დააღებინა და ტრიბუნებს დგანდგარი დააწყებინა.

6:3!

ეს იყო გაუტეხავ მეტოქეთა დაუვიწყარი ორთაბრძოლა, ადამიანის მოურეკელი სიმძლავრის, ტოლდაუდები მხნეობის, დაულეველი სიჩაუქისა და გონებამახვილური ილათიანობის გასაოცარი სანახაობა.

4. „საუკუნო მატჩის" ექო

თბილისის „დინამომ" თასის მოპოვება ვერ შესძლო, მაგრამ ახალგაზრდული გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებამ მოსკოვის „სპარტაკის" უკვე სახელმოხვეჭილ კოლექტივზე და შემდგომ ფინალში გასვლამ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

თვალი გადავავლოთ იმ დღეების ჟურნალ-გაზეთებს: „ყოფილი „ზიელების" ბორის პაიჭაძის, გრიგოლ გაგუას, ვლადი-

მერ ჯორბენაძის, ვლადიმერ ბერძენიშვილის და სხვათა გადასვლამ „დინამოში," საქართველოს დედაქალაქის ეს უძველესი ფეხბურთელთა გუნდი ააღორძინა და ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კოლექტივთა რიგებში ჩააყენა". — წერდა ქართული პრესა. „თბილისის „დინამოს" სახით, საბჭოთა ფეხბურთმა საიმედო ძალა შეიძინა". — წერდნენ ლენინგრადელი ჟურნალისტები. „210 — წუთიანი მეოთხედ-ფინალური მატჩი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ეს იყო რაღაც განუმეორებელი, განსაცვიფრებელი, ფენომენალური ფეხბურთი, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს მოსკოვს და, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ იხილავს". — წერდა ჟურნალი „ოგონიოკი". „როცა ქართველი ფეხბურთელები მოედანზე გამოდიოდნენ, ისინი მოსკოველი მაყურებლებისათვის წარმოადგენდნენ, „თერთმეტ უცნობს". როცა ქარველი ფეხბურთელები სტოვებდნენ მოედანს, ისინი 80 ათასი კაცისათვის წარმოადგენდნენ „თერთმეტ საოცრებას", რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა წარმოუდგენლად ძნელია". — წერდა „კრასნი სპორტი". აღნიშნავდნენ ცალკეულ მოთამაშეებსაც: მეკარეებს ა. დოროხოვს და ნ.სალონინს, მცველებს შ. შავგულიძეს და ე. ნიკოლაიშვილს, ნახევარმცველებს ვ. ჯორბენაძეს და ნ. ანიკინს, თავდამსხმელებს: მ. ბერძენიშვილს და მ. ასლამაზოვს, აღნიშნავდნენ მათ კარგ ფიზიკურ მომზადებას და მაღალ ტექნიკას...

განსაკუთრებული ქება-დიდება წილად ხვდა თბილისის „დინამოს" ცენტრფორვარდს: „თბილისელების თავდასხმას ხელმძღვანელობს დაუღალავი და საშიში პაიჭაძე. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ფორვარდებიდან არც ერთს არ

შეუძლია ისე მოხერხებულად და სწრაფად დაამუშაოს ბურთი, როგორც პაიჭაძეს. ისე იოლად მოატყუოს თავისი დარაჯი, ბურთი ისე „მოჭრილად“ დაარტყას კარში, როგორც ეს შეუძლია პაიჭაძეს. ამაზე მეტყველებენ ის ბურთები, რომლებიც ყუმბარებივით გაგზავნა მოსკოველთა კარის ბადეში პაიჭაძემ“.

5. „დიდი ურუგვაელები“

გაზაფხულზე დანთებული და შუაზაფხულში აგიზგიზებული ცეცხლი, ქართველმა ფეხბურთელებმა არც შემოდგომაზე გააანელეს. თასის ყისმათმა რომ უმტყუნათ, მოსვენება დაკარგეს, ახლა ჩემპიონობა აიჩემეს და პირველობას დაუმიზნეს...

თითო-ოროლა ურწმუნომ მაინც გამოჰყო ფეხი: მაგათ თასი ხომ არ ჰგონიათ პირველობა, ჩაფლავდებიანო. მაგრამ, კვეხნით არ მოსდიოდათ დინამოელებს და ნაცარქექიობით: გულიც ჰქონდათ საგულეში, მუხლიც ჰქონდათ სამუხლეში, თავიც ჰქონდათ ქადილისა. „აწყვეტაზე“ იყო გუნდი: შურკა დოროხოვს თვალი ჰქონდა ელვაზე უმალესი, შოთა შავგულიძე კაცს ძვირად გააჭაჭანებდა საჯარიმოზე, გრიშა გაგუა და გვაჩი ჯორბენაძე ძნელად დასთმობდნენ შუა მოედანს, წინ პაიჭაძე დაგლეჯდა აბჟანდებს. ახლა კიდევ სომოვი, ახლა კიდევ პანინი, ახლა კიდევ ბერძენიშვილი, ახლა კიდევ... რა ვიცი, სულ ერთიმეორეზე უკეთესი ბიჭები იყვნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზე იყო, იმათ წინ ეშმაკიც ვეღარ დაუდგებოდა!..

ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, თეთრი კბილი და შავი კბილი სიცილის დროს გამოჩნდა: დაჩაგრეს მოსკოველები,

დაიბრიყვეს კიეველები, გააცურეს ფალავანთა ფალავნები, წაახდინეს მჯობნთა მჯობნი, და როცა ჩემპიონის კვარცხლბეკზე ცალი ფეხი შედგეს, უეცრად... აუტკივარი თავი აიტკიეს, ლენინგრადის მაჩანჩალა „კრასნაია ზარიასთან“ წააგეს (!), პირველობის მაძიებლებმა მესამე ადგილი იკმარეს და თითქმის ვანაღდებულ ჩემპიონობას, ჩაილურის წყალი დაალევინეს.

არც 37-ში შეირცხვინეს პირი: თასის ფინალი მეორედ დალაშქრეს და წამყვან ხუთეულში ფეხი მოიკიდეს... ძაან დრო იყო! თბილისის „დინამო“, „დოროხოვი“, „შავგულიძე“. „გაგუა“, „ჯორბენაძე“ და „პაიჭაძე“, „პაიჭაძე“, „პაიჭაძე“ და „პაიჭაძე“-ღა ისმოდა სტადიონებზე...

იმათი შნო და ლაზათი ურწმუნოებმაც ირწმუნეს, იმათი ძალა-ილათი საქვეყნოდ აღიარეს, ქართველი ფეხბურთელები მსოფლიო „ვარსკვლავებს“ ადარეს, სამხრეთ-ამერიკელ „ჯადოქრებს“ ამსგავსეს და „დიდ ურუგვაელებად“ მონათლეს.

6. გაიოზ ჯეჯელავა

თუ 36-ში, ის დაუვიწყარი პირველი გამარჯვებანი „შავგულიძეებისა“ და „პაიჭაძეების“ წყებამ გაჭედა, 37-ში მოპოვებულ წარმატებებში ახალმოსულთა „ბედნიერი“ ფეხიც ერია. ძველებს ახლები შეეწივნენ და „დინამომ“ მხრები გაშალა, ჯანში იმატა. მთიანი სვანეთიდან მოფრინდა თვალივით სწრაფი თენგიზ გავაშელი, ზღვისპირეთიდან შეჰკრა კამარა ალიოშა ტყებუჩავამ, „ლოკომოტივიდან“ „გადმობარგდა“ გაიოზ ჯეჯელავა.

გაიოზ ჯეჯელავა... საფეხბურთო მინდვრების ამოუცნობი საიდუმლოება და ქართველი კაცის ილათიანობის ლამაზი ლე-

გენდა... გაიოზმა გარემარბობა დაიჩემა, მარჯვენა ფრთა აირჩია, ჯერ გაუბედავი ნაბიჯი გადადგა, მერე თავი აიწყვიტა, ბურთი დაიყოლა, ხალხი აიყოლა, ტრიბუნები დასაბმელი გახადა და ბორის პაიჭაძეს ძმასავით მხარში ამოუდგა...

არა, არ არის შემთხვევითი... პაიჭაძეს გავიხსენებთ და ჯეჯელავა მოგვაგონდება... ბორის პაიჭაძესთან ერთად, გაიოზ ჯეჯელავამ ქართული სიკისკასისა და სიჩაუქის ყველაზე წარმტაცი სიმღერა თქვა.

7. საქართველოს სადღეგრძელო

ძველი წყობა დაიწუნეს, ინგლისური შეითვისეს, თავისიც დაუმატეს, საბრძოლო გაშლა შეცვალეს და ფეხბურთში გადატრიალება მოახდინეს. ცენტრალური ნახევარმცველი დაცვაში გადაისროლეს, შუა მინდორზე ორი ნახევარმცველი იკმარეს, შუამარბები ოდნავ უკან დასწიეს, რიგები შეამჭიდროვეს, რგოლები შეადუღაბეს, დაცვა გააძლიერეს, შეტევა გაიადვილეს, თავისი კარი საიმედოდ ჩაკეტეს, სხვისი იოლად ასაღები გახადეს, მოთამაშეთა განლაგება ორ „3„ ს დაამგვანეს, გუნდის ბედი თერთმეტ ჯადოქარს მიანდეს და ძველ ფეხბურთს ომი გამოუცხადეს.

ახალი „იარაღი" ჯერ შინაურებთან სცადეს. შეერკინენ კასტილიელებს და კატალონელებს, ასტურიელებს და ვალენსიელებს, ნავარელებს და არაგონელებს, მადრიდელებს და ბარსელონელებს, და მთელს ესპანეთში ტოლი ვერ იპოვეს. რაკი ხერხმა არ უმტყუნათ, ახლა გარეთ გაიხედეს, ევროპა მოიარეს, ყველა დააჩოქეს, ეს ამოდენა ქვეყანა ფეხბურთის

უნახავი გახადეს, და საფეხბურთო სამყაროში მეხივით გავარდა:

ბასკები!

37-ის შუა ზაფხულში, როცა ზარბაზნები აღვიძებდნენ ანდალუზიის ღამეებს, როცა ცეცხლი სწვავდა მურსიის ჰორიზონტს, როცა ზეცა დასტიროდა გრენადის მთა-გორებს, როცა სანგრები ღობავდნენ ველს ესტრემადურის, როცა ყუმბარებს უშენდნენ მადრიდის კარიბჭეს, როცა ინგრეოდა ვალიადოლიდი, როცა სახრჩობელებს დგამდნენ ბადახოსში, როცა ბორკილებს სჭედდნენ სარაგოსში, როცა სიმღერით კვდებოდნენ მონსორესში, როცა ბარიკადებზე დაჰქროდა დოლორესი და ბრძოლაში უხმობდა ესპანეთს, — ქორბუდა ბასკონიის არწივები ჩვენს ქვეყანასაც ესტუმრნენ, გამარჯვებებით იარეს, მერე თბილისს ჩამოხედეს, და შეზრიალდა საქართველო:

ბასკები!

24 ივლისს, მთელი თბილისი შესახლდა სტადიონზე. რამდენიც იჯდა, ერთი იმდენი ფეხზე იდგა. ბასკების ეშხით, ისეთებიც მოვიდნენ, — თავის სიცოცხლეში რომ ფეხი არ შეედგათ სტადიონზე, ფეხბურთი კოჭის გაგორება ეგონათ, და, რაღა თქმა უნდა, „ინსაიდი“ „ოფსაიდისაგან“ ვერ გაერჩიათ...

30 ათასი მაყურებელი სტუმრების უბადლო ოსტატობის მოწამე გახდა. ბლასკომ „ცხრიანები“ ჩამოხსნა, ლანგარამ მოედანი მოქარგა, სილაურენმა და გოროსტიცამ „თავურების კონცერტი“ გამართეს და ავ-კარგის მცოდნე თბილისელმა გულშემატკივარმა სამუდამოდ დაიმახსოვრა ბასკების ცეცხ-

ლოვანი თამაში... მართალია, „მშრალზე“ დამარცხდნენ (0:2), დინამოელები ბასკების ღირსეული მეტოქენი იყვნენ თამაშის უკანასკნელ წუთამდე.

მეორე დღეს, გაზეთი „ფიზკულტურელი“ წერდა: „ნამდვილი ოსტატური თამაში გვიჩვენეს — მეკარე ა. დოროხოვმა, მცველმა შ. შავგულიძემ, ნახევარმცველმა ვ. ჯორბენაძემ, თავდამსხმელებმა თ. გავაშელმა და ბ. პაიჭაძემ. ამ მატჩში, უკანასკნელის განსაკუთრებით კარგი თამაში იმის მაჩვენებელია, რომ ის ყალიბდება ბრწყინვალე მოთამაშედ“...

ბასკების ცენტრალურმა მცველმა ეჩიბარიამ განაცხადა: „მრავალი ქვეყანა მომივლია, ევროპისა და სამხრეთ-ამერიკის უძლიერეს გუნდებთან მითამაშნია, ერთმანეთის უმჯობეს ცენტრფორვარდებს შევრკინებივარ, მაგრამ პაიჭაძის მსგავსი არაფერი მინახავს... ეს არის ფიზიკურად ძლიერი, გასაოცარი სისწრაფით, არაჩვეულებრივი ტექნიკური ილეთებით და. რაც მთავარია, მეტად ორიგინალური დრიბლინგით აღჭურვილი ფეხბურთელი... და თუ პაიჭაძის მრავალრიცხოვანი გარღვევები გოლით არ დაგვირგვინდა, ამაში „დანაშაული“ მხოლოდ მეკარე ბლასკოს მიუძღვის...“

...მატჩის შემდეგ, როცა მთაწმინდამ ბინდი მოისხა, მაჯათა ღამემ დამალა, მტკვრის ხეობა ჩირაღდნებად დაიღვარა და საღამოს თბილისმა პაექრობა შეჰბედა ვარსკვლავეთს, — გამარჯვებული ბასკები ქალაქის თავზე აიყვანეს და ძვირფას სტუმრებს ცაში დაკიდულ სასახლეში ნადიმი გაუმართეს.

პირველი სადღეგრძელო — ქვეყნად ხალხთა ძმობისა ითქვა. მეორე სადღეგრძელო — ესპანეთში რესპუბლიკელთა გამარჯვებისა შეისვა. მესამე სადღეგრძელო — სტუმრებმა

მოითხოვეს, ფეხზე წამოდგნენ, თასები მაღლა შემართეს ბასკებმა და თავიანთი გულისნადები, გუნდის თავკაცს ეჩიბარიას ათქმევინეს: „ჩვენ გვინდა დღეგრძელობა ვუსურვოთ დიდი საბჭოეთის ამ პატარა კუთხეს, ამ მზით სავსე ქვეყანას, მიწით მცირე, მაგრამ დიდი წარსულის მქონე მშვენიერ საქართველოს, მამაც და ნიჭიერ ქართველ ხალხს, რომელმაც თავისი გმირი შვილების წყალობით საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძლო, და რომელიც დღესაც ზრდის და კვლავაც გაზრდის ისეთ ჩაუქ ვაჟკაცებს, როგორიც არის, თუნდაც, ჩვენი დღევანდელი „მეტოქე“ მწვანე მოედანზე, ხოლო გულითადი მეგობარი, აქ, ამ შესანიშნავ ქართულ სუფრაზე—ბორის პაიჭაძე...“

8. „მოხეტიალე“ ცენტრფორვარდი

38-ში, ორ „ვ“-ზე გადავიდნენ, ბასკურ ყაიდაზე დაეწყვნენ, დაცვა გაასამკაცეს, ნახევარდაცვა გაორკაცეს, თავდასხმა მისწი-მოსწიეს, მაგრამ უცხო წყობას ალღო ერთბაშად ვერ აუღეს, თითქოს ხელ-ფეხი შეიკრეს, თავისებურად ვერ ინავარდეს, მუხლი ვერ გაილაღეს, ძველი წყობა დაივიწყეს, ახალი ვერ შეითვისეს და იმ ზაფხულს, მაინცდამაინც ვერ იყოჩაღეს ქართველმა ფეხბურთელებმა. და თუმცა, 38-შიც კარგა ბევრი გამარჯვება მოიპოვეს, დოროხოვი მეკარეთა სამეულში შეიყვანეს, შავგულიძე პირველ მცველად აღიარეს, ბერძენიშვილი „პენალტის ჯადოქრად“ მიიჩნიეს, ჯორბენაძე „ვარსკვლავთა ჩამკეტად“ გამოაცხადეს, გავაშელის, ბერეჟნოის, პაიჭაძის სურათებმა გაზეთები ააჭრელეს, მე-6 ადგილი დიდი ვერაფერი შვილი იყო, მთელს კავშირში განთქმულ „დი-

დი ურუგვაელებისათვის". ის ზაფხული ხინჯად დარჩათ თბილისელებს: გულშემატკივრებს და ფეხბურთელებს...

ქართული ფეხბურთის მესვეურებს კი საფიქრალი გამოუჩნდათ: საქმე მიხედვას მოითხოვდა, არადა საათივით აწყობილი გუნდი ხელსა და ხელს შუა წაუვიდოდათ. ძნელი ჰქონდათ სააზრი: ძველისაკენ დაბრუნება ხელს არ აძლევდათ, ახლის ათვისებაში ახლის მცოდნე სჭირდებოდათ. დასხდნენ, ითათბირეს, აქეთური თქვეს, იქითური თქვეს, ახალი მწვრთნელი გადაწყვიტეს, ყოვლისმცოდნე მოიკითხეს, ათი ერთად ურჩიეს, ათივე დაიწუნეს, ბოლოს ერთი აირჩიეს და რუსეთიდან ბუტუსოვი მოიწვიეს...

ყოჩაღი კაცი გამოდგა ბუტუსოვი: ზამთარი არ იუქმეს, დღე და ღამე ივარჯიშეს, ორი „ვ" ხუთი თითივით ისწავლეს, ბასკურ „ოინს" თბილისურიც დაუმატეს, „ადგილის ცვლა" მოიგონეს, მეტოქეებს თავსატეხი მოუმზადეს და ახალ სეზონს დიდი გულით შეეგებნენ ქართველი ფეხბურთელები... გამარჯვებებით დაიწყეს, მოსკოვის გუნდებს თავ-გზა აუბნიეს, კიეველებს დავთრები აურიეს, დონბასელები ბრინჯივით დააბნიეს, ლენინგრადელები უთავბოლოდ არბენინეს, საფეხბურთო ოლიმპისაკენ ტრიუმფით გასწიეს, მერე უცებ ძველი „ავადმყოფობა" გაიხსენეს, დაუდევრობა გამოიჩინეს, „სუსტებთან" ხელჩაქნევით ითამაშეს, აუტკივარი თავი აიტკიეს, ერთი-ორჯერ წაიბორძიკეს, პირველობა ხელიდან გაუშვეს, მერე წელი ისევ გაიმაგრეს, „ცდკას" წაგებული თამაში მოუგეს და მეორე ადგილი დაისაკუთრეს.

ისე მიიწურა ზაფხული და გახუნდნენ საფეხბურთო მინდვრები, „ადგილის ცვლის" საიდუმლოს ვერავინ მოურგო

ჯადოსნური გასაღები. პაიჭაძე, ჯეჯელავა და ხარბედია ერთმანეთს „კალათბურთული“ სისწრაფით უცვლიდნენ ადგილებს და ფეხბურთის ყველაზე გამჭრიახი სპეციალისტიც ვერ გაიგებდა, ვინ საიდან შეიჭრებოდა გრიგალივით, მოწინააღმდეგის გაოგნებულ მცველებში. დიდებული სანახავი იყო მაშინ თბილისელთა ცენტრფორვარდი! ხან ცენტრიდან უტევდა, ხან მარჯვნიდან იწყებდა იერიშს, ხან მარცხნიდან აცხრებოდა არაქათგამოცლილ მეურვეებს და იდგა მინდვრებზე მწვრთნელების, მცველების, მეკარეთა შიშნარევი ძახილი: ფრთხილად, პაიჭაძე!

„კრასნი სპორტმა“ აღტაცებული სტრიქონები უძღვნა ქართველ ცენტრფორვარდს: „საბჭოთა კავშირში არ ყოფილა და არც არის ისეთი „მოხეტიალე“ თავდამსხმელი, როგორიც პაიჭაძეა. მასში თანაბრად არის შერწყმული: მოედნის გასაოცარი ხედვა, პარტნიორის არაჩვეულებრივი შეგრძნობა, იშვიათი გამძლეობა, დიდი სისწრაფე, ბრწყინვალე დრიბლინგი და ზუსტი, ძლიერი დარტყმები კარში. და, რაც მთავარია, თავმდაბლობა, კორექტულობა, სპორტსმენის მაღალი კულტურა. ბორის პაიჭაძეს არასდროს მიუღია მსაჯის უბრალო გაფრთხილება, რომ აღარაფერი ვთქვათ მოედნიდან გაძევებაზე, რაც არცთუ ისე იშვიათია ზოგიერთი ჩვენი „ვარსკვლავებისათვის“...

კიდევ ერთი ნიშანი ჰქონდა მებრძოლისა პაიჭაძეს: როცა ბურთს დაეუფლებოდა, მეურვეებთან პირისპირ შებმას კი არ გაურბოდა, არამედ იქით მიისწრაფვოდა, სადაც მცველთა ყველაზე დიდი თავშეყრა იყო და ჯიქური შეტევით, ენით აუწერელი არეულობა შეჰქონდა მათ რიგებში.

9. უგვირგვინო ჩემპიონები

1939—40 წლების საფეხბურთო სეზონები ტყუპებივით გავდნენ ერთმანეთს. 39-ის ამბები 40-შიც გაიმეორეს ქართველმა დიდოსტატებმა: გაზაფხულზე „აიწყვიტეს“, ჩემპიონატს უთავეს, მთელ ზაფხულს ილიდერეს, შემოდგომაზე ნაბიჯი აირიეს, ჯერ ვოლგოგრადში იძლივნენ, მერე მოსკოვში დამარცხდნენ, პირველობა მოსკოველებს დაანებეს, გამარჯვებულებს ორი ქულით ჩამორჩნენ და ისევ მეორე ადგილზე გავიდნენ.

ჩემპიონატმა გადაიქუხა, მაგრამ გარდასულ ბრძოლათა ექო, კიდევ დიდხანს იდგა დაყრუებულ ტრიბუნებზე, ფერგაცლილ მინდვრებზე, მთელს ჩვენს ქვეყანაში. აღარ ცხრებოდნენ ჟურნალ-გაზეთები, არ ელეოდათ საწერი ჟურნალისტებს ახალ ფალავნებს — მოსკოვის დინამოელებს გუნდრუკს უკმევდნენ, „მუდმივ პრიზიორებს“ — თბილისის დინამოელებს დიფერამბებს უმღეროდნენ.. „ორჯერ ზედიზედ მეორე ადგილის დაკავება — ჩემპიონობას უტოლდება. ამიერიდან, ქართველი ფეხბურთელები არიან „უგვირგვინო“ ჩემპიონები, “ — აცხადებდა „ოგონიოკი“.

— ვის აძლევთ თქვენს ხმას? — მიმართავდა „კრასნი სპორტი“ თავის მკითხველებს, სეზონის უძლიერესი ფეხბურთელის გამოსავლინებლად, საგანგებოდ გამოცხადებულ კონკურსში, — ვინ მიგაჩნიათ სეზონის №1 ფეხბურთელად?

პაიჭაძე, — ამბობდნენ მოსკოველები, — „დიდი ურუგვაელების“ ყველგანმყოფი, „მოხეტიალე“ ცენტრფორვარდი!..

პაიჭაძე, — აცხადებდნენ ლენინგრადელები, საბჭოთა ფეხბურთის პირველი სიდიადის ვარსკვლავი!..

პაიჭაძე, — პასუხობდნენ კი

ლების, დუმბაძეების, პაიჭაძეებისა და ჯეჯელავების ჩაუქი თაობის. მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ოთხი ოქროს წელიწადი შეიწირა... ერთს რომ სიცოცხლე წაჰგვარა, მეორეს ახალგაზრდობა გაუხუნა... მხოლოდ 1944 წელს, როცა მამულის მცველებმა მიხაკისფერი ჭირისაგან სრულად გასწმინდეს სამშობლო მიწა-წყალი და ოთხფეხა მაჯლაჯუნა თავისავე ბუნაგში შეიმწყვდიეს, — ისევ გაიღვიძა საბჭოთა საფეხბურთო სამყარომ, განახლდა ნაომარი ქვეყნის სპორტული ცხოვრების მაჯისცემა.

ჰაი, გიდი, გიორგი საკაძე!

ნავთლუღის მხრიდან იკამარა, ცას გაეკრა და ქუდა ღრუბლებს დაეკიდა... ფოლადის ქორმა ერთ ხანს მეტეხის თავზე იტორტმანა, მერე ფრთებში ქარი ჩაიდგა, მტკვრის ხეობა გაზომა, სახურავებს გუგუნი დაატეხა, ქალაქს ზანზარი მოჰგვარა, გარეკახეთის შიშველი გორაკები დაიგო, აზერბაიჯანის ხორშაკიან ველებს გადაევლო, ყარაბაღის ქვის შუბებს შეაჯდა და თბილისის დინამოელნი ირანის გზაზე დააყენა.

... იძრა ირანი, როცა ქართველი ფეხბურთელების ჩამოსვლის ამბავი გაიგო... დიდი ყარამანყანთელები არ არიან ფეხბურთში ირანელები, მაგრამ მაინც ერთ ტრაბახში იყვნენ — დაუმარცხებლად ვერ წაგვივლენო „გურჯისტანის ბიჭები“. აბა, ჩვენ ბიჭებს რაღა ეთქმოდათ, მოთმინებით ლევდნენ მოლოდინს და ეღიმებოდათ ულვაშებში — ალილო და ხვალეო...

ჰოდა, ვის რისი თავიცა ჰქონდა, მოედანზე გამოჩნდა: „გურჯისტანის ბიჭებმა“ სარბიელზე ჩაუქრობელი ცეცხლი

დაანთეს, მასპინძლები სირბილით „ჭიპზე გახეთქეს“, ბურთები სულ „პანტაპუნტით“ ყარეს, ირანელთა ტრაბახი შირაზის ქარს გაატანეს და თეირანელი მობურთავენი მუხლებზე დააჩოქეს.

მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ირანელებს თადარიგში კიდევ ერთი გუნდი ჰყოლოდათ შემონახული ქართველებთან შესარკინებლად. შაჰის „საკუთარი“ გუნდი იყო. დამარცხების სიმწარე თავის დღეში არ ეგემა და მთელს ირანში „უძლეველის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი... ქართველები არ შეშინდნენ და იმ „უძლეველ“ გუნდსაც გაუსინჯეს ყუათი. კაცმა რომ სიმართლე თქვას, გუნდი იმდენად არ იყო ხიფათიანი, რამდენადაც „ამაყდიეს“ სტადიონი. ზომაზე გრძელი იყო მინდორი: კარგა დიდხანს უნდა გერბინა, ერთი ბოლოდან მეორემდე ჩაგეღწია. მაგრამ, ის მინდორიც ითარეშეს, ის გუნდიც მოთოკეს, პაიჭაძემ, ჯეჯელავამ, ახალბედა ღოღობერიძემ ირანელები საკუთარ თვალს არ დააჯერეს და „შაჰის ბიჭებს“ ისეთი დღე დააყენეს, — ჰაი, გიდი, სად იყავ მაშინ, გიორგი სააკაძევ! — შაჰმა კაცი მიუგზავნა მინდორზე პაიჭაძეს: გუნდის თავო და კაპიტანო, ეგ სამი გოლი გვაკმარე, ყელს ნუ გამოგვჭრი, ხალხად გაგვიშვი ამ ქვეყანაზეო. აბა, რას იზამდნენ, სტუმრები იყვნენ და ხათრი აღარ გაუტეხეს მასპინძლებს. მაგრამ, ღმერთი გაუწყრა — თამაშის ბოლოს პაიჭაძეს — ორმოცდაათიოდე მეტრიდან „ბრმად“ დაარტყა და... ის ოხერი ბურთი, ირანელთა კარის ბადეში კი არ გაეხვია?!. მისცვივდნენ ბიჭები: ეგ რა ნამუსია, შენ გოლები გაგაქვს, ჩვენ კი თამაშს გვიშლიო. იფიცა პაიჭაძემ: ღმერთი, რჯული, ალალბედზე დავარტყი, ეს ერთი მივქარე, მეტს აღარ ვიზამო.

სამარცხვინოდ დამარცხდა ირანის შაჰის „უძლეველი“ გუნდი, რომელსაც, წარმოიდგინეთ, თურმე, ტოლი არ ჰყავდა მთელ იმოდენა სახელმწიფოში. სწორედ ამბობს ერთი ქართული ძველი ხალხური ანდაზა: თეირანს ქალი არ იყო, ვირს ვარდისახარს ეძახდნენო...

ჰაბირაბადის მხრიდან იკამარა, ცას გაეკრა და ქულა ღრუბლებს დაეკიდა... ფოლადის ქორმა ერთ ხანს შარუხას თავზე იტორტმანა, მერე ფრთებში ქარი ჩაიდგა, ხრიოკი ტაფობი გაზომა, მეჩეთების აფერადებულ გუმბათებს გუგუნი დაატეხა, თეირანს ზანზარი მოჰგვარა, ფერეიდანის შიშველი გორაკები დაიგო, ადარბადაგანის უმადლო ველებს გადაევლო და გამარჯვებული ქართველები სამშობლოს გზაზე დააყენა.

„ფეხბურთის კარუზო“

გუნდი მთელ ზაფხულს „ოძელაშვილობდა“. მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა, ლიდერებს უგებდა და მაჩანჩალებთან აგებდა... დაცვა თუ მხნეობდა, თავდასხმა „კოჭლობდა“. ჯეჯელავა ფეხს იტკივებდა და ბრძოლის ველზე ახალ მთვარესავით გამოჩნდებოდა, ხარბედიას ყავლი გასვლოდა და მუხლი ღალატობდა, ბერეჟნოი „ხანში“ შესულიყო და „შტანგას ვეღარ ეკიდებოდა“, პანიუკოვს თვალი ატყუებდა და „შუტები“ არ უმართლებდა, ღოღობერიძე ჯერ არ დამწიფებულიყო და ვერ ბასაობდა, პაიჭაძეც არ იყო „ფორმაში“ და ვეღარ პაიჭაძეობდა...

პირველმა ომისშემდგომმა საფეხბურთო სეზონმა დიდი გამარჯვებებით ვერ დაფერა ქართული ფეხბურთის დროშები და წყენა არ. დააკლო თბილისის „დინამოს“ ქომაგებს. სამარ-

თლიანი იყო გულშემატკივართა გულისწყრომა: ჩვენი დინამოელები მეოთხე ადგილს დასჯერდნენ და თასს მეოთხედფინალშივე შეეშვნენ.

„რეაბილიტირების“ საშუალება მალე მიეცათ ქართველ ფეხბურთელებს. როცა ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო მოედნებს თოვლის თეთრი საბურველი გადაეფარა და რვა თვეს ნაბრძოლი გულშემატკივრები ზამთრის „ტკბილ ძილს“ მიეცნენ — საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდები საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. მოსკოვის დინამოელებმა ინგლისი შეაზანზარეს, ცედეკელებმა იუგოსლავია შეაჯერეს, დედაქალაქის ტორპედოელებმა ბულგარეთი მოხიბლეს... ჩვენი ბიჭები რუმინეთს ესტუმრნენ...

„თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი და ყველაზე პოპულარული გუნდია... შუდრა, კიკნაძე, ფროლოვი, ბერძენიშვილი, გაგუა, ჯეჯელავა, პანიუკოვი, პაიჭაძე — საერთაშორისო კლასის მოთამაშენი არიან... ქართველი ფეხბურთელების ჩამოსვლა, დიდი მოვლენაა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში...“ — აცხადებდა რუმინული პრესა.

იმ გათოშილ დეკემბერში, თოვლ-ჭყაპსა და ქარბუქში, — სამჯერ შეერკინენ რუმინელებს ქართველი ფეხბურთელები. „ჩეფერეს“ წყვილი ბურთი შეუგდეს, „იუვენტუსს“ „საკალათბურთო“ ანგარიშით მოუგეს, „ტიმიშოარა“ „მშრალზე“ გაანადგურეს, სულ 17 გაიტანეს, მხოლოდ 6 გაუშვეს, რუმინელებს მუხლი მოაწონეს, ქართული სიჩაუქე აჩვენეს და, ბასკებისა არ იყოს, თავი სამუდამოდ დაახსომეს.

პაიჭაძემ, ჯეჯელავამ, პანიუკოვმა ფრთები ძველებურად გაშალეს და თავისი ბიჭობა სრულად აჩვენეს რუმინელებს.

„დაუღალავი პანიუკოვი — „შორსმსროლელი ქვემეხია“ და შეუმცდარი „სნაიპერი...“ თვალშეუვლები ჯეჯელავა — ზღაპარია საკვირველებისა... ხოლო გრიგალივით მოთარეშე პაიჭაძე — სასწაულმოქმედი, ჯადოქარი, და ფეხბურთის კარუზო...“.— ხაზგასმით აღნიშნავდა „გაზეტა სპორტიორილორი“.

ბერმუხის მეორედ ყვავილობა

45-ის ჩემპიონატში, ბორის პაიჭაძის უჩვეულო „დუმილი“, ზოგმა — 30 წელს მიღწეული სახელგანთქმული დიდოსტატის „სპორტულ სიბერეს“ მიაწერა, ზოგმა — მომავალი გრგვინვის მომასწავებლად მიიჩნია. მეორეთა ვარაუდი გამართლდა: მოვიდა 1946 წელი და დადგა ჟამი ქართული ფეხბურთის ბერმუხის მეორედ ყვავილობისა. და მართლაც, „მეორე ახალგაზრდობა“ დაუდგა ულმობელ „სპორტულ ხნოვანებაში“ შესულ ბორის პაიჭაძეს.

„ბორის პაიჭაძის სამი დარტყმიდან ერთი ყოველთვის გოლით თავდება, — წერდა „ოგონიოკი“ 1946 წელს, — მაგრამ იგი არა მარტო ზუსტი დარტყმის ოსტატია; არავის არ შეუძლია ბურთთან ერთად ისე გაიაროს მთელი მინდორი და გაარღვიოს თავდაცვის ყველა ხაზი, როგორც პაიჭაძეს. რაც არ უნდა ჩქარა გარბოდეს პაიჭაძე, ბურთი მას ყოველთვის წინ აქვს ნახევარი მეტრით, თითქოს ბურთი მის ნაბიჯებს უწყობს ფეხს. პაიჭაძისათვის პატარა ადგილია საკმარისი: 1—2 მეტრის ფართობზე მას შეუძლია რამდენიმე მოთამაშე მოატყუოს...“

ასეთი იყო ბორის პაიჭაძე 1946 წელს, — როცა ინგ-

ლისის სტადიონებზე „ვეფხვად“ მონათლული ხომიჩი მისი ბურთების გამოღებას ვერ აუდიოდა საკუთარი კარიდან, როცა მის ერთ დანახვაზე კანკალებდნენ მეკარეები, როცა მის „დაკეტვაზე“ ოცნებობდნენ მცველები, როცა მისი „დარდით“ აღარ იყვნენ მწვრთნელები, როცა მასზე ფიქრში ათენებდნენ გულშემატკივრები.

ასეთი იყო ბორის პაიჭაძე 1946 წელს, — როცა ქართველმა ფეხბურთელებმა სხვადასხვა „მანქანებით“ პირველი ადგილი დაკარგეს, მესამე იყაბულეს, და თასის ფინალს მიაღწიეს.

ასეთი იყო ქართული ფეხბურთის ბერმუხა, ჟამი რომ ედგა მეორედ ყვავილობისა.

გედის სიმღერა

დიდი იყო და სახელოვანი 1947 წელიც, თბილისის დინამოელთათვის. სტადიონების მწვანე მინდვრები გამარჯვებებით ჰქონდათ მოფენილი ტყავის ბურთის ქართველ ოსტატებს. განუმეორებლად დიდებული და განსაცვიფრებელი იყო 30 წელს გადაბიჯებული ცენტრფორვარდის ბორის პაიჭაძის ვირტუოზული ხელოვნება. მიუხედავად „წლების სიმძიმისა“, ფეხბურთელისათვის საკმაო „ხანდაზმულობისა“, — საფეხბურთო მინდვრების ეს რაინდი, მაინც ჭაბუკურად გულანთებული, ტანაჟღერილი და შემმართებელი, კვლავაც ამოუცნობ საიდუმლოებად რჩებოდა ჩვენი ქვეყნის დიდოსტატი მცველებისა და მეკარეებისათვის. საბჭოთა კავშირის უძლიერესი კოლექტივების მწვრთნელთა სადარდელი, სანუკვარი ოცნება, გადაუწყვეტელი ამოცანა, №1 პრობლემა — ისევ და ისევ, ამ

უწინდებურად ყველგანმყოფი, მოხეტიალე № 9-ის ნეიტრალიზება იყო.

მაგრამ, წლები მაინც წლებად რჩებოდნენ, და ეს ყველაზე მეტად თბილისელი დინამოელებისა და მათი თავკაცის გულშემატკივრებს აღონებდა. იმ ხანებში, ტრიბუნებზე, არცთუ ისე იშვიათად ისმოდა:

— ბერდება ჩვენი ბორია! კიდევ ერთი-ორი ზაფხული და ჩვენი ბორია ველარ ითამაშებს! ბორია რომ წავა, რაღა გვეშველება!

რა იცოდნენ, — ამ მგლისმუხლა კაცს მოედანზე სიბერე არ ეწერა! სხვანაირად არც იქნებოდა: პაიჭაძე და სიბერე ერთი გზით ვერ ივლიდნენ... პაიჭაძე — იმთავითვე ხალხის გულში ჩასახლული ლეგენდა... ლეგენდის სიბერე კი, სად თქმულა, ვის გაუგია!

მაგრამ, რაც დრო-ჟამმა ვერ დააკლო, ვერც ფეხი გაუცვითა, ვერც გული დაუცხრო, — ერთმა ბრმა შემთხვევამ შეუვსო: მუხლი მოუცარა და ბავშვობიდან დაჩემებული ბურთი და მოედანი უდროოდ დაატოვებინა.

1947 წლის ზაფხულში, ქართულ ფეხბურთს შავი დღე გაუთენდა... მოსკოვში, „ტორპედოსთან“, ცხარე სათასო ასპარეზობის დროს, პაიჭაძეს ფეხი მოსტეხეს... და გამარჯვებათა ესტაფეტა, რომელიც ქართული ფეხბურთის დაბადების დღეებიდან ატარა, დიდოსტატს ხელიდან გავარდა...

პაიჭაძისეული ესტაფეტა

ქართველების გუნდი არ დარჩენილა უმეთაუროდ... ბრძოლაში დაჭრილი არწივი, მისივე საბუდარიდან წამოფრენილმა

მართვემ შეცვალა... შუა გზაზე დაგდებული ესტაფეტა სრულიად ახალგაზრდა ავთანდილ ღოღობერიძემ აიტაცა და გუნდის თავკაცობაც თვითონ იკისრა...

პაიჭაძისეული ესტაფეტა ავთანდილ ღოღობერიძემ 14 წელიწადს ნამუსიანად ატარა, დღევანდლამდე სახელიანად მოიტანა და ახალი თაობის დინამოელებს, „დიდი ურუგვაელების" ღირსეულ ჩამომავალთ: შოთა იამანიძეს, გივი ჩოხელს, მიხეილ მესხს, სერგო კოტრიკაძეს და მათ სწორ-ტოლებს გადაულოცა.

კარგი არჩევანია! პაიჭაძისეული ესტაფეტა საიმედო ხელშია! პაიჭაძისეული ესტაფეტა გადაცემულია!

პაიჭაძის გახსენება

წელიწადი თოკივით გაჰყვა წელიწადს... თხუთმეტჯერ დაიფერნენ და გახუნდნენ სტადიონების სადიდოსტატო მინდვრები... ალაიანის შიშველი ველიდან სათარეშოდ აფრენილ შემოდგომის ქარს, თხუთმეტჯერ გაატანეს ფალავანთა ფალავნობის აღუვსებელი სურვილები, გაცრუებული იმედები და დამსხვრეული ოცნებები თბილისელმა გულშემატკივრებმა.

ჰო, თხუთმეტმა წელიწადმა დაანება თავი უკვდავ დროს. 1947 წლის შუა ზაფხულის იმ საბედისწერო დღიდან, როცა ბორის პაიჭაძემ ზანზარს უკანასკნელად მისცა ტრიბუნები და მუხლმოცარულმა, გულისტკივილით დასტოვა საბურთაო... ჰო, თბილისის კოხტა სტადიონის კოშკურებს მიღმა ბევრმა მტკვარმა ჩაიარა ქართული ფეხბურთის იმ მარცხიანი დღის შემდეგ.

და მაინც არ დაეხსნა საფეხბურთო სამყაროს ამ თოფის გავარდნასავით სახელის ქუხილიანი ექო... პაიჭაძის ამბავს დროის ავდარმაც ვერ შეჰბედა დავიწყების ნისლი, იგი ამბავი ადამიანის სიჩაუქის მაგალითად გაჰყვა თაობიდან თაობას და ჩვენს დღეებამდე მოვიდა — ხოტბიანი, სიტყვა-ეჟვნიანი. არსენას ლექსივით გაფრენილი, მაღალთქმიანი... როგორც უცხო რამ ზღაპარი...

მაგონდება: შარშან იყო... კარზე მომდგარ ზაფხულს მაისისათვის ცეცხლი წაეკიდებინა და უდღეურ თბილისურ გაზაფხულს სული გაპარვაზე ჰქონდა... მზედ იღვრებოდა კვირადღე... სიცხისაგან ადრე აშლილმა ქალაქმა, შუადღეზე თავი მოიგიჟიანა... „ქარიშხალას“ სტადიონმა ვაკეში ზღვა ხალხი შეყარა და ილიას პროსპექტზე ავტომანქანების ჯირითი გამართა... ერთი ამბავი იყო: თბილისი ერევანს ეთამაშებოდა... მეც, რა თქმა უნდა, იქით გავწიე... დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, რომელიც ერთ ჰაი-ჰუიან სათავგადასავლო მოთხრობასაც კი დაამშვენებდა, — ყველა დაბრკოლება დავძლიე და მეათე სექციის მეჩვიდმეტე რიგში „მოვყუჩდი“ ნაბრძოლ-ნაომარი... თამაშის... არა, ბრძოლის დაწყებას ბევრი აღარაფერი უკლდა... ქართველი და სომეხი მოასპარეზენი დაჭურვას ამთავრებდნენ და მინდორს სტოვებდნენ... და უცებ, პირთამდე დატენილი ტრიბუნების მატჩისწინა ლაგამმოდებული გუგუნი, თავდაჭერილმა ჩურჩულმა შეცვალა... „პაიჭაძე... პაიჭაძე“... — სტადიონი აყირავდა თუ ეს ამოდენა ხალხი აიშალა... ჰო, ხალხი ფეხზე დგებოდა და ჩურჩული მისდევდა ტრიბუნებს... ათასობით თვალი სიყვარულით მიჰყვებოდა შუატანის, შუახნის იერიან ვაჟკაცს, რომე-

ლიც მორიდებით მიიკვლევდა გზას თავისი ადგილისაკენ... ერთ წამს, ხალხმა თითქოს თბილისიც დაივიწყა და ერევანიც, ის გააფთრებული ორთაბრძოლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ რომ გაჩაღდებოდა, გორაკებით შემოზღვარულ ვაკის ამ პატარა ტაფობში...

ეს პატარა, შეიძლება უმნიშვნელო, ჩვეულებრივი ამბავიც, იქნებ ამიტომ გამახსენდა:

„დინამოს" სტადიონს გულგრილად ვერ ჩავუვლი. შუბების ნაცნობი ტყე რომ დაიწყება, აუცილებლად შევჩერდები, გული სხვანაირად შემითამაშდება, სუნთქვა შემეკვრება და ფეხბურთზე ლაი-ლაის საღერღელი ამეშლება. ჩვეულებად მაქვს — შევიდე სტადიონზე, ჯერ მის ეზოში გავისეირნო, მერე შევყვე უკაცურ ტრიბუნებს, თვალი დავადგა განაბულ მინდორს, გადავხედო დიდუბის მიჯნას, მზერა ვტყორცნო მთებზე ასულ ნაძალადევს, სტადიონის ჰაერი გადავყლაპო, ბოლოს გულშემატკივრების თავშეყრა მოვძებნო და იმათ ჰაი-ჰუის დავაყურო... იმ პარასკევსაც ჩავუარე რკინის ღობურებს. თამაშის სახსენებელიც არ იყო. ისე, ჩვეულებრივი დღე იდგა სტადიონზე, მშვიდი, უფეხბურთო. ცენტრალურ შესასვლელს რომ გავუსწორდი, შევნიშნე: ახალდაჩეკილ გულშემატკივრებს „საჭიდაო წრე" შეეკრათ და „ღრეობა" გაემართათ. ხელებს ისე შლიდნენ, სახეებზე ისეთი აღტაცება, ისეთი სასოება, ისეთი ნეტარება ეწერათ, უმალ მივხვდი: თავიანთ „კერპებზე" ეჭირათ სიტყვა. მეც დავინტერესდი, იმათ თავშეყრას შევუერთდი და ბიჭ-ბუჭებში გავერიე ამოდენა კაცი. „სტადიონის ძველი ბიჭი" — მაშინვე მიცნეს, სახელდახელოდ „ალყა" შემომარტყეს, „ღრეობის" თემა შეცვალეს და

სიტყვა უფრო „აქტუალურ“ საკითხზე ჩამოაგდეს: ძველი ფეხბურთი სჯობს თუ ახალი. მერე ერთი მეკითხება:

— მაგარი იყო პაიჭაძე?

— ო, დიდი ფეხბურთელი იყო, ბიჭებო!

პასუხმა, სჩანს, არ დააკმაყოფილათ:

— არა, მაინც, რა იყო ასეთი პაიჭაძე?

რა იყო?!.. ეე, პაიჭაძე... პაიჭაძე... და გამახსენდა ჩვენი ფრთებცეცხლა პაიჭაძე...

ცოტა ხნის შემდეგ „აუდიტორია“ ხელში მეჭირა:

1939 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი მთავრდებოდა... „ცდკას“ ეთამაშებოდნენ ჩვენები... თუ მოვიგებდით, მეორე ადგილზე გავდიოდით, არა და, ყაიმი რომ ყაიმია, — მესამე ადგილზე გვისროდა... მთელი სტადიონი მეორე ადგილს აეტანა... აღარ იყო ყურთასმენა: აბა, გაიოზ და აბა, ბორია!.. მაგრამ რა გინდა! იმ დღეს, დოროხოვს, თვალი ღალატობდა თუ რა იყო, ოთხი ბურთი შეუგდეს პირველ ტაიმში... ბიჭები შესვენებაზე მიდიან, მაგრამ, ვაი ამ შესვენებას — 1:4-ზე ვაგებთ თამაშს... აღარ გინდა „ამოქაჩვა“?!. გაგიჟდა სტადიონი, დაიხოცა ხალხი... სიხარულით მეშვიდე ცაზე ასულმა სტუმრებმა კი, დეპეშა აფრინეს მოსკოვში — „გავიმარჯვეთ, მორჩა, გათავდა, მეორე ადგილი ჩვენიაო“...

— მერე, მერე? — აღარ მაცლიან ბიჭები.

მერე... მერე დაიწყო ის მეორე ტაიმი და აიწყვიტა პაიჭაძემ... რა დაავიწყებს კაცს, იმ ორმოცდახუთ წუთს... ისეთი ამბავი დატრიალდა, ხალხს თავი ტკბილ სიზმარში ეგონა... ხან მარჯვნიდან მივიდა პაიჭაძე, ხან მარცხნიდან, ხან შუადან — დაიფრინა მთელი „ცდკა“... თავის ბიჭებს სულ „ტყაპა-ტყუპით“ აყრევინა ბურთები... რაკი ერთი ანგარიში გათა-

ნაბრდა (!), თვითონ პაიჭაძე გავიდა კარდაკარ... ექვსი კაცის მოტყუება რომ არ იკმარა, ახლა მეკარეც მოატყუა და ცარიელ კარში ისეთი ძალით დაარტყა, ბადე სამ მეტრზე მაინც გაიწელა... ჰოდა, ავიღეთ ის მეორე ადგილი. ისეთი ამბავი ატყდა სტადიონზე, კაცს მეორედ მოსვლა ეგონებოდა... ზოგმა რომ მტრედი გააფრინა, ზოგმა ჭკუაც თან მიაყოლა, იმ დღეს ყველამ გააფრინა სიხარულით... „ცდკას“ მწვრთნელი ფოსტაში დარბოდა — „აშიბკა“ მოგვივიდა, დეპეშა უკან დაგვიბრუნეთო...

„აუდიტორიას“ შევატყე, თავი ზღაპარში ეგონა.

ეგ კიდევ არაფერი... 1946 წელია... უკანასკნელი მატჩი გვაქვს თბილისში... მოსკოვის „სპარტაკს“ ვეთამაშებით... მატჩი მთავრდება... ნოლით ნოლია... ჩქარა, თორემ ყელამდე საჭირო ქულა იკარგება და მერე, ვინ გასუნინებს სამეულში... ლამის წაიქცნენ ტრიბუნები და მინდორზე გაცვივდეს გამწარებული ხალხი... დაილოცა გრიშა გაგუა... იმოდენა ორომტრიალში, მაინც შენიშნა პაიჭაძე... დაინახა და ბორიას რომ უყვარდა, ისეთი „პასი“ მისცა... მარცხენა ფრთიდან დაიძრა პაიჭაძე... ჯერ ერთი მოატყუა, მერე ერთი სეგლინი ჰყავდათ მოსკოველებს, იმასაც „აჭამა“ გზადაგზა და „კორნერის“ ხაზზე გავიდა... ახლა სოკოლოვმა, ხოლოდკოვმა და კიდევ ერთმა მაღალმა ქერათმიანმა ნახევარმცველმა უყელეს გზა პაიჭაძეს... სათქმელად ადვილია, მაგრამ არ გინდა „კორნერის“ ხაზზე კიდევ სამი კაცი მოატყუო და საჯარიმო მოედანზე შეხვიდე... და მაშინ, კი, მართლაც უკისრებელი იკისრა პაიჭაძემ... ჯერ ნელა მიუახლოვდა მეურვეებს, მერე უცებ, ტანის განუმეორებელი, თავისებური, პაიჭაძისეური რხევით გაიგდო

ბურთი და ისე უცხოდ იილეთა, — თავგზადაკარგული მეტოქენი იმის მაგივრად, რომ თავს დასხმოდნენ, თითქოს რაღაც უნახავი ნახესო, აქეთ-იქით გაიქცნენ, ხოლო ამ ჯობაში უკვე საჯარიმოზე შესულმა პაიჭაძემ, „დახურული“ კუთხიდან ზუსტი დარტყმით, ბურთი შორეული კუთხის „ცხრიანში“ გაახვია...

— ერთხელ, „კორნერიც“ შეაგდო, არა, ძია?! — მაწყვეტინებენ, სადღაც მაინც ღალატიან მეხსიერებას მიცოცხლებენ და თან ისე შემომცქერიან, თითქოს „ათას ერთი ღამისას“ ისმენდნენ.

ჰო, ერთხელ „კორნერიდანაც“ შეაგდო პაიჭაძემ... ეს არაჩვეულებრივი შემთხვევაც იმავე 1946-ში მოხდა... ღრუბლიანი, უქარო დღე იყო, ხეზე ფოთოლიც არ ირხეოდა არსად... მოსკოვის „ტორპედოსთან“ არა და არ გაიხსნა ანგარიში... ბოლოს, ჩვენების ერთერთი მწვავე იერიშის შემდეგ დაინიშნა კუთხური... წეროებივით ჩამწკრივდნენ კარის გასწვრივ ჩვენი ბიჭები... ჩამოაწოდა პაიჭაძემ... მაღალი ბურთი ნელა გადააფრინდა საჯარიმოს, ზემოდან გადასცდა ყველას და მეორე ძელს რომ გაუსწორდა, — პირი იბრუნა, შეუხვია, დაბარებულივით შებრძანდა კარის მაღლა კუთხეში... ნაცადი მეკარე აკიმოვი, ორივე გუნდის მოთამაშენი ერთ ხანს პირდაღებულები იდგნენ და მომხდარს თვალს არ აჯერებდნენ...

—ეგ რა არის, — მესმის უცებ ზურგსუკან, — მე უკეთესს გეტყვით!

არ მესიამოვნა: ვიღაცა იყო თავხედი, „ავტორიტეტს“ საქვეყნოდ მილახავდა და „ტრიბუნას“ მართმევდა. მოვუბრუნდი გაალმასებული და... გავშრი: ჩემს წინ ვინმე ბებერი გულშე-

მატკივარი, სახელად ვასო, გვარად კახიანი იდგა. რა მეთქმოდა, — იმისი ხნისა ხომ ქვაც არა გდია სტადიონზე. უსიტყვოდ დავუთმე „ტრიბუნა“. სახელად ვასომ, გვარად კახიანმა ჯერ ცერად შემომხედა, მერე დამცინავად გაიღიმა, მერე „არქივი“ გადაქექა, ერთი „წარღვნისდროინდელი“ ამბავი გამოქექა, მაშინვე გაასაღა და ნაბიჭვრებს პირები დააღებინა:

— აი, ამ სტადიონზე, მხოლოდ მაშინ ეგეთი ტრიბუნები და რამეები არ იყო... „ზიი“ და „დინამო“ თამაშობდნენ. ვინც რომ მოიგებდა, მთელი თბილისის ჩემპიონიც ის იყო. ორივეც მაგრები იყვნენ... „ზიიმ“ მოიგო 4:2 ... ბორიამ ითამაშა?!. ვაა!... ხალხი ამბობდა — „დინამოს“ ბიჭებს თავის დღე'ში აღარ გააცივებთო... ორი ბურთი შეაგდო... ერთი ცენტრიდან დააკერა და რაც მართალია, გაუმართლა... მეორე?! ვაა!.. მთელი „დინამო“ აცეკვა, მერე ყველა სათითაოდ დააწვინა და ისე შეაგდო... მახლას, სხვანაირი ვინმე იყო პაიჭაძე“...

— მესხს ჯობდა, ძია? — დაიძახა ვიღაცამ.

— ეეე, კარგი რა, შვილო!..

ბოლოთქმა

და ახლა, როცა ამ წიგნს უკანასკნელ წერტილს ვუმიზნებ, მჯერა: თაობიდან თაობაში სამარადჟამოდ იმოგზაურებს ქართული ფეხბურთის დიდების ესტაფეტა, რომელიც ატარებს ყველასათვის საყვარელ სახელს. იგი ხან ჰგავს — ქუხილს ულრუბლო, მოწმენდილ ცაზე, ხანაც — ალაზნის ჭალებში ანაზდად მოვარდნილ ავდარს. იგი ხშირად თოფის გასროლასავით ისმის:

— ბორის პაიჭაძე!

შინაარსი

წინათქმა . .	3
ონჟიქედის მოჩვენება .	4
ონჟიქედური სურათები	8
ფოთური სურათები	18
ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი	31
საბრძოლო ნათლობა	33
გამარჯობა თბილისო	40
ქვიცი გვარზე ხტისო	46
ცხოვრების საგზური	48
„ევრიკია“	50
დეპეშა . .	53
ზღვა თუ მწვანე მოედანი	59
თბილისში .	62
ოქროს წლები	65
დაკარგული წლები .	80
ჰაი, გიდი, გიორგი საკაძე	.81
„ფეხბურთის კარუზო“ .	83
ბერმუხის მეორედ ყვავილობა	85
გედის სიმღერა .	86
პაიჭაძისეული ესტაფეტა	87
პაიჭაძის გახსენება	88
ბოლოთქმა .	94

Миндия Ильич Мосашвили
Карузо футбола
(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси — 1963

რედაქტორი ირ. ყიფიანი
ტექრედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორი ლ. შარვაშიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VII-63 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/32.
ნაბეჭდი თაბახი 4,11. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 3,31.
საავტორო თაბახი 3,17.
უე. 00506 ტირაჟი 5000. შეკვ. № 331.
ფასი 10 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4, Тбилиси, Медгородок.